



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა  
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი

# ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის

ჰერბერტ დ. ბოუმანი

და

გიორგი ჩხეიძე





**USAID**  
აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი

# ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის

ჰერბერტ დ. ბოუმანი  
და  
გიორგი ჩხეიძე

წინამდებარე წიგნის ქართულ ენაზე თარგმანი შეიქმნა ამერიკის ხალხის კეთილი ნებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ავტორები. იგი არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ან აღმოსავლეთ დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.

© საავტორო უფლება 2014 წ. ჰერბერტ დ. ბოუმანი და გიორგი ჩხეიძე

ISBN 978-9941-10-853-2

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2014

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

## შინაარსი

I. შესავალი.....	1
II. საქართველო აკეთებს ცვლილებას: ადვოკატირება საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.....	2
III. სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა .....	20
IV. სისხლის სამართალში ადვოკატირების უნარ-ჩვევები: შესავალი სიტყვა და საქმის ვერსიის ჩამოყალიბება .....	29
V. სისხლის სამართალში ადვოკატირების უნარ-ჩვევები: მონმეტა დაკითხვა სასამართლოში .....	44
პირდაპირი დაკითხვა .....	46
ჯვარედინი დაკითხვა.....	55
VI. სისხლის სამართალში ადვოკატირების უნარ-ჩვევები: დასკვნითი სიტყვა.....	76
VII. სავარჯიშოები.....	96
სავარჯიშო A [გაუპატიურების ბრალდება] .....	96
სავარჯიშო B [სიყვარულის სამკუთხედი – თავდასხმა ცივი იარაღით].....	115
მადლობები.....	139
დანართი: სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტები.....	140

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

## I. შესავალი

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ მომდევნო წლებში რეფორმატორებმა საქართველოს ახალ მთავრობაში მიზნად დაისახეს ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რადიკალური შეცვლა. მათ მიერ გადადგმული ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ნაბიჯი იყო იმ დროს არსებული საბჭოთა ერის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე უარის თქმა და მისი შეცვლა ახალი კოდექსით, რომელიც ძალზე მსგავსია შეერთებულ შტატებში და საერთო სამართლის სხვა ქვეყნებში მოქმედი კოდექსებისა. ამ ცვლილების ერთ-ერთ შედეგად იგეგმებოდა სისხლის სამართალწარმოების პროცესის თვისობრივად უფრო საჯარო და უფრო შეჯიბრებით პროცესად ქცევა. წინამდებარე წიგნის შექმნის მიზანი გარკვეულწილად გახლავთ ქართველი იურისტების დახმარება იმაში, რომ მათ გაიგონ თუ რატომ შეიქმნა ამ კოდექსის რიგი დებულებები და რატომ ჯდება ეს დებულებები განვითარების პროცესში მყოფი საერთაშორისო სისხლის სამართლის და პრაქტიკის რეჟიმში.<sup>1</sup> თუმცა, წინამდებარე წიგნის მთავარი მიზანი არის ქართველი სამართალპრაქტიკოსების დახმარება იმაში, რომ შეიძინონ უნარები, რომლებიც აუცილებელია უფრო შეჯიბრებითი სასამართლო დარბაზის პირობებში სამოქმედოდ. წიგნის დანიშნულებაა, აამაღლოს სისხლის სამართლის ადვოკატის მიერ სასამართლო განხილვისთვის მომზადების, სასამართლო სხდომაზე მონაშთა დაკითხვის და მოსამართლეებისა და მსაჯულების წინაშე ეფექტური არგუმენტებით წარდგენის უნარები. წიგნის შედგენისას გათვალისწინებულია საქართველოში იურიდიული განათლების განვითარებაც. ის შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ძირითადი წიგნი სისხლის სამართალში ადვოკატირების სასწავლო კურსისთვის საქართველოს სამართლის ფაკულტეტებზე. წიგნი შეიძლება იგივე დანიშნულებით იქნას გამოყენებული ისეთი დაწესებულებების მიერ, რომლებიც პროფესიული დონის კურსებს სთავაზობენ პროკურორებს და დამცველებს.

---

<sup>1</sup> წინამდებარე წიგნის შექმნის წყაროების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ ნაწილი „მადლობები“

## II. საქართველო აკეთებს ცვლილებას: ადვოკატირება საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

გიორგი ჩხეიძე

### შესავალი

2009 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიიღო. კოდექსის მიღება ინტენსიური შესწავლის, განხილვის და შედგენის ხუთწლიანი პროცესის შედეგი იყო. ამით საქართველო შეეცადა საბჭოთა სტილის ინკვიზიციური სისტემიდან შეჯიბრებით სისტემაზე გადასვლას.

პროექტზე მუშაობა 2004 წელს დაიწყო, მოკლე ხანში მას შემდეგ, რაც მშვიდობიანმა „ვარდების რევოლუციამ“ დიდი პოლიტიკური ცვლილებები მოიტანა საქართველოში. ხელისუფლების ხელში აღებიდან მალევე ახალი მთავრობის ლიდერებმა განაცხადეს მათი განზრახვა, შეექმნათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ანგლო-ამერიკული სისტემისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეს ახალი სისტემა თავადაც რევოლუცია იქნებოდა. ეს იქნებოდა სისტემა, რომელშიც მოსამართლე შეასრულებდა არბიტრის და არა ინკვიზიტორის როლს, ხოლო დაცვის მხარე უფრო თანასწორ საფეხურზე იდგებოდა ბრალდების მხარესთან მიმართებაში – მას ფაქტების საკუთარი გამოძიების ჩატარების შესაძლებლობაც კი ექნებოდა. ეს იქნებოდა სისტემა, როდესაც ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენა მოხდებოდა სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მხარეთა მიერ ცოცხალი მონაწილეთა დაკითხვის გზით, ხოლო უფრო სერიოზული სისხლის სამართლის საქმეებზე გადანყეტილებას გამოიჩინებდნენ ნაფიცი მსაჯულები.

წინამდებარე თავი არ ისახავს მიზნად ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამომწურავ განხილვას ან საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შედარებით ანალიზს. ჩვენ მხოლოდ იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს თავი იძლევა შესავალს ახალი საპროცესო კოდექსის იმ დებულებებში, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას იქონიებენ სისხლის სამართლის ადვოკატირებაზე საქართველოში.

## წინაპირობები

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებამდე საქართველო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ეფუძნებოდა 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს.<sup>2</sup> ეს ძველი კოდექსი დიდწილად ასახავდა საბჭოთა პერიოდის ინკვიზიტორულ მიდგომებს. იგი მოიცავდა ძალზედ მოცულობით და რთულ მოკვლევას, გამოძიების და სასამართლო განხილვის ეტაპებს. ძველი კოდექსის მუხლები ზღუდავდნენ და დეტალურად არეგულირებდნენ სასამართლო წარმოების მსვლელობას. ვინაიდან კოდექსში ხშირად ხდებოდა ცვლილებების შეტანა 1998-2003 წლებში, და ეს მიმართული იყო, ხშირ შემთხვევაში, კორუმპირებული სამართალდამცავი სტრუქტურების მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ, საბოლოო ჯამში ეს კოდექსი გადაიქცა ბუნდოვანი და ურთიერთსაინანაღმდეგო ნორმების კრებულად, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ არღვევდნენ საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებულ ძირითად სასამართლო გარანტიებს. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ცდილობდნენ კოდექსის უთანასწორობების და ნაკლოვანებების აღმოფხვრას საკონსტიტუციო სამართალწარმოების გზით<sup>3</sup> და საპარლამენტო ლობირების გზით, აღნიშნულ პერიოდში სამართლის სპეციალისტები თანხმდებოდნენ, რომ აუცილებელი იყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების და მისი სამართლებრივი ჩარჩოს ყოვლისმომცველი რეფორმა.

სწორედ ყოვლისმომცველი რეფორმის განხორციელება დაისახა მიზნად საქართველოს ახალმა მთავრობამ. 2004 წელს ხელისუფლების ხელში აღებისთანავე ახალი მთავრობის იუსტიციის მინისტრმა შექმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მოსამზადებლად, რომელიც უარს იტყოდა წარსულის ინკვიზიტორულ მოდელზე შეჯიბრებითი მოდელის სასარგებლოდ. შეჯიბრებით მოდელზე გადასვლის გადაწყვეტილება, როგორც ჩანს,

<sup>2</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 20 თებერვალი 1998წ.

<sup>3</sup> ამ მხრივ, მნიშვნელოვანი პრეცედენტი იქნა დადგენილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მის გადაწყვეტილებაში საქმეზე *პირუს ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* (23 იანვარი 2003წ.). ამ აღსანიშნავ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რიგი დებულებები გამოაცხადა არაკონსტიტუციურად და ბათილად და სრულად დაუჭირა მხარი ბრალდებული პირი ზოგიერთი ფუნდამენტური უფლების განხორციელებას, როგორცაა ადვოკატის უფლება დაკავების მომენტიდან.



გამომდინარეობდა იქიდან, რომ ბევრი რეფორმატორი დადებითი აზრის იყო შეერთებული შტატების და სხვა საერთო სამართლის ქვეყნების მართლმსაჯულების სისტემებზე.<sup>4</sup> მათ ჩათვალეს, რომ ეს სისტემები, რომლებშიც ხაზგასმულია სასამართლო პროცესის ზეპირი ხასიათი და გადაწყვეტილების მიღება ნაფიცი მსაჯულების მიერ, უფრო მეტად უზრუნველყოფდნენ სამართლიან პროცესს და, მთლიანობაში, ბრალდებულის უკეთეს დაცვას.

მართალია, საქართველოს კონსტიტუცია, მოქმედი რედაქციით, საუბრობდა სამართალწარმოების შეჯიბრებით ხასიათზე,<sup>5</sup> მაგრამ ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ეს კონსტიტუციური დებულებები განმარტებული იყო ისე, რომ შეჯიბრებით წარმოებას ადგილი ჰქონდა მთელი სამართალწარმოების პროცესის მხოლოდ ბოლო, სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე.<sup>6</sup> ახალი საპროცესო კოდექსის შემქმნელებს კი სურდათ, რომ კონსტიტუციაში გაცხადებული შეჯიბრებითობის პრინციპი გამოყენებული ყოფილიყო სისხლის სამართალწარმოების მთელი პროცესის განმავლობაში და ეს განზრახვა გამოხატეს კიდევ მკაფიოდ. ახალი საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.“

## პროკურორის დისკრეცია

ახალი კოდექსის შემქმნელებს ესმოდათ, რომ ისინი ვერ შეცვლიდნენ მთელ საპროცესო სისტემას მხოლოდ პრინციპების მართივად გაცხადებით და ვერ ექნებოდათ იმედი, რომ ამის შემდეგ ყველაფერი აღნიშნული პრინციპებით თავისთავად დალაგდებოდა. ისინი აცნობიერებდნენ, რომ აუცილებელი იყო მნიშვნელოვანი ცვ-

<sup>4</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემქმნელთა უმრავლესობას აკადემიური განათლება მიღებული აქვს შეერთებულ შტატებში და საერთო სამართლის სხვა ქვეყნებში

<sup>5</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85

<sup>6</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთადერთი მუხლი, რომელიც კონკრეტულად უთითებდა შეჯიბრებით სამართალწარმოებაზე, იყო 49-ე მუხლი, რომელიც ეხებოდა სასამართლო სხდომას. საქართველოს სასამართლოები ამ მუხლს განმარტავენ ისე, რომ შეჯიბრებითი პროცესის საკონსტიტუციო გარანტია ვრცელდება მხოლოდ სასამართლო სხდომებზე და არა სამართალწარმოების სხვა ნაწილებზე.

ლიტერატურის შეტანა საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფუნდამენტურ კომპონენტებში. ამ ფუნდამენტის ცენტრალური ფილა პროკურატურა იყო.

ახალი საპროცესო კოდექსის მიღებამდე საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ეფუძნებოდა „სავალდებულო დევნის“ პრინციპს, რაც გულისხმობდა, რომ პროკურორი ვალდებული იყო, დაეწყო სისხლის სამართლებრივი დევნა თითოეულ საჩივარზე, რომელიც გამყარებული იყო მტკიცებულებით და რომელსაც ის მიიღებდა პოლიციისგან ან მოქალაქეებისგან. ახალი საპროცესო კოდექსის შემქმნელები თვლიდნენ, რომ სავალდებულო დევნის პრინციპის შენარჩუნების პირობებში ვერ მოხერხდებოდა შეჯიბრებითი სისტემის ჯეროვანი ფუნქციონირება. მათ ჩათვალეს, რომ სავალდებულო დევნის პრინციპი წინააღმდეგობაში მოდიოდა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან და შეიძლება შეემცირებინა ბრალდების მხარის მტკიცების ტვირთი ანუ ვალდებულება, რომ თითოეული ბრალდება დამტკიცდეს გონივრულ ეჭვს მიღმა. აქედან გამომდინარე, მათ რადიკალური გარღვევა მოახდინეს წარსულიდან და მიანიჭეს პროკურატურას სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების აღძვრის დისკრეცია. ეს ნიშნავდა, რომ საქართველოს პროკურორებს თითქმის აბსოლუტური უფლებამოსილება ეძლეოდათ, სულ ცოტა თეორიულად მაინც, თავად გადაეწყვიტათ, წარედგინათ თუ არა ბრალდება კონკრეტული პირის წინააღმდეგ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, პრაქტიკაში, ცალკეული პროკურორის დისკრეცია, წარუდგინოს თუ არა ბრალდება ეჭვმიტანილს, რეგულირდება დეტალური შიდა წესების ჩამონათვალით. 2010 წელს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა დაამტკიცა „სისხლის სამართლის პოლიტიკის წიგნი პრინციპები“<sup>7</sup>, რომლებშიც დეტალურად არის განმარტებული პროკურორის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ახალ სისტემაში. ეს პრინციპები ორწევრიან ტესტს აწესებენ საქმის აღძვრისთვის. პრინციპების მიხედვით, პროკურორმა სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა დაიწყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (1) საქმეში არსებული მტკიცებულებები აკმაყოფილების მტკიცების იურიდიულ სტანდარტებს და (2) სისხლის სამართლებრივი დევნა ნაკარნახევია საჯარო ინტერესით – საჯარო ინტერესი განმარტებულია

<sup>7</sup> სისხლის სამართლის წიგნი პრინციპების ზოგადი ნაწილი მიღებული იქნა და გამოქვეყნდა 2010 წლის 8 ოქტომბერს.

რიგი კრიტერიუმებით აღნიშნულ პრინციპებში.

სისხლის სამართლებრივი დევნის დისკრეცია არ უნდა აგვერიოს გამოძიების ვალდებულებაში. საქართველოს ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით, სისხლის სამართლის გამოძიებას აწარმოებენ უფლებამოსილი საგამოძიებო ორგანოები (უმრავლეს შემთხვევაში – შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიცია). შემდგომ, საგამოძიებო ორგანოები სისხლის სამართლის საქმეებს უგზავნიან პროკურატურას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს საქმისთვის შემდგომი მსვლელობის მიცემის საკითხი. მარტივად თუ ვიტყვით, გამოძიების ჩატარების ვალდებულება ეკუთვნის პოლიციას, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების დისკრეცია – პროკურატურას.

ქართველი იურისტები ალბათ იდავებენ იმაზე, არის თუ არა დისკრეციული სისხლის სამართლებრივი დევნა საუკეთესო მოდელი საქართველოსთვის. ზოგი იურისტი თვლის, რომ რადგან დანაშაულებრიობა გაიზრდება ქვეყნის განვითარებასთან ერთად, შეუძლებელი გახდება ყველა დანაშაულის სრული გამოძიება და ამიტომ დისკრეციული დევნა საუკეთესო გამოსავალია, რათა შეზღუდული რესურსები დაიხარჯოს მხოლოდ მნიშვნელოვან პრობლემებზე. სხვები თვლიან, რომ დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნა ზედმეტად დიდ ძალაუფლებას ანიჭებს პროკურატურას და ეს დისკრეცია გამოყენებული იქნება ბრალეული ადამიანების გასათავისუფლებლად.

## **დაზარალებულის ახალი სტატუსი**

პროკურატურის უფლებამოსილების გაზრდასთან ერთად, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცვლის დაზარალებულის იურიდიულ სტატუსსაც. ძველი კოდექსის მიხედვით, პირი, რომელიც თავს აცხადებდა დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეში, განიხილებოდა სამართალწარმოების *მხარედ*. დაზარალებულს უფლება ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო სამართალწარმოებაში პროკურატორის და დაცვის მხარის თანასწორად ანუ, ფაქტიურად, ყოფილიყო „კერძო ბრალმდებელი“. კერძო ბრალმდებლის სახით მოქმედ დაზარალებულს უფლება ჰქონდა, დაეყენებინა შუამდგომლობები, დაეკითხა

მონმეები და მოეთხოვა სასჯელის ზომა, თუნდაც ეს განსხვავებული ყოფილიყო პროკურატურის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომისგან. დაზარალებულს უფლება ჰქონდა, გაესაჩივრებინა სასამართლოს გადაწყვეტილება მაშინაც კი, თუ პროკურორი არ ასაჩივრებდა მას.

ახალი კოდექსის შემქმნელები სერიოზულ პრობლემებს ხედავდნენ ამ ტიპის სამართალწარმოებაში. მათ მიაჩნდათ, რომ კერძო ბრალმდებლის როლი არ ჯდება სისტემაში, რომელიც ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებდა სახელმწიფო ბრალმდებელს. ისინი თვლიდნენ, რომ ეს წარმოქმნიდა არასაჭირო დავას და კონფლიქტებს სახელმწიფოსა და დაზარალებულს შორის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ წარმართულიყო საქმე სასამართლოში. გარდა ამისა, ეს ეწინააღმდეგებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციას; „დაზარალებულისთვის“ სრულფასოვანი მხარის სტატუსის მინიჭება ქმნიდა ვარაუდს, რომ დაზარალებული ნამდვილად დაზარალებული იყო, ხოლო ბრალდებული კი დამნაშავე. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, მათ მთელი თავი დაუთმეს ახალ კოდექსში სისხლის სამართალწარმოების პროცესში დაზარალებულის როლის ახლებურ განსაზღვრებას. ახალი კოდექსის 56-ე მუხლი დაზარალებულს აყენებს იმავე ზოგად კატეგორიაში, როგორშიც მონმეს. 57-ე და 58-ე მუხლებიდან მკაფიოდ გამომდინარეობს, რომ მისი ინტერესები უნდა დაიცვას პროკურორმა და არა მისმა ადვოკატმა. ახალი კოდექსით, დაზარალებულის მიერ ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის ნაწილი, შეზღუდულია. ახლა უკვე დაზარალებულმა უნდა აღძრას და წარმართოს სამოქალაქო სამართლის საქმე ბრალდებულის წინააღმდეგ, სისხლის სამართლის საქმისგან სრულიად განცალკევებით, თუ მას სურს სრულად ამოწუროს მის ხელთ არსებული ანაზღაურების საშუალებები და მიიღოს ზიანის ანაზღაურება.

უდავოა, რომ ახალი საპროცესო კოდექსი ასუსტებს დაზარალებულის მდგომარეობას სისხლის სამართლის პროცესში და შეიძლება მას უფრო მეტად აგრძნობინოს თავი დაუცველად და „დაზარალებულად“. კოდექსის ავტორები ითვალისწინებდნენ ამას და თავდაპირველ პროექტებში შეტანილი ჰქონდათ დებულებები, რომლებიც დაზარალებულს საშუალებას აძლევდა, ეწარმოებინა კერძო სისხლის სამართლებრივი დევნა, თუ სახელმწიფო უარს იტყოდა საჯარო დევნის დაწ-

ყებაზე.<sup>8</sup> საქართველოს პარლამენტმა კოდექსის პროექტის პირველი მოსმენისას დატოვა კერძო დევნის ზოგიერთი ელემენტი; მაგრამ პროექტის მომზადების ბოლო ეტაპზე მთავრობამ კოდექსის პროექტიდან ამოიღო ყველა მითითება კერძო სისხლის სამართლებრივი დევნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

არასწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ კოდექსის ავტორებმა მთლიანად უგულვებელყვეს დაზარალებულის უფლებები. 57-ე მუხლი შეიცავს დაზარალებულის უფლებების გრძელ სიას, მათ შორის უფლებას, იცოდეს ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების არსი, უფლებას, მისცეს ჩვენება მისთვის მიყენებული ზიანის შესახებ, მიიღოს შესაბამისი დოკუმენტების ასლები და მოითხოვოს სპეციალური ღონისძიებების გატარება მისი და მისი ოჯახის წევრების დასაცავად. გარდა ამისა, 58-ე მუხლი პროცესის მწარმოებელ ორგანოს ავალდებულებს, რომ წინასწარ შეატყობინოს დაზარალებულს ყველა მნიშვნელოვანი საპროცესო მოქმედების შესახებ, აგრეთვე ბრალდებულსა და პროკურორს შორის საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ.

## მოსამართლის ახალი როლი

შეჯიბრებითი პროცესის არსებითი კომპონენტია ნეიტრალური და მიუკერძოებელი მოსამართლე. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მტკიცუნულად აწესებს სისხლის სამართლის მოსამართლის ამ ახალ მიუკერძოებელ როლს. კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია, განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, თავი შეიკავოს საკუთარი აზრის გამოთქმისგან ბრალდებულის ბრალეულობასთან თუ უდანაშაულობასთან დაკავშირებით.<sup>9</sup> 25-ე მუხლი ასევე ავალდებულებს მოსამართლეს, ერთი მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით მოისმინოს მონინაალმდევე მხარის მოსაზ-

<sup>8</sup> ზოგადად, იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილი საქართველოს პარლამენტისადმი სათაურით „სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი – დაგვიანებული რეფორმა და მოტყუებული დაზარალებული“ (2007 წლის სექტემბერი), ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-მისამართზე: [http://www.gyla.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=166%3Agyla-chairman-applies-to-the-members-of-the-parliament&catid=45%3Anews-eng&Itemid=1&lang=en](http://www.gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=166%3Agyla-chairman-applies-to-the-members-of-the-parliament&catid=45%3Anews-eng&Itemid=1&lang=en) (ბოლო შესვლა 2011 წლის 3 სექტემბერს)

<sup>9</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მესამე პუნქტი

რება.<sup>10</sup> რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ახალი საპროცესო კოდექსი მოსამართლეს უკრძალავს წარმმართველი როლის შესრულებას ფაქტების დადგენის მიზნით. 25-ე მუხლში ნათქვამია:

სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია, გამონაკლის შემთხვევაში, მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.

ზოგადი აკრძალვა გასაგებია, თუმცა აღნიშნული დებულების ბოლო წინადადება მოსამართლეს გარკვეულ შეზღუდულ უფლებამოსილებას მაინც აძლევს, მონაწილეობა მიიღოს მხარეთა დაკითხვაში და თავიდან აიცილოს არასამართლიანი შედეგები.

ამავდროულად, ახალი საპროცესო კოდექსი ზღუდავს მოსამართლის როლს ფაქტების დადგენის თვალსაზრისითაც; ის მოსამართლისგან მოითხოვს მხარეთა გაფართოებული როლის უზრუნველყოფას. კოდექსის 25-ე მუხლი მოსამართლეს უნესებს ვალდებულებას, უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობები და სამართალწარმოების შეჯიბრებითობა როგორც სასამართლოში საქმის განხილვის, ისე გამოძიების ეტაპებზე. კერძოდ, სასამართლო ვალდებულია, მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიაჩნდეს უპირატესობა.<sup>11</sup>

ფაქტების დადგენის პროცესში მთავარი როლის შემსრულებლიდან ნეიტრალური არბიტრის როლზე გადასვლას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს სასამართლო წარმოების პრაქტიკაზე. ადვოკატს, იქნება იგი პროკურორი თუ დამცველი, აღარ შეუძლია მოდუნდეს და დაელოდოს, სანამ მოსამართლე შეასრულებს მტკიცებულებების გამოვლენის და გამოკვლევის მთელ სამუშაოს. ახლა უკვე ეს ტვირთი ეკისრება ადვოკატებს. ეს ერთდროულად დიდი პასუხისმგებლობაც და ხელსაყრელი შესაძლებლობაცაა – პასუხისმგებლობა საქმის

<sup>10</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მეოთხე პუნქტი.

<sup>11</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი



წარმატებაზე ან მარცხზე, მაგრამ შესაძლებლობა, გამოიყენოს ადვოკატის მთელი ენერჯია და ტალანტი საქმის თავისი პოზიციის წარმოსადგენად.

### **თანაბარი შესაძლებლობები სასამართლო დარბაზში**

თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი მოითხოვს, რომ თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს მისი საქმე ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ აყენებს მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის ოპონენტთან შედარებით. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მტკიცედ ამკვიდრებს ამ პრინციპს ქართულ სამართალში. 25-ე მუხლის პირველი პუნქტი სასამართლოს ავალდებულებს, „თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა“. 25-ე მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით, „თუ სასამართლო სხდომაში ორივე მხარე მონაწილეობს, ერთი მხარის შუამდგომლობასთან ან საჩივართან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც“.

როდესაც საუბარია თანაბარი შესაძლებლობების პრინციპზე სასამართლო განხილვის დროს, თანასწორობის ერთ-ერთი ღონისძიება გამოიხატება იმ ხარისხში, რომლითაც ორივე მხარეს – ბრალდებას და დაცვას – ეძლევათ უფლება, დაკითხონ ერთმანეთის მოწმეები. 114-ე მუხლის მესამე პუნქტში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ რომ დაკითხვა მიმდინარეობს მხარეთა მონაწილეობით. 244-ე მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ ორივე მხარეს შეუძლია გამოიძახოს მოწმეები და ჯვარედინად დაკითხოს მეორე მხარის მოწმეები<sup>12</sup> (დამატებით ამ საკითხთან დაკავშირებით, იხილეთ თავი V ქვემოთ).

რა თქმა უნდა, სასამართლო განხილვა არ არის სისხლის სამართალ-წარმოების პროცესის ერთადერთი ეტაპი. წინასასამართლო წარმოებაც ისევე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს საქმის საბოლოო შედეგის თვალსაზრისით, როგორც თვითონ სასამართლო განხილვა. ახალი საპროცესო კოდექსის მიღებამდე, საქმეზე ფაქტების დადგენა უმთავრესად ხდებოდა წინასასამართლო განხილვის ეტაპზე და არ

<sup>12</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 245

იძლეოდა დაცვის მხარის თანაბრად მონაწილეობის შესაძლებლობას. ფაქტიურად, ძველი კოდექსი გამომძიებელს და პროკურორს ნებას რთავდა, ებრძანებინა მოწმისთვის წინასწარი გამოძიების ეტაპზე ჩვენების მიცემა დამცველის მონაწილეობის გარეშე. დაკითხვის შედეგები შეიძლება დამაგრებულყო სასამართლო განხილვის ეტაპზე; ამდენად, დაცვის მხარეს თითქმის არ ჰქონდა ან საერთოდ არ ჰქონდა ჯვარედინი დაკითხვის წარმოების შესაძლებლობა. ახალი საპროცესო კოდექსი ამ ვითარებას რადიკალურად ცვლის. ის ნებას რთავს მოწმეს, *ნებაყოფლობით* მისცეს ინტერვიუ (გამოიკითხოს) ბრალდების ან დაცვის მხარის მიერ წინასასამართლო ეტაპზე.<sup>13</sup> ასევე, ახალი საპროცესო კოდექსით, *ორივე* მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, გამოიძახონ მოწმეები მოსამართლის წინაშე დასაკითხად წინასასამართლო განხილვის ეტაპზე.<sup>14</sup> ეს ყველაფერი კი აძლიერებს სისხლის სამართალწარმოების ზეპირ ხასიათს.

არსებობს გარემოებები, როდესაც კოდექსი იძლევა შესაძლებლობას, მოწმე დაკითხულ იქნას წინასასამართლო ეტაპზე და მისი ჩვენება შემდგომში გამოყენებული იქნას სასამართლოში ჯვარედინი დაკითხვის გარეშეც. ეს გარემოებებია, მაგალითად, როდესაც მხარე დაასაბუთებს, რომ არსებობს მოწმის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების „რეალური საფრთხე“, რამაც შეუძლია ხელი შეუშალოს მის გამოცხადებას სასამართლო სხდომაზე ან როდესაც მოწმე დიდი ხნით აპირებს საქართველოს ტერიტორიის დატოვებას. გარდა ამისა, მხარემ წინასასამართლო ეტაპზე მოწმე შეიძლება დაკითხოს, თუ მოსამართლე დარწმუნდება, რომ „გონივრული ძალისხმევის მიუხედავად, საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისთვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება შეუძლებელია“<sup>15</sup>. აუცილებელია აღინიშნოს, რომ თუ მოსამართლეები ლიბერალურად განმარტავენ „გონივრული ძალისხმევით“ მტკიცებულების სხვა წყაროებიდან „მოპოვების შეუძლებლობას“, მათ შეიძლება ზიანი მიაყენონ სასამართლო განხილვის ზეპირ ხასიათს და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს.

<sup>13</sup> იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლი, რომელიც ადგენს გამოიკითხვის წესს და მკაფიოდ აცხადებს, რომ ასეთი გამოიკითხვა *ნებაყოფლობითია*.

<sup>14</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლი; ძალაში შედის 2012 წლის 1 ოქტომბრიდან

<sup>15</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის პირველი პუნქტი



ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოდექსის ნაწილები, რომლებიც წინასასამართლო ეტაპზე მონშეთა ჩვენებებს ეხება, არ ამოქმედდება 2013 წლის 1 დეკემბრამდე<sup>16</sup> ანუ საკმაოდ ბევრი დრო რჩება, რა პერიოდშიც საქართველოს პარლამენტმა შეიძლება ძალაში დატოვოს ახალი კოდექსის აღნიშნული დებულებები ან შეიტანოს ცვლილებები. ამ დრომდე, გამოიყენება ძველი კოდექსის დებულებები, რაც გამომძიებლებს და პროკურორებს საშუალებას აძლევს, გამოიძახონ მონშეები და მიიღონ მათგან ჩვენებები ისე, რომ დაცვის მხარეს არ ექნება მათი დაკითხვის შესაძლებლობა.

### **თანაბარი შესაძლებლობები სასამართლო დარბაზის გარეთ**

ის, რისი გაკეთების შესაძლებლობასაც კანონი აძლევს მხარეებს სასამართლო სხდომების გარეთ მტკიცებულებების მოპოვების მიზნით შეიძლება არანაკლებ მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე რისი გაკეთებაც მათ სასამართლო დარბაზში შეუძლიათ. ბევრი ქართველი იურისტი თვლის, რომ ძველი კოდექსის ერთ-ერთი ნაკლოვანება გახლდათ ის, რომ ძველი კოდექსი არ აძლევდა მხარეს ფაქტების საკუთარი გამოძიების ჩატარების შესაძლებლობას, ხელისუფლების ორგანოებისგან ცალკე და დამოუკიდებლად. თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის რეალიზაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომ ახალი საპროცესო კოდექსი დაცვის მხარეს შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენოს ყველა სამართლებრივი ხერხი ინფორმაციის მოსაპოვებლად და მის წარსადგენად სასამართლოში მტკიცებულების სახით. დაცვის მხარეს არ სჭირდება პოლიციისთვის ან პროკურატურისთვის მიმართვა, რომ მათგან ითხოვოს საგამომძიებო მოქმედებების ჩატარება ან დოკუმენტების თუ სხვა ნივთმტკიცებების მიღება.

თუმცა, დაცვის მხარის შესაძლებლობები საკუთარი საგამომძიებლო მოქმედებების ჩატარების კუთხით განუსაზღვრელი არ არის. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აძლევს ბრალდებულს შესაძლებლობას, გაასაჩივროს სასამართლოს მიერ დაბარების უფლებამოსილება, მოითხოვოს ჩხრეკის ჩატარება ან მტკიცებულების გადაცემა.<sup>17</sup> მართალია, საპროცესო კოდექსის ადრეული პროექტე-

<sup>16</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლი

<sup>17</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლი

ბი ითვალისწინებდნენ მუხლს, რომელიც დაცვის მხარეს უფლებას აძლევდა, ეთხოვა სასამართლოსთვის, რომ ამ უკანასკნელს დაევალებინა პოლიციისთვის მტკიცებულების მოპოვების მიზნით ჩხრეკის და ამოღების ჩატარება, მაგრამ ეს მუხლი ამოღებული იქნა შემდგომი პროექტებიდან და ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მისი ამოღება მნიშვნელოვანი ნაკლია თანაბარი შესაძლებლობის პრინციპის ნამდვილი რეალიზების თვალსაზრისით.

არანაკლებ მნიშვნელოვანიორივე მხარისთვის თავიანთი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობის მიცემასთან ერთად, გახლავთ მოთხოვნა, რომ მხარეებმა ერთმანეთს გაუმჟღავნონ მტკიცებულებები, რომელთა გამოყენებასაც ისინი აპირებენ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში. ძველი კოდექსით, დაცვის მხარეს გარკვეულწილად მიუწვდებოდა ხელი პროკურატურის ხელთ არსებულ საქმის მასალებზე, მაგრამ ეს ხელმისაწვდომობა შეზღუდული იყო. ახალი კოდექსით კი აღნიშნული უფლებები უფრო გავრცობილია. ახალი საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, დაცვის მხარის მოთხოვნის შემდეგ პროკურორმა უნდა წარუდგინოს ინფორმაცია, რომლის გამოყენებასაც ბრალდების მხარე აპირებს დაცვის მხარის წინააღმდეგ, ხოლო ბრალდების მხარე ვალდებულია გადასცეს დაცვის მხარეს ეს ინფორმაცია.<sup>18</sup> ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ინფორმაციის გამჟღავნებას არეგულირებს არა მარტო სასამართლო განხილვის ეტაპზე, არამედ სისხლის სამართლებრივი დევნის ადრეულ ეტაპებზეც – სასამართლოში ბრალდებულის პირველად გამოცხადებამდე. 83-ე მუხლის მე-8 პუნქტი ბრალდების მხარეს ავალდებულებს, მისცეს მას ბრალდების მხარის ინფორმაციის და მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც აპირებს ბრალდების მხარე წინასასამართლო ეტაპზე.<sup>19</sup> ეს დებულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მცდელობა, შესრულდეს სახელმწიფოს ვალდებულება, რომ აცნობოს ბრალდებულს მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების შინაარსი, რაც გარანტირებულია სახელმწიფოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით. თუმცა, გაუგებარი მიზეზების

<sup>18</sup> ეს ვალდებულება ორმხრივია: ბრალდების მხარესაც აქვს უფლება, მოითხოვოს და მიიღოს ის ინფორმაცია დაცვის მხარისგან, რომლის გამოყენებასაც დაცვის მხარე აპირებს.

<sup>19</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-8 პუნქტი

გამო, აღნიშნული მუხლი ეხება არა მხოლოდ ბრალდების მხარეს, არამედ დაცვის მხარესაც; კერძოდ, დაცვის მხარეს ევალუა, მიაწოდოს ბრალდების მხარეს ინფორმაცია ასეთ ადრეულ ეტაპზე.<sup>20</sup>

## მტკიცების სტანდარტები

შეჯიბრებით სისტემას საძირკვლად უდევს ცნება, რომელსაც უდანაშაულობის პრეზუმფცია ეწოდება. ბრალდებული სასამართლო სისტემაში შეაბიჯებს ამ პრეზუმფციის დაცვის ქვეშ. მეორე მხრივ, ბრალდების მხარეს ეკისრება ტვირთი, რომ ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს იმ ხარისხით, რაც საკმარისი იქნება აღნიშნული პრეზუმფციის დასაძლევად. თუ პროკურორი ამ ტვირთის მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს, სასამართლო ვალდებულია მოხსნას ბრალდება (წინასასამართლო ეტაპზე) ან ბრალდებული ცნოს უდანაშაულოდ (სასამართლო განხილვის ეტაპზე).

სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე, ჩვეულებრივ, მტკიცების სხვადასხვა სტანდარტები გამოიყენება. ანგლო-ამერიკულ სისტემაში სასამართლო განხილვის საბოლოო ეტაპზე გამოყენებული მტკიცების სტანდარტი არის ყველაზე მაღალი – მტკიცება გონივრულ ეჭვს მიღმა. ბრალდების მხარეს შედარებით უფრო მსუბუქი ტვირთი ეკისრება სასამართლო პროცესის ადრეულ ეტაპებზე.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მეტნაკლებად აწესებს იგივე მტკიცების სტანდარტებს, რომლებიც შეერთებული შტატების სისტემაში გამოიყენება. ძველი კოდექსისგან განსხვავებით, ახალი საპროცესო კოდექსი ცდილობს, მკაფიოდ განსაზღვროს ეს სტანდარტები. საპროცესო კოდექსი ჩამოთვლის მტკიცების სამ ძირითად სტანდარტს – გონივრული ეჭვი, მაღალი ალბათობა და გონივრულ ეჭვს მიღმა.

გონივრული ეჭვის სტანდარტი გამოიყენება ბრალდების მხარის მიერ იმ გადაწყვეტილების მისაღებად, წარუდგინოს თუ არა სისხლისსამართლებრივი ბრალდება პირს. პრინციპში, ეს სტანდარტი იგივეა,

<sup>20</sup> ეს ცვლილება განხორციელდა 2010 წლის 7 დეკემბერს

რასაც ძველი კოდექსი ითვალისწინებდა მოქალაქის დაკავებისა და ბრალდების წარდგენისთვის.

მაღალი ალბათობის სტანდარტი ახალია. ეს სტანდარტი გამოიყენება წინასასამართლო სხდომაზე წარდგენილი მტკიცებულების მიმართ, იმის დასადგენად, უნდა გადაეცეს თუ არა საქმე არსებითი განხილვისთვის. საპროცესო კოდექსის თანახმად, მტკიცებულებები აკმაყოფილებს მაღალი ალბათობის სტანდარტს, თუ წინასასამართლო სხდომაზე წარდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა ქმნის „მაღალ ალბათობას“, რომ სხდომის მოსამართლე, მათი განხილვის შემდეგ, ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ.<sup>21</sup> იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე დაადგენს, რომ ბრალდების მხარე ვერ აკმაყოფილებს მასზე დაკისრებულ მტკიცების ტვირთს წინასასამართლო ეტაპზე, ბრალდების მხარეს უფლება აქვს, მოსამართლის განჩინება ერთჯერადად გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში.<sup>22</sup> უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წლამდე მასამართლეს უფლება ჰქონდა, საქმე „დაებრუნებინა“ პროკურატურისთვის და, ფაქტიურად, მიეცა მისთვის „მეორე შანსი“ მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის დასაკმაყოფილებლად. ახალი საპროცესო კოდექსით ამის შესაძლებლობა აღარ არსებობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსამართლე უარს იტყვის მხარეთა შორის მიღწეულ საპროცესო შეთანხმებაზე. ამ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას შეთანხმების დამტკიცებაზე და საქმე დაუბრუნოს პროკურორს.<sup>23</sup>

გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი გამოიყენება სასამართლო განხილვის ეტაპზე. საპროცესოს კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლო სისტემაში გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების ხარისხი არის მტკიცების ისეთი ხარისხი, რომელიც „ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში“.

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსი შეიცავს ცნებათა განსაზღვრებებს, სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე ყველა

<sup>21</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-12 პუნქტი

<sup>22</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლი: „თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლის-სამართლებრივ დევნას. განჩინება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში, საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში.“

<sup>23</sup> იხ. მუხლი 213

პირს კარგად უნდა ესმოდეს, რომ იმის დადგენა, თუ მტკიცების რა ხარისხი ნიშნავს ხარისხს გონივრულ ეჭვს მიღმა ან გონივრულ ეჭვს ანდა მალალ ალბათობას – ძალზე სუბიექტური იქნება. ამ ცნებების მეცნიერულად განსაზღვრა შეუძლებელია. აღნიშნული განსაზღვრებები არსებობს საქმის განმხილველი მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების გონებაში და შეიძლება შეიცვალოს ყოველ ნუთს ან ყოველ კონკრეტულ საქმეზე. ამან კი შეიძლება იმედგამაცრუებლად იმოქმედოს ყველაზე, მაგრამ ასეთი სუბიექტური სტანდარტების შექმნა ასახავს საზოგადოების მოთხოვნილებას, მიაღწიონ გადაწყვეტილების გამოტანას სისხლის სამართლის საქმეებზე, მაგრამ იმავდროულად ითვალისწინებს და აღიარებს იმ ფაქტს, რომ ადამიანების უნარი – დაადგინონ აბსოლუტური ჭეშმარიტება ამა თუ იმ მოვლენის შემთხვევაში – არის შეზღუდული. სისხლის სამართლის ადვოკატს ამ სუბიექტური სტანდარტების არსებობა აძლევს შესაძლებლობას, განავითაროს სისხლის სამართლის ადვოკატირების ნამდვილი „ხელოვნება“. ეს სტანდარტები ტოვებენ ადგილს მტკიცებულებათა სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციისთვის და არგუმენტაციისთვის. ისინი იძლევიან შანსს, დაარწმუნო მსმენელი მისი ლოგიკის და სამართლიანობის გრძნობაზე აპელირებით.

## **გასამართლება ნაფიც მსაჯულთა მიერ**

უდავოა, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები, რომლებმაც ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების ყველაზე დიდი ყურადღება მიიპყრეს, გახლავთ სწორედ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვასთან დაკავშირებული დებულებები. საპროცესო კოდექსის 22-ე თავი დეტალურად განმარტავს, თუ როგორ მოხდება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა საქართველოში. ეს თავი მოიცავს მთელ რიგ საკითხებს, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა შერჩევას, მხარეთა როლს, ნაფიც მსაჯულთათვის განმარტებების მიცემას, მტკიცებულებათა წარდგენის რიგითობას და ნაფიც მსაჯულთა უფლებებს. სიფრთხილის მოსაზრებებიდან გამომდინარე, კოდექსის შემქმნელებმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეტაპობრივი შემოღება დაანესეს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედების პირველ წელს კოდექსი ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვის

შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ ქ. თბილისში დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის საქმეებზე.<sup>24</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოქმედება თანდათანობით გავრცელდება სხვა დანაშაულებზე და ქვეყნის სხვა რაიონებზე.<sup>25</sup>

კოდექსის შედგენის პროცესში მისი შემდგენლები კამათობდნენ იმასთან დაკავშირებით, ელიარებინათ თუ არა „ნაფიც მსაჯულთა მიერ გასამართლების უფლება“ მხოლოდ ბრალდებულის უფლებად თუ ბრალდების მხარესაც ჰქონოდა სათქმელი ამ საკითხში. საბოლოო ჯამში, შემდგენლებმა გადაწყვიტეს, რომ ორივე მხარეს უნდა ჰქონოდა ეს უფლება; ამიტომ, მათ შემოიღეს *პრეზუმფცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სასარგებლოდ* იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეჭვად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობაში. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ თუ რომელიმე მხარეს სურს, რომ საქმე განხილულ იქნას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, მაშინ საქმე უნდა იქნას განხილული ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.<sup>26</sup> დაცვის მხარისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კოდექსი ბრალდებულს იცავს ერთი და იგივე დანაშაულისთვის ხელმეორედ გასამართლებისგან (რაც საერთო სამართლის ქვეყნებში ცნობილია, როგორც დოუბლე ენოპარდუ) იმით, რომ ბრალდების მხარეს არ შეუძლია გაასაჩივროს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გამამართლებელი ვერდიქტი. ეს აკრძალავს ამავდროულად მხარს უჭერს ნაფიც მსაჯულთა მიერ გადაწყვეტილების მიღების კეთილსინდისიერებას და ხელს უწყობს ინდივიდუალური მსაჯულების მიერ პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

კოდექსის შემდგენლებს შესაძლოა გამორჩათ, რომ დაევალებულათ ნაფიცი მსაჯულები, რათა მათ წარმოედგინათ რაიმე წერილობითი დასაბუთება მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტისა. მართალია, ეს აუცილებელი არ არის შეერთებულ შტატებში და საერთო სამართლის სხვა ქვეყნებში, რომლებშიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს, მაგრამ ვერდიქტის დასაბუთების არარსებობა შეიძლება დაბრკოლება გახდეს საქართველოსთვის, როგორც ევროპის საბჭოს წევრისა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციაზე ხელმომწერის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით.

<sup>24</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლის პირველი პუნქტი

<sup>25</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლის 1 – 4 პუნქტები

<sup>26</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლი



საქმეში *Taxquet v. Belgium*<sup>27</sup> ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ ბელგიის ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი არ იყო საკმარისად დასაბუთებული და ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლს – სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ევროპის სასამართლომ განაცხადა, რომ გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთება აუცილებელია, რადგან ერთი მხრივ ეს იცავს ბრალდებულს და მეორე მხრივ ქმნის ბასტიონს თვითნებური გადაწყვეტილებების მიღებისგან დასაცავად. რადგან ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრეცედენტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს სამართლის სისტემისთვის და შესაძლოა საქართველოს წინააღმდეგაც გამოიტანოს ევროპის სასამართლომ მსგავსი გადაწყვეტილებები, საქართველოს სასამართლოებმა შეიძლება განიხილონ შესაძლებლობა, რომ ნაფიც მსაჯულებს მიაწოდონ დეტალური განმარტებები და მოსთხოვონ საკმაოდ დეტალური პასუხები, თუ მათი ვერდიქტი წინააღმდეგობაში იქნება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მოსაზრებებთან.<sup>28</sup>

## დასკვნა

აღბათ უკვე გასაგებია, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არის რევოლუციური ცვლილება საქართველოს სამართლებრივ განვითარებაში. კოდექსი ითვალისწინებს ბრალდებულის დაცვის და სამართლიანი პროცესის გარანტიების სრულიად ახალ კომპლექსს. ის უფრო მეტს მოითხოვს პროკურორებისგან და დამცველებისგან, როგორც ადვოკატებისგან. იგი საქართველოს მოქალაქეებს სთავაზობს შესაძლებლობას, რომ მიიღონ მონაწილეობა ახალი, დემოკრატიული მმართველობის სისტემაში ყველაზე პირდაპირი და შეგნებული გზით – როგორც ხმის უფლების მქონე ნაფიცმა მსაჯულებმა.

რა თქმა უნდა, საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა დასრულებული არ არის. სისხლის

<sup>27</sup> იხ. *Taxquet v. Belgium*, განაცხადი 926/05, 16 ნოემბერი 2010წ.

<sup>28</sup> თუმცა 213-ე მუხლი ადგენს ზოგად წესებს, თუ როგორ უნდა მისცეს მოსამართლემ განმარტებები ნაფიც მსაჯულებს, ეს ზოგადი წესები შეიძლება არასაკმარისად კონკრეტულ განმარტავდეს, თუ როგორ უნდა განმარტონ და დაასაბუთონ თავიანთი ვერდიქტი ნაფიცმა მსაჯულებმა.

სამართლის საპროცესო კოდექსი ჯერ ისევ შეიცავს ბევრ ნაკლს და ურთიერთსაინანაღმდეგო ელემენტებს. ფაქტიურად, ამ ახალ საპროცესო კოდექსზე, მისი განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე, საუკეთესო იქნება თუ ვიფიქრებთ, როგორც „მიმდინარე სამუშაოზე“, რომელშიც ბევრი ცვლილება და კორექტივი შევა დროთა განმავლობაში. თუმცა, არ უნდა შეგვეშალოს: კოდექსის შემდგენელთა მიერ არჩეული გზა არის შეჯიბრებითი სამართალწარმოების პროცესის გზა. ეს გზა ქართველი იურისტებისგან მოითხოვს, რომ ისინი სწრაფად დაეუფლონ სისხლის სამართალში ადვოკატირების ხელოვნებას, თუ ამ კოდექსის საფუძველზე განხორციელებული მართლმსაჯულების ხარისხი უნდა იყოს ის, რაც ჩაფიქრებული იყო კოდექსის შემდგენლების მიერ.



### III. სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა

რადგან საქართველოს გადასვლა შეჯიბრებით სისტემაზე გახლდათ მოულოდნელი და არა დროში თანდათანობით განვითარების შედეგი არსებობს გასაგები გაურკვეველობა თუ რეალურად რას ნიშნავს შეჯიბრებითი პროცესი და რითი განსხვავდება იგი ინკვიზიციური სისტემისაგან. შესაბამისად სასარგებლო იქნება წარმოვადგინოთ შეჯიბრებითი სისტემის წარმოშობის და ძირითადი ელემენტების შესახებ ინფორმაცია, მანამ სანამ გადავიდოდეთ იურისტისთვის საჭირო უნარჩვევებზე.

#### A. შეჯიბრებითი პროცესის ელემენტები

ბოლო დროს მთელს მსოფლიოში სამართლებრივი სისტემები ორ ძირითად მიდგომას იყენებენ სისხლის სამართლის პროცესისადმი: ინკვიზიციური მიდგომა, რომელიც დაწერილი სამართლის სისტემის ქვეყნებში გამოიყენება და შეჯიბრებითობის მიდგომა, რომელიც საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში გამოიყენება. ინკვიზიციური მიდგომა წარმოიშვა კონტინენტურ ევროპაში და დღემდე მოქმედებს იქ. შეჯიბრებითობის მიდგომა წარმოიშვა დიდ ბრიტანეთში და დღესდღეობით მოქმედებს როგორც დიდ ბრიტანეთში, ისე ბრიტანეთის ბევრ ყოფილ კოლონიაში.<sup>29</sup>

ტრადიციული ინკვიზიციური მოდელები ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ, თეორიულად, ნეიტრალურმა მოსამართლემ მტკიცებულებებიც უნდა განავითაროს და საბოლოო გამამტყუნებელი ან გამამართლებელი გადაწყვეტილებაც გამოიტანოს.

შეჯიბრებითი სისტემები ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ორი მონინაალმდევე მხარის ერთმანეთთან დაპირისპირება, როდესაც თითოეული მათგანი წარმოადგენს სიმართლის თავისეულ ვერსიას, არის საუკეთესო გზა გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის სავარაუდო სიმართლის დასადგენად.

<sup>29</sup> კრეიგ მ. ბრედლი, სისხლის სამართლის პროცესი: მსოფლიო კვლევა, (1999 წელი კაროლინის აკადემიის პრესა), xv

სისტემა განიხილება, როგორც შეჯიბრებითი სისტემა, თუ ის მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. გადაწყვეტილების მიმღები პირი არის ნეიტრალური და პასიური (ეს პირი შეიძლება იყოს მოსამართლე ან მსაჯულები).
2. მტკიცებულებების წარმოდგენაზე პასუხისმგებელი არიან მხარეები და არა სასამართლო.
3. მტკიცებულებები წარდგენა ხდება ფორმალურ გარემოში, სადაც პროცესის მიმდინარეობა და მასში მონაწილე პირების ქცევა რეგულირდება წესების კრებულით (როგორც წესი, მტკიცებულების წარდგენა ხდება ზეპირი ჩვენების სახით, მონმეების მიერ, რომელთა დაკითხვაც შეუძლია ორივე მხარეს ღია სასამართლო სხდომის პირობებში).

ამ ელემენტების მიუხედავად, ყოველთვის არსებობს მოქნილობის და მისადაგების შესაძლებლობებიც. მაგალითად, შეჯიბრებითი სისტემების უმრავლესობაში მოსამართლეებს უფრო მეტი უფლება აქვთ, ვიდრე მხოლოდ ის, რომ ისხდნენ წყნარად და უსმინონ მხარეებს. მათ აქვთ გარკვეული შესაძლებლობა, დაუსვან შეკითხვები მონმეებს და ჩაატარონ შედეგის მომტანი გამოკვლევა ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. შეჯიბრებითი სისტემები ასევე იძლევა საშუალებას, ზოგიერთი ტიპის მტკიცებულება გადაწყვეტილების მიმღებ პირს წარედგინოს არა მხოლოდ პირველი (ხელის) პირის ზეპირი ჩვენების ფორმით. ანგლო-ამერიკულ სამართლის ტრადიციაში ასეთ მნიშვნელობას ხშირად ანიჭებენ მტკიცებულების ისეთ კატეგორიებს, რომლებიც „სხვისგან მოსმენილის წესის“ გამონაკლისებს განეკუთვნება. ეს წესი ზოგადად კრძალავს სხვისგან მოსმენილი ინფორმაციის გამოყენებას.

#### უპირატესობის მინიჭება ცოცხალი მონმეებისთვის

შეჯიბრებითი სასამართლო პროცესის ეფექტურად ფუნქციონირების მიზნით, აუცილებელია, რომ სასამართლომ აჩვენოს მკვეთრად გამობატული უპირატესობა ცოცხალი მონმეების ჩვენებებისადმი.

არსებობს სამი ძირითადი მიზეზი, თუ რატომ უნდა იყონ ცოცხალი მონმეები ვალდებული, მისცენ ჩვენება სასამართლოში და მისცენ მხარეებს მათი დაკითხვის საშუალება. ეს მიზეზებია:

1. ამით უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევა ბრალდებულს, კითხვის ნიშნის ქვეშ დასვას ბრალდების პოზიცია და წარმოადგინოს თავისი დაცვითი პოზიცია. ეს აუცილებელია მისი სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლების დასაცავად, გამოიძახოს და დაკითხოს მონმეები.
2. ეს აძლიერებს სასამართლოს მიერ ქმმარიტების დადგენის ფუნქციას, რადგან ხშირად იგი ზრდის გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლის მიერ განსახილველი ინფორმაციის სანდოობის დონეს.
3. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს მიერ განსახილველი ინფორმაცია მოექცეს უფრო მეტი საზოგადოებრივი დაკვირვების ქვეშ. ეს წარმოადგენს მართლმსაჯულების ორგანოებზე – სასამართლოებზე, პროკურატურაზე და პოლიციაზე საზოგადოების მიერ ზედამხედველობის განხორციელების მნიშვნელოვან ხერხს, რამაც დროთა განმავლობაში უნდა გამოიწვიოს საზოგადოების ნდობის ამაღლება ამ დანესებულებებისადმი.

შეჯიბრებით სისტემებში, არა პირველი ხელისგან (პირისგან) ანუ ცოცხალი მონმისგან მიღებული ინფორმაციის გამოყენების დაუშვებლობის დასაბუთება, ჩვეულებრივ, არის ის, რომ ეს ინფორმაცია არასანდოა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ სისტემებში ცოცხალი მონმისგან მიღებული ჩვენება ითვლება არა იმთავითვე უფრო სანდოდ, არამედ უფრო სანდოდ და დამაჯერებლად მიიჩნევა იმიტომ, რომ მისი სანდოობა და დამაჯერებლობა შეიძლება შემონმდეს დაკითხვისა და ჯვარედინი დაკითხვის პროცესის გზით.

გარდა ამისა, ცოცხალი მონმის მიერ ჩვენების მიცემის სავალდებულოობა ფაქტების დამდგენ პირს შესაძლებლობას აძლევს, მხედველობაში მიიღოს მონმის ასაკი, განათლება, შეგნების დონე და საქციელი (მონმის ქცევა), რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მონმის დამაჯერებლობასთან დაკავშირებით ფაქტის დამდგენი პირის აზრის ჩამოყალიბებაზე. ამ შემთხვევაში მოითხოვება უშუალოდ პირისპირ შეხვედრა ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის, რამაც შეიძლება გამოავლი-

ნოს ვინაობის დადგენაში დაშვებული შეცდომები, ბრალდებულის შესახებ წინასწარ ჩამოყალიბებული აზრის არსებობა და წინასწარ განზრახულად ტყუილი ბრალდების წარდგენის შემთხვევებიც კი. უშუალოდ სასამართლოს სხდომაზე მხარეთა მიერ მოწმის დაკითხვა ასევე საშუალებას აძლევს სასამართლოს, მიიღოს გაცილებით მეტი ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მან უნდა გამოიტანოს გადანწყვეტილება, ვიდრე ინფორმაცია, რომელსაც ის მიიღებდა მხოლოდ პოლიციის მიერ შედგენილი დოკუმენტების წაკითხვით. პოლიციის თანამშრომლებს ხშირად არ გააჩნიათ შესაბამისი საკითხების სრულყოფილი ცოდნა და არ იციან საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, როდესაც ისინი კითხავენ მოწმეს ან ადგენენ თავიანთ დოკუმენტებს. აქედან გამომდინარე, პოლიციის თანამშრომელმა შეიძლება გამოტოვოს მნიშვნელოვანი ფაქტები თავის დოკუმენტებში ან ძალიან ვიწრო მიდგომით წარმართონ გამოძიება. პოლიციის ანგარიშების ამ უკმარისობების გამოსწორება ხშირად შესაძლებელი ხდება სასამართლო სხდომაზე მხარება მიერ მოწმეების სრულფასოვანი დაკითხვის გზით.

## **B. ისტორიული განვითარება**

შეჯიბრებითი პროცესი სათავეს იღებს ინგლისის ისტორიული განვითარებიდან. შუასაუკუნეების ინგლისში (400 – 1400 წლები ქრისტესშობიდან), დავების გადანწყვეტის ფორმებად, სხვა ფორმებთან ერთად, მიღებული იყო სასამართლო დუელი და სასამართლო ორდალი. სასამართლო დუელის დროს ბრალდებული ვალდებული იყო შებრძოლებოდა ბრალმდებელს. ამას საფუძვლად ედო მოსაზრება, რომ ღმერთი გამარჯვებას მიანიჭებდა მას, ვინც მართალი იყო. სასამართლო ორდალი ამის მსგავსი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ისიც ემყარებოდა „ღვთის მსჯავრს“. სასამართლო ორდალის დროს პროცესის მხარე თავის თავს დაუქვემდებარებდა წამებას, როგორცაა, მაგალითად, გახურებული მეტალის ნაჭრის წაღება, ხელის ჩადება მდულარე წყალში ან წყალში მთლიანად ჩაძირვას. თუ ის გაუძლებდა ამ ორდალს, შემდეგ მის მიმართ გამოჰქონდათ განაჩენი. მართალია, დავების გადანწყვეტის აღნიშნული მეთოდება ნაკლებად მოითხოვდა მტკიცებულებებს, მაგრამ ისინი ნამდვილად მოიცავდა ისეთ პროცესულურ ელემენტებს, რომლებსაც ინგლისში სამართლის განვითარების გვიანდელ ეტაპებზე ვხვდებით: ეს მეთოდები მოითხოვდა მხა-

რეების აქტიურ მონაწილეობას, ხოლო მოსამართლის მხრივ მხოლოდ შეზღუდულ მონაწილეობას.

შუასაუკუნეების უცოდინრობისა და ცრურწმენებისგან გამოსვლის შემდგომ ინგლისში შემუშავდა კონფლიქტების გადაწყვეტის უფრო დახვეწილი, ლოგიკურ საფუძვლებზე აგებული მეთოდები: სასამართლო ორგანოების სისტემა და სასამართლო პროცესი. სამართლებრივი განვითარების ადრეულ ეტაპებზე სასამართლო პროცედურები, თავიანთი ხასიათით, იყო არა შეჯიბრებითი, არამედ უფრო ინკვიზიციური. მონმეებს ჰკითხავდნენ მოსამართლეები. მოსამართლეები ბრალდებულს მხოლოდ მცირეოდენ მონაწილეობის უფლებას აძლევდნენ ან საერთოდ არ აღებინებდნენ მონაწილეობას პროცესში. ადვოკატების მონაწილეობას არ იყო ხშირი. მოსამართლეები ხშირად გამოხატავდნენ თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებს სასამართლო პროცესის მსვლელობისას.

ბრიტანულმა შეჯიბრებითმა პროცესმა ნამდვილად ჩამოყალიბება დაიწყო მე-17 და მე-18 საუკუნეებში. არავინ გამოსულა და შეუქმნია შეჯიბრებითი სისტემა ინკვიზიციური სისტემის საფუძველზე. შეჯიბრებითი სისტემა განვითარდა ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში. ეს იყოს შედეგი, როგორც მინიმუმ, დასაწყისში მაინც, მოსამართლეებისა და ადვოკატების მიერ ყოველდღიურ სასამართლო დარბაზის ქცევებში ცვლილებების შეტანისა, რომლებმაც თანდათანობით ახალი ფორმა მისცა იმას, თუ როგორ უნდა წარმართულიყო სასამართლო პროცესი. მოსამართლეებმა დაიწყეს უფრო მეტი თავისუფლების მიცემა ბრალდებულისთვის და მისი ადვოკატებისთვის მტკიცებულებების წარდგენის და არგუმენტების გამოთქმის თვალსაზრისით. ადვოკატები კი ჩაეჭიდნენ ამ ახალ შესაძლებლობებს, რათა უფრო აქტიური როლი ეთამაშათ სამართალწარმოების პროცესში და გაეზარდათ ადვოკატის მნიშვნელობა ამ სისტემაში. ადვოკატების გააქტიურების შედეგად სასამართლოებმა დაიწყეს უფრო რთული ნესების დადგენა იმისათვის, რომ გაეკონტროლებინათ ადვოკატების ქცევა და დაეღვინათ სამართალწარმოების პროცესის სტრუქტურა.

ბევრი განმარტება გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ განხორციელდა ეს ცვლილებები: უფრო მეტად დემოკრატიული იდეალების და პრინციპების განვითარება, ინდივიდუალიზმის აღზევება,

საბაზრო ეკონომიკის ზრდა და ინკვიზიციური სისტემით ბოროტად გამოყენების შემთხვევებზე რეაგირების მოხდენა. საბოლოოდ განსაზღვრული განმარტება არ არსებობს. სავარაუდოდ, აღნიშნული ცვლილებები ყველა ამ მიზეზის ერთობლიობამ განაპირობა.

დედამინის შორეულ წერტილებამდე თავისი იმპერიის გაფართოებასთან ერთად, დიდ ბრიტანეთს თან შეჰქონდა საკუთარი სამართლებრივი სისტემა. შეჯიბრებითობის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემები საკმარისად მსგავსი ფორმით ამჟამად მოქმედებს ბრიტანეთის ბევრ ყოფილ კოლონიაში, როგორცაა კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატები.

დღესდღეობით შეერთებულ შტატებში მოქმედებს სამართლებრივი სისტემა, რომელიც ალბათ ყველაზე მეტად ასოცირდება შეჯიბრებით სამართალწარმოების პროცესთან. მნიშვნელოვან წილად ეს მიენერება ამერიკულ ფილმებსა და ტელევიზიას, რომლებიც სასამართლო პროცესს დრამატულ მექანიზმად წარმოაჩენენ. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ იმ დიალოგების და ქცევის დიდი ნაწილი, რომლებიც წარმოდგენილია ამ ფილმებში და პროგრამებში ნაჩვენებ სასამართლო დარბაზის სცენებში არასოდეს დაიშვება ნამდვილ ამერიკულ სასამართლო დარბაზებში. ამ „სასამართლო დრამების“ უმრავლესობა არ წარმოადგენს შეერთებულ შტატებში მიღებული სამართლო პროცესის რეალისტურ ასახვას.

მართალია, შეერთებულ შტატებში შეჯიბრებითი მოდელის არსებობის მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ისტორიულ კავშირში მდგომარეობს, მაგრამ შეერთებულ შტატებში მიღებული შეჯიბრებითი პროცესის ბევრი ელემენტის სამართლებრივი საფუძველი გამომდინარეობს შეერთებული შტატების კონსტიტუციაში შეტანილ მე-9 ცვლილებიდან. მე-9 ცვლილება ადგენს რიგ „კონსტიტუციურ უფლებებს“, რომელთაგან ზოგიერთი არის იგივე უფლებები, რომლებიც სამართლიანი სასამართლო პროცესის საერთაშორისო სტანდარტებითაა დაცული. ეს უფლებებია: უფლება, გასამართლებულ იქნას დაუსაბუთებელი დაყოვნების გარეშე („დროულად გასამართლების უფლება“), საჯარო სასამართლო პროცესის უფლება, უფლება, აცნობონ მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების ხასიათი და შინაარსი, მის წინააღმდეგ არსებულ მონმებთან დაპირისპირების უფლება, უფლება გამოიძახოს მონმეები,



რომლებიც მის სასარგებლო ჩვენებას მისცემენ და უფლება, წარმოდგინონ იყოს ადვოკატის მიერ. მართალია, კონსტიტუცია არ მოიხსენიებს არც უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებას და არც იმ მოთხოვნას, რომ მთავრობამ ამტკიცოს ბრალდებული ბრალეულობა გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტით, ამერიკულმა სასამართლობამ დაადგინეს, რომ, ვინაიდან, ეს ორივე უფლება არსებობს საერთო სამართალში, ისინი ნაგულისხმევია კონსტიტუციის მიერ და ბრალდებულს უნდა შეეძლოს ამ უფლებებით სარგებლობა. აღნიშნულმა კონსტიტუციურმა უფლებებმა, რომლებიც შეერთებულ შტატებში მიღებული შეჯიბრებითი სასამართლო პროცესის საფუძველს წარმოადგენს, წლების განმავლობაში ასახვა ჰპოვა ადამიანის უფლებათა მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაში (იხ. ზემოთ, თავი I: სამართლიანი სასამართლო პროცესის საერთაშორისო სტანდარტები) და ბევრი სხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციაში და საპროცესო კოდექსში.

### **C. შეჯიბრებითი პროცესის ძლიერ და სუსტ მხარეებად მიჩნეული ფაქტორები**

ცხადია, არც ერთი სამართლებრივი სისტემა არ უზრუნველყოფს იდეალურ ბალანსს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და რესურსების დაცვასა და ინდივიდუალური ადამიანის უფლებების დაცვას შორის. შეჯიბრებით პროცესს ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა სისტემას, აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნულ ძლიერ და სუსტ მხარეებად მიჩნეულია შემდეგი:

1. ძლიერ მხარეებად მიჩნეული ფაქტორები:
  - a. ხელს უწყობს სასამართლოს მიუკერძოებლობას და ნეიტრალობას.
  - b. ეს არის ქვეყნის დადგენის საუკეთესო მექანიზმი, ვინაიდან:
    - გადანყვეტილების მიმღებ პირს აქვს საკითხის სხვადასხვა

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართული იურისტებისათვის

პერსპექტივიდან დანახვის და სხვადასხვა არგუმენტების მოსმენის შესაძლებლობა.

- ცოცხალი მონმისგან მიღებული გადამონმებული ჩვენება, ჩვეულებრივ, უფრო სანდო და სრულია, ვიდრე მეორე ხელისგან მიღებული გადაუმონმებელი ინფორმაცია.
- მხარეებს, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული თავიანთ სასარგებლოდ ფაქტების გამოაშკარავებით, ეძლევათ ამის გაკეთების საშუალება.

c. ეს არის დავის გადანყვეტის ღია და ჩართულობის უზრუნველყოფი ფორმა, რომელიც მუშაობს ინდივიდუალური უფლებების დაცვის სასარგებლოდ და საზოგადოების თვალში პროცესს აძლევს ლეგიტიმაციას.

d. შეჯიბრებითი სასამართლო პროცესი ითვალისწინებს კონკრეტულ თარიღს, როდესაც საკითხი შეიძლება გადანყვეტს.

2. სუსტ მხარეებად მიჩნეული ფაქტორები:

a. ზედმეტად ძვირი ჯდება.

b. ზედმეტად უთანასწოროა. ბრალდების და დაცვის მხარეებს შორის, ბრალდების მხარეს, ჩვეულებრივ, გაცილებით მეტი რესურსი გაჩნია. ბრალდებულებს შორის კი, უფრო მდიდარ ბრალდებულს შეუძლია უფრო უკეთესი სამართლებრივი დახმარება დაიქირავოს.

c. საპროცესო წესები ზოგჯერ ხელს უშლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ჩვენების მოსმენას.

## D. შეხების ნერტილები

მართალია, ინკვიზიციური და შეჯიბრებითი მოდელების, როგორც



სხვადასხვაგვარი მიდგომების ერთმანეთისგან მთლიანად გამიჯვნა, ადვილს ხდის მათ ურთიერთშედარებით განხილვას, სინამდვილეში ამ ორი მიდგომის ერთმანეთისგან ასეთი გამიჯვნა მთლად ცალსახა არ გახლავთ. პროცედურები, რომლებიც „ინკვიზიციურ“ სისტემას მიენერება, შეიძლება შეგვხვდეს ბევრ შეჯიბრებით სისტემაში და, პირიქით, შეჯიბრებითი სასამართლო პროცესის ელემენტებს ვხვდებით ინკვიზიციურ სისტემებში. მოკლედ რომ ვთქვათ, დღესდღეობით არ არსებობს „წმინდანყლის“ შეჯიბრებითი ან ინკვიზიციური სისტემა.

ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტად იზრდება ამ ორი სისტემის ურთიერთშეხების ნერტილები. ასეთი ურთიერთგადაკვეთის შემთხვევების რაოდენობის ზრდა განპირობებულია იმით, რომ ტრადიციული ინკვიზიციური სისტემები უფრო მეტად იძენენ შეჯიბრებითი სისტემის ელემენტებს. რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ: ევროპაში, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის დებულებები განმარტა იმგვარად, რომ ნევრი ევროპული ქვეყნების სასამართლოებს მოეთხოვებოდათ, უპირატესობა მიანიჭონ ცოცხალი მონმის ჩვენებას და ბრალდებულს საკმარისი შესაძლებლობა მისცენ იმისა, რომ ისინი დაუპირისპირდნენ და დაკითხონ მათ წინააღმდეგ გამომსვლელი მონმეები სასამართლოში (იხ. თავი I, სამართლიანი სასამართლო პროცესის საერთაშორისო სტანდარტები, მონმეთა გამოცხების და დაკითხვის უფლება).

შეჯიბრებითი სასამართლო პროცესიდან უფრო მეტი ელემენტების აღების ტენდენცია თავის მხრივ რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. ამ ფაქტორებში, სავარაუდოდ, შედის: მსოფლიოს საზოგადოებების მიერ უფრო მეტი აქცენტის გაკეთება ინდივიდუალური უფლებების დაცვაზე; სამართლიანი სასამართლო პროცესის საერთაშორისო ისეთი ნორმების განვითარება, რომლებიც შეჯიბრებითი პროცესის ელემენტებს მოიცავს; და მძლავრი პოლიტიკური და კულტურული გავლენა, რომელსაც შეჯიბრებითი სამართლებრივი სისტემების მქონე ქვეყნები ახორციელებენ მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივ რეფორმებზე.

## IV. სისხლის სამართალში ადვოკატირების უნარ-ჩვევები: შესავალი სიტყვა და საქმის ვერსიის ჩამოყალიბება

### ქართული საპროცესო კანონმდებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი გასაგებად ადგენს, რომ სისხლის სამართლის საქმის მხარეებს აქვთ უფლება, სასამართლო პროცესის დაწყებისას წარადგინონ თავიანთი შესავალი სიტყვები. 241-ე მუხლში ნათქვამია:

1. სხდომის თავმჯდომარე ბრალდების მხარეს უფლებას აძლევს, წარადგინოს ბრალდების შესავალი სიტყვა. ამის შემდეგ ადვოკატსა და ბრალდებულს ეძლევათ უფლება, წარადგინონ დაცვის შესავალი სიტყვა.
2. სხდომის თავმჯდომარე მხარეს შესავალი სიტყვის წარსადგენად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, 241-ე მუხლი მხარეებს აძლევს შესავალი სიტყვით გამოსვლის უფლებას, მაგრამ ისინი არ არიან ვალდებული წარმოთქვან შესავალი სიტყვა. მხარეს შეუძლია გამოტოვოს ეს შესავალი ნაწილი. განსხვავება უფლებასა და ვალდებულებას შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრალდებულისთვის. რადგან ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება და მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება, ბრალდებული არ უნდა იყოს ვალდებული თქვას რაიმე საკუთარი თავის დასაცავად მოსამართლისა თუ მსაჯულის მიმართ, მათ შორის, შესავალი სიტყვა (რა თქმა უნდა, იგივე ეხება ბრალდებულის სახელით მოქმედ ადვოკატს).

241-ე მუხლი არ განსაზღვრავს შესავალი სიტყვის ხანგრძლივობას. ის ადგენს მხოლოდ, რომ მოსამართლე მისცემს მხარეებს „გონივრულ ვადას“ საამისოდ. სავარაუდოდ, მოსამართლის მიერ იმის შეფასება, თუ კონკრეტულად რამდენი დრო უნდა ჩაითვალოს „გონივრულად“ კონკრეტულ შემთხვევაში, მოხდება სამართლიანობის და მხარეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემის პრინციპიდან გამომდინ-

არე. თუმცა, შესავალი სიტყვის მომზადებისას გონიერმა ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს შესავალი სიტყვის შეზღუდული მიზნები და მსმენელთა ყურადღების შედარებით ვიწრო დიაპაზონი. ამის შესახებ უფრო დანვრილებით ვიტყვით ქვედა პუნქტში.

### **რა არის შესავალი სიტყვა?**

შეჯიბრებითი სისტემის მქონე ბევრ ქვეყანაში შესავალი სიტყვა არის პირველი შესაძლებლობა მხარეებისთვის, რომ მიმართონ მოსამართლეს (ან მსაჯულებს) საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. შესავალი სიტყვის ძირითადი ფუნქციაა გადაწყვეტილების მიმღებ პირს დაეხმაროს იმ მტკიცებულებების გააზრებაში, რომლებიც წარმოდგენილი იქნება სასამართლო პროცესის დროს.

შეჯიბრებითი სასამართლო პროცესის დროს გადაწყვეტილების მიმღებ პირს ინფორმაცია მიეწოდება პატარ-პატარა ნაჭრებად, მონმეების მიერ ჩვენებების მიცემის სახით. შესავალი სიტყვის დანიშნულებაა, გადაწყვეტილების მიმღებ პირს შეუქმნას წარმოდგენა, თუ როგორი იქნება ეს გამოცანა მას შემდეგ, რაც ყველა ეს პატარა ნაჭერი ერთ მთლიანობად აიკინძება. ცხადება, უმრავლეს შემთხვევაში, ბრალდების მხარე და დაცვის მხარე სასამართლოს სხვადასხვაგვარ სურათს წარუდგენს. საქმის ვერსია არის ის, რაც მხარის მიერ წარმოდგენილ სურათს წარმოადგენს მთლიანობაში.

### **საქმის ვერსია**

საქმის ვერსია არის თითოეული მხარის ვერსია იმასთან დაკავშირებით, თუ „სინამდვილეში რა მოხდა“. ეს არის ცნება, რომელიც ხსნის საქმის იურიდიულ ასპექტებს და ფაქტობრივ გარემოებებს და აკავშირებს ამ ორს ერთმანეთთან. საქმის ვერსია მხარის პოზიციის ცენტრალური ნაწილია.

საქმის ვერსია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

აღვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის

- უნდა იყოს მარტივი და ადვილად გასაგები
- უნდა იყოს ლოგიკური
- უნდა შეესაბამებოდეს მხარის მოთხოვნის იურიდიულ მოთხოვნებს
- თავსებადი უნდა იყოს ჩვეულებრივი ადამიანის შეხედულებასთან იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება რეალურ ცხოვრებაში.

დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი საქმის ვერსიები, როგორც წესი, დაცვით სამართლებრივ პოზიციაზე აწყობილი, მაგრამ დაცვითი სამართლებრივი პოზიცია ხშირად არასაკმარისია ვერსიის სრულყოფილად ჩამოყალიბებისთვის, რადგან ის, ჩვეულებრივ, ასახავს მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებს მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საქმეებში ხშირად გამოყენებული დაცვითი სამართლებრივი პოზიციებია:

*დაცვითი სამართლებრივი პოზიცია 1: ბრალდებულს არ მიუღია მონაწილეობა ქმედებაში, რომელიც დანაშაულს წარმოადგენს.*

*დაცვითი სამართლებრივი პოზიცია 2: ბრალდებულის ქმედება იყო კანონიერი, ვინაიდან ის მოქმედებდა თავდაცვის მიზნით.*

*დაცვითი სამართლებრივი პოზიცია 3: ბრალდებულმა მონაწილეობა მიიღო ქმედების ჩადენაში, მაგრამ მას არ ჰქონდა დანაშაულებრივი განზრახვა.*

ამ დაცვით სამართლებრივ პოზიციებზე აწყობილი საქმის ვერსიების მაგალითებია:

*ვერსია 1:* ეს საქმე ეხება ვინაობაში დაშვებულ შეცდომას და პოლიციის მიერ არასაკმარის გამოძიებას. ჩემი კლიენტი არ არის ის პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა. პოლიცია იმდენად მონდომებული იყო, ვინმე დაეკავებინა, რომ მათ ჩემ კლიენტს დაადეს ხელი ისე, რომ არ ჩაუტარებიათ საკმარისი გამოძიება ნამდვილი დამნაშავის დასადგენად.

*ვერსია 2:* ეს საქმე ეხება შეშინებულ ქალბატონს, რომელიც ცდილობდა, დაეცვა საკუთარი თავი მოძალადე და შეურაცხმყოფელი მთვრალი კაცისგან. ჩემი კლიენტის ქმარი ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა მას წლების განმავლობაში და როდესაც იგი თავს დაესხა ჩემ კლიენტს ამჯერად, ჩემი კლიენტი იძულებული გახდა, დაეცვა თავი იმ ერთადერთი იარაღით, რომელიც მისი ხელმისაწვდომობის ფარგლებში მოძებნა – სამზარეულოს დანით.

*ვერსია 3:* ჩვენ საქმე გვაქვს არა დანაშაულთან, არამედ ტრაგიკულ შემთხვევასთან. ჩემი კლიენტი და მისი მეგობარი ქარაფშუტულად თამაშობდნენ ცეცხლსასროლი იარაღით, რა დროსაც ის გავარდა.

რა თქმა უნდა, ბრალდების მხარისეული საქმის ვერსიებიც უნდა ეფუძნებოდეს ფაქტებს, რომლებიც ადასტურებს დანაშაულის შემადგენელი ელემენტების ჩადენას. უმრავლეს შემთხვევაში საქმის ვერსია უნდა შეიცავდეს აგრეთვე განმარტებას, თუ რატომ ჩაიდინა ბრალდებულმა დანაშაული. ისევე, როგორც ყველას, მოსამართლეებსაც უნდათ გაიგონ მოცემული ქცევის მიზეზი და უფრო დამაჯერებლად მიიჩნევენ ვერსიას, რომელსაც აქვს მიზეზი.

საქმის ვერსიების მაგალითები, რომლებიც ბრალდების მხარემ შეიძლება გამოიყენოს:

*ვერსია 1:* ბრალდებულს ფული სჭირდებოდა ნარკოტიკების საყიდლად. როდესაც მან დაინახა დაზარალებული, რომელიც ბანკომატიდან მარტო წამოვიდა, მან ისარგებლა ამ შემთხვევით, რომ თავისი ჯიბე გაესქელებინა სხვისი ფულით.

*ვერსია 2:* ბრალდებულს ეჭვი ჰქონდა, რომ მისი ქმარი სხვა ქალს ხვდებოდა. ამ ეჭვმა ის იმდენად გააცეცხლა, რომ ის თავს დაესხა თავის ქმარს სამზარეულოს დანით.

*ვერსია 3:* ბრალდებულმა იცოდა, რომ იარაღი გადატენილი იყო და ძალზედ აღელვებული იყო იმ აზრით, რომ ჩახმახზე თითის გამოკვრით შეიძლება სხვისთვის სიცოცხლე წაერთმია. მან წააგო ეს თამაში, ხოლო მისმა მეგობარმა წააგო სიცოცხლე.

## შესავალი სიტყვის შედგენა

ყოველი შესავალი სიტყვა უნდა შეიცავდეს მხარის ვერსიის ახსნა-განმარტებას.

სიტყვის წარმოდგენა თხრობის ფორმით ხშირად ყველაზე უფრო ეფექტურია. კარგი ადვოკატი ეცდება, მონათხრობში აქცენტი გააკეთოს იმ ადამიანებზე, რომლებიც მასში მონაწილეობენ. ისევე, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეებს, მოსამართლეებსაც ყველაზე მეტად აინტერესებთ ადამიანები და თუ რატომ სჩადიან ისინი იმას, რასაც სჩადიან. სასამართლო პროცესის დროს იქნება სხვა შესაძლებლობებიც, როდესაც შეიძლება აქცენტი გაკეთდეს სამართლებრივ საკითხებზე.

შესავალი სიტყვის წარდგენისას დრო ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ. ადამიანებს ყურადღების შეზღუდული დიაპაზონი აქვთ. კვლევით დადასტურებულია, რომ ადამიანების უმრავლესობას მაღალი დონის ყურადღების კონცენტრაციის შენარჩუნება შეუძლია მხოლოდ 15-20 წუთის განმავლობაში. მახსოვრობაც სწრაფად გადადის ხოლმე. კვლევა აჩვენებს, რომ მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგაც კი ადამიანებს ავიწყდებათ მოსმენილის დიდი ნაწილი. ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ შესავალი სიტყვა, ჩვეულებრივ, უნდა გრძელდებოდეს 10-დან 30 წუთამდე.

ადვოკატმა მხედველობაში უნდა მიიღოს ვიზუალური და საჩვენებელი მასალების მოშველიების შესაძლებლობა შესავალი სიტყვის წარმოთქმის დროს, თუ სასამართლო ამის ნებას დართავს. საჩვენებელი მასალები, რომლებზეც გამოსახულებები მოცემულია მკაფიოდ და გასაგებად, ქმნიან ისეთ შთაბეჭდილებას, რომლის შექმნაც მხოლოდ სიტყვებს არ შეუძლიათ. ზოგ შემთხვევაში, ცხრილი ან დიაგრამა შეიძლება ძალზედ სასარგებლო იყოს რთული ფაქტობრივი ნიმუშების ან ურთიერთობების ასახსნელად. მაგრამ ადვოკატი ფრთხილად უნდა იყოს, რომ საჩვენებელი მასალები ისე არ გამოიყენოს, რომ გამოიწვიოს ადვოკატზე მიქცეული მსმენელთა ყურადღების გაფანტვა.

ადვოკატმა არ უნდა გადააჭარბოს არსებული მტკიცებულებების ღირებულებას. არაფერი აზიანებს ადვოკატის პოზიციას ისე, როგორც ისეთი მოლოდინის შექმნა შესავალი სიტყვის წარმოთქმის დროს,

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

რომლის შესრულებაც მას არ შეუძლია.

ადვოკატმა არ უნდა „იდავოს“ შესავალი სიტყვის წარმოთქმის დროს. „დავაში“ აქ იგულისხმება სასამართლოსადმი (ან მსაჯულებისადმი) მიმართვა, რომ მათ გამოიტანონ დასკვნები ან ნაგულისხმევი აზრი მტკიცებულებიდან, შესაძლო მოწმეების სანდოობასთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთება ან სასამართლოსგან (ან მსაჯულებისგან) მოთხოვნა იმისა, რომ მათ გაითვალისწინონ რაიმე საკითხები უშუალოდ მტკიცებულებების მიღმა. დავა უნდა შემოვინახოთ დასკვნითი სიტყვისთვის. ადვოკატის პირადი აზრი არასოდეს არ უნდა გახდეს შესავალი ან დასკვნითი სიტყვის ნაწილი. მის პირად მოსაზრებას საქმისთვის მნიშვნელობა არ აქვს. სასამართლო (ან მსაჯულები) დაინტერესებული უნდა იყონ მხოლოდ იმ ინფორმაციით, რომელიც სასამართლო პროცესის დროს წარმოდგენილია მტკიცებულების სახით და, ცხადია, დასკვნებით, რომლებიც ამ ინფორმაციიდან გამომდინარეობენ.

## **შესავალი სიტყვის ნიმუში**

*სახელმწიფო გივი წერეთლის წინააღმდეგ – ბრალდების მხარის შესავალი სიტყვა:*

ქალბატონებო და ბატონებო, ეს საქმე ეხება კაცის მიერ ქალზე სრული კონტროლის ძალით თავს მოხვევას. ეს საქმე ეხება კაცს, რომელმაც მოკლა ქალი, რომელიც მას მის საკუთრებად მიაჩნდა, ნაცვლად იმისა, რომ მიეცა მისთვის თავისუფლება. ჩვენ საქმე გვაქვს წინასწარგანზრახულ მკვლელობასთან.

მოგახსენებთ, რაც მოხდა ამ საქმეში, რაც შემდგომში ფაქტებით იქნება დადასტურებული:

2004 წლის ნოემბერში ნანა ჟვანია 29 წლისა იყო. ის იყო მარტოხელა და არასოდეს ყოფილა ქორწინებაში. იგი მუშაობდა მოლარედ თბილისში, პეკინის ქუჩაზე მდებარე პოპულის სასურსათო მაღაზიაში სამი წლის განმავლობაში. მუშაობდა დილის ცვლაში, 6-დან 3



საათამდე, კვირაში ხუთი დღე. კოლეგებში მას ჰქონდა კარგი ავტორიტეტი. დაუმეგობრდა ბევრ ადამიანს, რომლებიც ყოველდღე შემოდოდნენ მაღაზიაში.

ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც რეგულარულად შემოდოდა მაღაზიაში, იყო ბრალდებული – გივი წერეთელი. როგორც ხედავთ, ის რამდენიმე წლით უფროსი იყო ნანაზე. ის იყო ყოფილი სამხედრო, რომელიც ახლა პენსიით ირჩენდა თავს. თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა. ხშირად შემოდოდა მაღაზიაში და ბევრს ელაპარაკებოდა ნანას. რამდენიმე თვის შემდეგ ნანა და ბრალდებული მეგობრები გახდნენ, რომელიც შეხვედრების ურთიერთობაში გადაიზარდა. ეს ურთიერთობა დაახლოებით ორ წელს გაგრძელდა. ისინი გადიოდნენ გარეთ სასადილოდ, ერთად დადიოდნენ კინოში და რჩებოდნენ ერთმანეთის სახლებში.

მაგრამ 2003 წლის შემოდგომაზე ნანამ გადაწყვიტა, რომ მას აღარ სურდა ბრალდებულთან შეხვედრებზე სიარული. მან ჩათვალა, რომ ეს ურთიერთობა იქამდე გაგრძელდა, სადამდეც შეიძლება ან უნდა გაგრძელებულიყო. მას თავისუფლება სურდა. მან უთხრა ბრალდებულს ამის შესახებ. მაგრამ ბრალდებულს არ სურდა ურთიერთობის დასრულება და მკაფიოდ უთხრა ნანას ამის შესახებ. სასამართლო პროცესის მსვლელობისას თქვენ მოწმეს, რომელიც გეტყვით, როგორ გაიგონა მან, როდესაც ბრალდებულმა ნანას უთხრა: „შენ მე ვერ დამტოვებ. თუ არა და ინანებ.“ თქვენ ასევე იხილავთ წერილს, რომელიც ბრალდებულმა ნანას მისწერა, რომელშიც ის მოითხოვდა, რომ ნანა დარჩენილიყო მის მეგობარ გოგოდ და ემუქრებოდა, თუ ნანა დაარღვევდა ამ ურთიერთობას.

ბრალდებულის მოთხოვნებისა და ფარული მუქარების მიუხედავად, ნანა მყარად იდგა თავის პოზიციაზე. ის მტკიცედ აგრძელებდა ბრალდებულთან დაშორების გადაწყვეტილების აღსრულებას. მან ბრალდებულს დაუბრუნა პირადი ნივთები, რომლებიც ბრალდებულმა მის სახლში დატოვა. მან სთხოვა ბრალდებულს, აღარ დაერეკა მასთან სამსახურში. ნანა ფიქრობდა, რომ ის გათავისუფლდა. მაგრამ ბრალდებული სხვა აზრისა იყო.

2004 წლის 20 ნოემბერს ნანა სამუშაოზე იმყოფებოდა პოპულის სასურსათო მაღაზიაში. კვირად დღე იყო, დილა, სასიამოვნო ამინდი –



გრილოდა და მზე ანათებდა. უბანში სინყნარე იყო. დაახლოებით 10 საათზე ნანა იდგა სალაროს აპარატის უკან და ელაპარაკებოდა მის თანამშრომელს – ელენე ფერაძეს, რომელიც საქონელს თაროებზე აწყობდა. უცებ ბრალდებულის ნითელი BMW წივილით შემოვარდა პოპულის ავტოსადგომზე. ბრალდებული გადმოვიდა მანქანიდან და გაემართა პოპულის კარებისკენ. ის შევიდა კარებში და ნანას დაუყვირა: „შენი ნახვა მინდა, ეხლავე!“ ნანამ ელენე ფერაძეს ჩასჩურჩულა: „აჰა, კიდევ ეგ არის“ და ელენე ფერაძეს სთხოვა, რამდენიმე წუთით მიეხედა სალარო აპარატისთვის.

ელენე ფერაძე მოწმეა ამ საქმეში და ის მოგიყვებათ, რომ მან დაინახა ნანა რომ გაჰყვა ბრალდებულს გარეთ. მან დაინახა, როგორ ჩაჯდა ნანა BMW-ში მგზავრის ადგილზე, ხოლო ბრალდებული მძღოლის ადგილზე.

ელენე ფერაძე გეტყვით თქვენ, რომ ის მკაფიოდ ხედავდა ბრალდებულის მანქანას თავისი ადგილსამყოფელიდან – სალარო აპარატის უკნიდან. მანქანა ეყენა მაღაზიის წინა კარებიდან დაახლოებით 20 მეტრში. ელენე ფერაძე ვერ ხედავდა, რა ხდებოდა მანქანაში. ის მოგიყვებათ, რომ კლიენტებმა დაინყეს მაღაზიაში შემოსვლა და ის დროდადრო თვალს შეავლებდა ბრალდებულის მანქანას, როდის დაბრუნდებოდა ნანა.

ერთ მომენტში ელენე ფერაძემ გაიხედა და დაინახა, რომ ნანა იდგა მანქანის კარებთან მგზავრის ადგილის მხრიდან. ელენე ფერაძემ დაინახა, რომ ბრალდებული იდგა ნანას გვერდით. ელენე ფერაძე შეშინდა, როდესაც გაიაზრა, რომ ბრალდებულს ხელში ეჭირა დანა. ელენე ფერაძე უყურებდა, როგორ ასწია ბრალდებულმა დანა და ჩასცა ნანას მკერდში რამდენჯერმე. ნანა მინაზე დაეცა. შემდეგ ელენე ფერაძემ დაინახა, რომ ბრალდებული შემოტრიალდა და გაეცალა ნანას გვამს.

ელენე ფერაძემ დაუყოვნებლივ დაურეკა პოლიციას და გარეთ გამოიქცა ნანას დასახმარებლად, მაგრამ უკვე გვიან იყო. ბრალდებულმა ღრმად ჩასცა დანა ნანას გულში და ორი კრიტიკული მნიშვნელობის მქონე სისხლძარღვი გადაუჭრა. სასწრაფო დახმარების მანქანის მოსვლის დროისთვის, ნანას გულიდან უკვე ზედმეტად დიდი რაოდენობით სისხლი ჩაღვრილიყო გულმკერდის ღრუში. იგი საავადმყოფოსკენ გზაში გარდაიცვალა.

პოლიცია თითქმის იმავე დროს მოვიდა, რა დროსაც სასწრაფო დახმარების მანქანა. პოლიციამ დააკავა ბრალდებული, რომელიც ავტოსადგომზე იდგა; მას ჯერ ისევ ეჭირა ხელში სისხლიანი დანა.

დანა. მტკიცებულება აჩვენებს, რომ ბრალდებულმა იმ დღეს დანა თან მოიტანა. თქვენ მოუსმენთ სულ ცოტა ერთ მოწმეს, რომელიც იტყვის, რომ დანა ეკუთვნოდა ბრალდებულს და მას ხშირად დაუნახავს ეს დანა ბრალდებულის მფლობელობაში, სანამ ბრალდებული მას ნანას მოსაკლავად გამოიყენებდა.

ამ და სხვა ფაქტებით ნაჩვენები იქნება, რომ ბრალდებულმა გადაწყვიტა, რომ ის არ აპირებდა, ნანასთვის მიეცა შესაძლებლობა, რომ ნანა მას ცოცხალი დაშორებულიყო. ბრალდებული მივიდა მაღაზია პოპულიში ნანას მოკვლის განზრახვით და თან მიიტანა გრძელი, ბასრი საყასბო დანა ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. მტკიცებულება გიჩვენებთ, რომ მან შეიტყუა ნანა მანქანაში. როდესაც ნანა აღმოვიდა მანქანიდან, ბრალდებულმა მანქანას შემოუარა და ნანას თავს დაესხა. მან მრავლობითად და მძლავრად ჩაარტყა დანა ნანას სხეულში იმ ადგილში, რომელშიც მან იცოდა, რომ გამოიწვევდა ნანას სიკვდილს – გულში. შემდეგ მან ნანა დატოვა სისხლმდინარე, ტროტუარზე, რომ მომკვდარიყო.

ამ ფაქტებზე და კანონზე დაყრდნობით, ამ საქმის განხილვის ბოლოს მე უნდა გთხოვოთ თქვენ, რომ ბრალდებული დამნაშავედ ცნოთ ნინასნარი განზრახვით მკვლელობის ჩადენაში.

### **სახელმწიფო გივი წერეთლის წინააღმდეგ – დაცვის მხარის შესავალი სიტყვა**

თქვენო ღირსებებო, ამ საქმეში ფაქტები აჩვენებს, რომ გივი წერეთელმა დანა ჩაარტყა ნანა ჟვანიას და ამ ჩარტყმის შედეგად ნანა ჟვანია გარდაიცვალა. მაგრამ ფაქტები აჩვენებს აგრეთვე, რომ ეს არ არის მკვლელობის შემთხვევა, როგორც ბრალდების მხარე აცხადებს, არამედ თავდაცვა.

როგორც მოგეხსენებათ, ბრალდების მხარეს ეკისრება ტვირთი, რომ დაამტკიცოს დანაშაულის თითოეული ელემენტი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. ეს ტვირთი მოცემულ საქმეში მოიცავს იმის დამტკიცებას, რომ გივი წერეთლის მიერ საკუთარი თავის დაცვის მიზნით განხორციელებულ ქმედებას გამართლება არ ჰქონდა. ჩემს კლიენტს, რა თქმა უნდა, არაფრის დამტკიცება არ სჭირდება. ის უდანაშაულოდ ითვლება. მაგრამ ამ საქმეში დაცვის მხარე წარმოადგენს მტკიცებულებას და ეს მტკიცებულება აჩვენებს, რომ გივი წერეთლის მოქმედება გამართლებული იყო, რადგან ის მოქმედებდა საკუთარი თავის დაცვის მიზნით.

რა მოხდა სინამდვილეში იმ კვირას დილით პოპულის სასურსათო მაღაზიაში?

როგორც ბრალდების მხარემ აღნიშნა, ელენე ფრუიძე თავის ჩვენებაში მოგიყვებათ, რა დაინახა მან თავისი ადგილსამყოფელიდან, მაღაზიის შიგნიდან. ელენე ფრუიძე თქვენ გეტყვით, რომ მან დაინახა, რომ ბატონმა წერეთელმა დანა ჩაარტყა ქალბატონ ჟვანიას, მაგრამ ის აღიარებს, რომ მან დაინახა მხოლოდ მცირე ნაწილი იმ ყველაფრისა, რაც მოხდა. ის გეტყვით თქვენ, რომ მას არ დაუნახავს, რა ხდებოდა მანქანაში. მას არ დაუნახავს, როგორ მოხვდა ბატონი წერეთელი მანქანის კარებთან მგზავრის ადგილის მხრიდან. მას არ დაუნახავს რა ხდებოდა იმ წამებში, სანამ ბატონი წერეთელი დანას ჩაარტყამდა ქალბატონ ჟვანიას. ბევრი რამ არის რაც ქალბატონ ფრუიძეს არ დაუნახავს და სწორედ ის, რაც მას არ დაუნახავს, არის მნიშვნელოვანი ამ საქმეში.

თქვენო ღირსებებო, დაცვის მხარე თქვენ მოგანვდით მტკიცებულებას იმისა, თუ რა არ დაუნახავს ქალბატონ ფრუიძეს. დაცვის მხარე თქვენ მოგანვდით სრულ სურათს იმისა, თუ რა მოხდა იმ დღეს.

როგორც პროკურორმა აღნიშნა, მტკიცებულება აჩვენებს, რომ გივი წერეთელი და ნანა ჟვანია ერთმანეთს ხვდებოდნენ. ბატონი წერეთელი დიდად ზრუნავდა ქალბატონ ჟვანიაზე. ფაქტიურად, ის მას უყვარდა. მაგრამ ეს არ გახლდათ თანასწორი ურთიერთობა. ეს ურთიერთობა თანასწორი არ იყო რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი: ბატონი წერეთელი ოცდახუთი წლით უფროსი იყო ქალბატონ ჟვანიაზე. მან ხანგრძლივი და პატივსაძები კარიერა განვლო თავისი ქვეყნის

სამხედრო-საზღვაო ძალებში სამსახურის სახით. ქალბატონი ჟვანია კი თითქმის 30 წლისა იყო, მაგრამ ამ დროისთვის მას არ ჰქონდა შექმნილი რაიმე პროფესიული კარიერა. ის მუშაობდა გამყიდველად სასურსათო მაღაზიაში – ეს იყო ბოლო სამუშაო, რაზეც მას უმუშავია დროებით სამუშაოებს შორის.

მეორე, მართალია, ქალბატონი ჟვანია მუშაობდა, ხოლო ბატონი წერეთლის პენსია დიდი არ იყო, ყველაფერში, რასაც ეს წყვილი აკეთებდა, ფულს იხდიდა ბატონი წერეთელი. მათ შორის იყო აზარტული თამაშობებიც. თქვენ მოისმენთ ჩვენებს, რომ ეს ორი ადამიანი ხშირად დადიოდა ერთად ადგილობრივ კაზინოში დოღზე და სათამაშო აპარატებზე სათამაშოდ. თითქმის ყოველთვის, ქალბატონი ჟვანია თამაშობდა ბატონი წერეთლის ფულით და არა თავისი ფულით.

მესამე, ეს ურთიერთობა უთანასწორო იყო სიყვარულის თვალსაზრისითაც, რომელსაც თითოეული მათგანი გამოხატავდა მეორის მიმართ. თქვენ მოისმენთ ჩვენებს, რომ ბატონი წერეთელი ხშირად ეუბნებოდა ქალბატონ ჟვანიას, რომ მისთვის ის მნიშვნელოვანი იყო. ის თავის გრძნობებს გამოხატავდა სიტყვიერადაც და წერილების მეშვეობითაც. ბრალდების მხარის შესავალ სიტყვაში თქვენ მოისმინეთ ბატონი წერეთლის მხრიდან მისი სიყვარულის გამომხატველი რამდენიმე ასეთი ფორმის შესახებ. ძალიან უნდა დაამახინჯოს ადამიანმა ის, რასაც ბატონი წერეთელი სწერდა ქალბატონ ჟვანიას იმისათვის, რომ რომელიმე ასეთ კომუნიკაციაში ფარული მუქარები აღმოაჩინოს. ბატონი წერეთელი ზრუნავდა მასზე. ის თვლიდა რომ ეს ურთიერთობა კარგი იყო ორივესთვის. მას სურდა ამ ურთიერთობის გაგრძელება და უთხრა კიდევ ქალბატონ ჟვანიას ამის შესახებ.

ქალბატონი ჟვანია ამ ურთიერთობაში დარჩა თითქმის ორი წელი და, როგორც მინიმუმ, ბატონი წერეთლის აზრით, ქალბატონი ჟვანია კმაყოფილი იყო ამ ხნის განმავლობაში, იმ დრომდე, სანამ ფული გათავდებოდა. იცით, პოპულის სასურსათო მაღაზიაში მომხდარ ამ ინციდენტამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე ქალბატონი ჟვანია წავიდა კაზინოში ბატონ წერეთელთან ერთად. მან აიღო ბატონი წერეთლის 1000 დოლარი და დადო ეს თანხა დოღზე. მან წააგო. ერთ სულსწრაფ თამაშში მან წააგო ბატონი წერეთლის 1000 დოლარი. უფრო მეტიც, ამის მეტი ფული ბატონ წერეთელს დარჩენილი აღარ ჰქონდა.

ფაქტია, რომ მას შემდეგ, რაც ბატონი ნერეთელი ხვდებოდა ქალბატონ ჟვანიას თითქმის 2 წელი და თავისი ჯიბიდან იხდიდა ფულს ყველაფრისთვის, მათ შორის ქალბატონი ჟვანიას თამაშობებში, ბატონი ნერეთლის დანაზოგები მნიშვნელოვნად შემცირდა. 1000 დოლარი, რომელიც ქალბატონმა ჟვანიამ იმ დღეს თამაშში წააგო, იყო სულ, რაც ბატონ ნერეთელს დარჩა თავისი დანაზოგებიდან. ეხლა კი ეს თანხა გაფლანგული იყო. იყო რა სასონარკვეთილი, ბატონმა ნერეთელმა ქალბატონ ჟვანიას უთხრა, რომ მას ფული აღარ ჰქონდა. ორი დღის შემდეგ ქალბატონმა ჟვანიამ მას განუცხადა, რომ მათ შორის ურთიერთობა დამთავრებული იყო.

რა თქმა უნდა, ბატონი ნერეთელი საშინლად გრძობდა თავს დაშორებასთან დაკავშირებით. ის ზრუნავდა ქალბატონ ჟვანიაზე და ენატრებოდა იგი. გარდა ამისა, ბატონმა ნერეთელი დაფიქრდა იმაზე, რომ ქალბატონი ჟვანია მას იყენებდა – ის მასთან ერთად იყო მანამ, სანამ მას შეეძლო ქალბატონ ჟვანიაზე ფულის დახარჯვა. და რა ყველაზე მთავარია, ალბათ ყველაზე უარესიც, ბატონი ნერეთელი შეშინდა, რომ მას ფული აღარ ჰქონდა და აღარ იცოდა, როგორ გადაეხადა თავისი ხარჯები. ასე იტანჯებოდა რა მთელი დღეების განმავლობაში, მან გადაწყვიტა, მისულიყო ქალბატონ ჟვანიასთან და ეთხოვა იმ ფულის ნაწილის დაბრუნება, რომელიც ქალბატონმა ჟვანიამ თამაშობაში წააგო. სწორედ ამ მიზნით მივიდა ბატონი ნერეთელი მანქანით პოპულის სასურსათო მაღაზიაში იმ კვირას დილით. მას უნდოდა, ქალბატონი ჟვანიასთვის ეთხოვა დახარჯული ფულის ნაწილის უკან დაბრუნება, რომ მას შეეძლებოდა თავისი ხარჯების გადახდა და ცხოვრება.

იმ დილით ბატონი ნერეთელი პოპულის სასურსათო მაღაზიაში მივიდა საკუთარი მანქანით, წითელი ფერის BMW-თი. ამ მანქანით ის მანამდეც ბევრჯერ მისულა ამ მაღაზიაში. პოპულის თანამშრომლებს მანამდეც ბევრჯერ დაუნახავთ ის რომ მანქანას აჩერებდა პირდაპირ მაღაზიის წინ. იმ დღეს მან მანქანა გააჩერა ადვილად დასანახ ადგილზე, როგორც ყოველთვის აჩერებდა და მაღაზიაში შევიდა ქალბატონ ჟვანიასთან სალაპარაკოდ. ის ელაპარაკებოდა ქალბატონ ჟვანიას ელენე ფრუიძის თანდასწრებით; ელენე ფრუიძე იყო ქალბატონი ჟვანიას კოლეგა, ქალბატონი რომელიც ბატონ ჟვანიას ბევრჯერ ენახა მანამდე. ბატონ ნერეთელს ქალბატონ ჟვანიასთან პირადი საუბარი უნდოდა, რის გამოც მან სთხოვა ქალბატონ ჟვანიას, გარეთ გაჰყოლოდა პირადი საუბრისთვის. ქალბატონი ჟვანია გაჰყვა მას გა-

რეთ; ისინი ჩასხდნენ მანქანაში – ეს ყველაფერი ქალბატონი ფრუიდიის თვალსწინ ხდებოდა.

პროკურორმა თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა დანა. ის მართლი იყო, როდესაც თქვა, რომ დანა, რომლითაც ქალბატონი ჟვანია იქნა მოკლული, ბატონ ნერეთელს ეკუთვნის. ეს დანა იდო BMW-ში, როდესაც ბატონმა ნერეთელმა მანქანა გააჩერა ავტოსადგომზე. მაგრამ ბატონ ნერეთელს დანა არ მიუტანია პოპულის სასურსათო მაღაზიაში იმისათვის, რომ თავს დასხმოდა ქალბატონ ჟვანიას. იცით, ეს დანა მას მანქანაში ედო კვირები. ბატონ ნერეთელს მანქანაზე უფუჭდებოდა ხოლმე კარბურატორი და ის ამ დანას იყენებდა კარბურატორის ხუფის ასახდელად, რომ შემდეგ გაეკეთებინა რეგულირება. სულ ცოტა ერთი მოწმე დაადასტურებს ამ საქმეში, რომ მან დაუნახავს ბატონი ნერეთელი, როდესაც ისე იყენებდა ამ დანას ამ მექანიკური მოქმედების შესასრულებლად და უნახავს, რომ აღნიშნული მოქმედების დასრულების შემდეგ ბატონი ნერეთელი ამ დანას ინახავდა მანქანის წინა სამგზავრო სავარძლის ქვეშ.

კიდევ ერთი, რაც თქვენ არ მოგისმენიათ ბრალდების მხარის შესავალ სიტყვაში, გახლავთ ის, რომ ქალბატონი ჟვანია ფიზიკურად დიდი ქალბატონი იყო. იგი სიმალლეში ბატონი ნერეთელის ხელა იყო და ასზე მეტ კილოს იწონიდა. მას ჰქონდა მაღალი ხმა და ზოგჯერ საკმაოდ ცუდ მანერებს ამჟღავნებდა. იმ დილით ბატონმა ნერეთელმა მთელი ძალით იგემა ეს ხმამაღალი ხმა და ეს მანერები.

ბატონი ნერეთელი თავის ჩვენებას მოგახსენებთ ამ საქმეში. ის არ არის ვალდებული, მისცეს ჩვენება. როგორც იცით, ეს მისი უფლებაა, რომ არ მისცეს ჩვენება. მაგრამ მას სურს, რომ ფაქტები, ყველა ფაქტი, თუ რა მოხდა იმ დღეს, იყოს ცნობილი. ის თქვენ მოგიყვებათ, რა მოხდა მანქანაში. ის გეტყვით, რომ როდესაც ისინი ორივე ისხდნენ მანქანაში, ბატონი ნერეთელი მიუბრუნდა ქალბატონ ჟვანიას და სთხოვა მას ნაგებული ფულიდან რაიმე ნაწილის მაინც უკან დაბრუნება. ქალბატონმა ჟვანიამ უპასუხა, რომ ის არ აპირებდა ფულის დაბრუნებას. ბატონი ნერეთელი ცდილობდა, ამ თემას სხვადასხვა კუთხით მიდგომოდა, მაგრამ ქალბატონი ჟვანიას პასუხი ყველანაირად უარყოფითი იყო. ლაპარაკის დროს ქალბატონი ჟვანია სულ უფრო ბრაზდებოდა და უფრო შეურაცხმყოფელი ხდებოდა. ერთ მომენტში მან ბატონ ნერეთელს უწოდა „სულელი, მიამიტი ბებერი ჩერჩეტი“.



ბატონი წერეთელი შოკირებული იყო, პასუხად მან ქალბატონ ჟვანიას „ოქროზე გაგიჟებული ბოზი“ უწოდა. როდესაც ბატონმა წერეთელმა ეს უთხრა, ქალბატონმა ჟვანიამ, რომელიც ამ მომენტში უკვე გაცოფებული იყო, ხელი დასტაცა დანას, რომელიც მანქანის იატაკზე იდო ქალბატონი ჟვანიას ფეხებქვეშ. ქალბატონი ჟვანია გადაწვდა და დანით უბიძგა ბატონ წერეთელს. ბატონმა წერეთელმა ხელები აიფარა მახვილისგან თავის დასაცავად და ამ დროს დანის წვერი მას მარჯვენა ცერა თითში შეერჭო. ბატონმა წერეთელმა მწვავე ტკივილი იგრძნო. მან მანქანის კარები კვრით გააღო და სწრაფად გადმოვიდა. ქალბატონმა ჟვანიამაც იგივე გააკეთა.

ბატონი წერეთელი გაოგნებული და ნატკენი იყო. ეს თავდასხმა იმდენად სწრაფი, იმდენად მოულოდნელი იყო. სანამ გაიაზრებდა ზუსტად რის გაკეთებას აპირებდა, მან შემოუარა მანქანას, რომ ქალბატონ ჟვანიას დაპირისპირებოდა. მას ბუნდოვანი განზრახვა ჰქონდა, რომ ქალბატონი ჟვანიასთვის დანა წაერთმია და მცდარიყო მის დამშვიდებას. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ქალბატონი ჟვანია ფიზიკურად დიდი ქალი იყო. ის ძალიან ახლოს იდგა ბატონ წერეთელთან ისე, რომ მათი სახეები თითქმის ერთმანეთს ეხებოდა და ის ძალზე გაბრაზებული იყო. როცა ბატონი წერეთელი მიუახლოვდა, ქალბატონმა ჟვანიამ მას დაუყვირა „შე ნაბიჭვარო!“ და თავს დაესხა დანით. ბატონმა წერეთელმა მას ხელი დაუჭირა მაჯაში და დანა წაართვა ხელიდან. ქალბატონი ჟვანია მაინც ინევდა და, ამ დროს, თავდაცვითი რეფლექსით, ბატონმა წერეთელმა ორჯერ ჩაარტყა დანა, რომ თავიდან მოეცილებინა. დანა ბასრი იყო და ქალბატონი ჟვანიას გულმკერდში შეაღწია.

ბატონი წერეთელი გეტყვით თქვენ, რომ იმ მომენტში ის შოკის მდგომარეობაში იყო. სადღაც მის ტვინში მან იცოდა, რომ მან სასიკვდილოდ დაჭრა ქალბატონი ჟვანია. დანა ძალზე ღრმად ჩავიდა. მან გაიაზრა, რომ, ისე, რომ ამის განზრახვა არ ჰქონია, მოკლა ქალი, რომელიც უყვარდა. მიუხედავად იმისა, რაც ამ ქალმა მას გაუკეთა, მას ის მაინც უყვარდა. ბატონი წერეთელი არ გაქცეულა. მან რამდენიმე ნაბიჯი გაიარა ავტოსადგომზე და გაჩერდა, ის იდგა და უგონოდ დავინყებული ჰქონდა ყველაფერი, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. ის მთლიანად შოკის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის თქვენ გეტყვით, რომ არაფერი ახსოვს მას შემდეგ, რაც იგრძნო, რომ დანამ ქალბატონ ჟვანიას სხეულში შეაღწია. პოლიცია, რომელიც შემთხვევის ადგილზე



მოვიდა, ამას დაადასტურებს და გეტყვით, რომ როდესაც ისინი მოვიდნენ, ბატონი წერეთელი უაზროდ იყურებოდა სადღაც სივრცეში. ის არ გაქცეულა; მას წინააღმდეგობა არ გაუწევია. ის უბრალოდ იქ იდგა და ცაში იყურებოდა.

თქვენო ღირსებებო, ფაქტები გიჩვენებთ, რომ როდესაც გივი წერეთელი მანქანით მივიდა პოპულის სასურსათო მაღაზიაში იმ დღეს, მას არ ჰქონია განზრახული ვინმეს დაშავება. მას მხოლოდ უნდოდა, რომ ქალბატონ ჟვანიას მისთვის დაებრუნებინა გარკვეული ნაწილი იმ ფულისა, რომელიც ქალბატონმა ჟვანიამ თამაშობებში წააგო. ფაქტები გიჩვენებთ, რომ ქალბატონი ჟვანიას თავდასხვა ბატონ წერეთელზე იყო სწრაფი, ძალისმიერი და მოულოდნელი, ხოლო ბატონმა წერეთელმა იმოქმედა ინსტიტურად, საკუთარი თავის დაცვის მიზნით. ბატონი წერეთლის მოქმედება გამართლებული იყო. ქალბატონი ჟვანიას სიკვდილი ტრაგედია და საშინელი დანაკარგია, მაგრამ ეს არ არის მკვლელობის შედეგი.

საქმის განხილვის ბოლოს, ფაქტების სრულყოფილი გააზრების საფუძველზე, დაცვის მხარე გთხოვთ თქვენ, რომ დაბრუნდეთ სწორი ვერდიქტით – უდანაშაულობის ვერდიქტით.

(შენიშვნა: ამ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ შესავალ სიტყვაში დაცვის მხარემ წარმოადგინა თავდაცვის, აუცილებელი მოგერიების, ვერსია, დაცვის მხარემ დაიტოვა შესაძლებლობა, რომ ამტკიცოს სხვა, ალტერნატიული ვერსია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ ჩათვლის, რომ ბრალდებულის მოქმედებები მთლიანად გამართლებული იყო. კერძოდ, დაცვის მხარეს შეუძლია ამტკიცოს თავის დასკვნით სიტყვაში, რომ თუ სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ბრალდებული მოქმედებდა თავდაცვის მიზნით, მაშინ ბრალდებული დამნაშავეა მხოლოდ რომელიმე ფორმით არაგანზრახი მკვლელობის ჩადენაში (მაგალითად, სასიკვდილო დაზიანების მიყენება მაღალი ფსიქოლოგიური სტრესის შედეგად) და არა მკვლელობაში, რადგან ფაქტები აჩვენებს, როგორც მინიმუმ, რომ ბრალდებული მოქმედებდა ძლიერი აღელვების მდგომარეობაში ან მწვავე პროვოკაციის შედეგად).

## V. სისხლის სამართალში ადვოკატირების უნარ-ჩვევები: მონმეტა დაკითხვა სასამართლოში

### ქართული საპროცესო კანონმდებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი გარკვევით ადგენს, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, მონმემ ჩვენება უნდა მისცეს სასამართლოში იმისათვის, რომ ფაქტების განმხილველმა პირმა, იქნება ეს მოსამართლე თუ მსაჯულები, იგი მიიჩნიოს მტკიცებულებად. უმრავლეს შემთხვევაში, ჩვენების მიცემა უნდა მოხდეს საჯაროდ (სსსსკ მუხლები 10, 14). საქართველოში როგორც ბრალდების მხარეს, ისე დაცვის მხარეს აქვთ სასამართლოში წარმოდგენილი მონმეების დაკითხვის უფლება (სსსსკ მუხლი 14).

შეჯიბრებით სისტემებში დაკითხვას, რომელსაც მხარე ატარებს თავის მონმესთან, ეწოდება პირდაპირი დაკითხვა (სსსსკ მუხლი 244.1). დაკითხვას, რომელსაც მხარე ატარებს მისი მონინააღმდეგე მხარის მონმესთან, ეწოდება ჯვარედინი დაკითხვა (სსსსკ მუხლი 245.1). ეს ორი ტიპის დაკითხვა ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც თავიანთი მიზნებით, რომელთაც მიღწევასაც ისინი მიზნადა ისახავენ, ისე მეთოდებით, რომლებსაც ისინი იყენებენ ამ განსხვავებული მიზნების მისაღწევად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსსკ) 244-ე და 245-ე მუხლებით განსაზღვრულია პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის ძირითადი სახელმძღვანელო წესები. 244-ე მუხლში (პირდაპირი დაკითხვა) ნათქვამია:

1. პირდაპირ დაკითხვას აწარმოებს მხარე, რომელმაც დასაკითხი მონმე გამოიძახა.
2. პირდაპირი დაკითხვისას დაუშვებელია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა. მხარეს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა მიმანიშნებელი შეკითხვის განრიდების ან/და ასეთი შეკითხვისა და მასზე პასუხის დაუშვებლად ცნობის შესახებ.

3. შეკითხვის (შეკითხვების) დასასმელად და დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად სხდომის თავმჯდომარე მხარეს (მონმეს) განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

245-ე მუხლში (ჯვარედინი დაკითხვა) ნათქვამია:

1. ჯვარედინ დაკითხვას აწარმოებს მხარე, რომელსაც დასაკითხი მონმე არ გამოუძახებია.
2. ჯვარედინი დაკითხვისას დასაშვებია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა.
3. შეკითხვის (შეკითხვების) დასასმელად და დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად სხდომის თავმჯდომარე მხარეს (მონმეს) განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობასთან ერთად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარეებს აძლევს იმის შესაძლებლობასაც, რომ დასვან შეკითხვები მოწინააღმდეგე მხარის მიერ მონმისთვის დასმული შეკითხვებიდან გამომდინარე (სსსსკ მუხლი 246). „ხელახალი პირდაპირი დაკითხვა“ მოდის ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ და შეზღუდულია მხოლოდ იმ საკითხებით, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარემ დასვა ჯვარედინი დაკითხვის დროს. „ხელახალი ჯვარედინი დაკითხვა“ კი მოდის ხელახალი პირდაპირი დაკითხვის შემდეგ და შეზღუდულია მხოლოდ იმ საკითხებით, რომლებიც დაისვა ხელახალი პირდაპირი დაკითხვის დროს (სსსსკ მუხლი 246.1). ამით ჩნდება დაკითხვების დაუსრულებელი რაუნდების წარმოების შესაძლებლობა, მაგრამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევს, მხარეების მიერ დაკითხვის წარმოებისას მათ დაუნესოს გონივრული ვადები საამისოდ (სსსსკ მუხლები 244.3 და 245.3). ამასთან, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარემ შეიძლება განარიდოს სადაო შეკითხვები, რომლებიც მონმეს შეიძლება დაუსვან დაკითხვის დროს (სსსსკ მუხლი 246.2).

### **პირდაპირი დაკითხვა**

მონმეების პირდაპირი დაკითხვა მხარეს შესაძლებლობას აძლევს, მისი ვერსიის არსი წარმოადგინოს მონმის ჩვენების მეშვეობით.

პირდაპირი დაკითხვა გამოიყენება:

- არასადაო ფაქტების წარდგენა
- სადაო ფაქტებზე მხარის მიერ საკუთარი ვერსიის წარდგენა
- საჩვენებელი მასალების შემოსატანად და განსახილველად საფუძვლის მომზადება
- მონმისთვის დამაჯერებლობის შემატება

### **დაალაგეთ ლოგიკურად**

ადვოკატმა, რომელიც აპირებს პირდაპირი დაკითხვის წარმოებას, სათქმელი, რისი თქმაც სურს მონმის მეშვეობით, უნდა დაალაგოს ლოგიკური თანმიმდევრობით. ადამიანების უმრავლესობა სხვადასხვა მოვლენებს ან სხვა ინფორმაციას უკეთ აღიქვამს, თუ ეს მოვლენები და ინფორმაცია დალაგებულია ქრონოლოგიურად. მაგალითად, პროკურორმა, რომელიც ჰკითხავს პირს, რომელიც დაზარალდა შეიარაღებული ყაჩაღობის შედეგად ჩადენილი ჯანმრთელობისთვის მძიმე დაზიანებების მიყენებით, დაკითხვა შეიძლება მოაწყოს შემდეგი თანმიმდევრობით:

- a. ძირითადი ინფორმაცია დაზარალებულის შესახებ (ასაკი, პროფესია და ა.შ.)
- b. დანაშაულის ჩადენის ადგილის აღწერა
- c. რა მოხდა უშუალოდ დანაშაულის ჩადენამდე

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართული იურისტებისათვის

- d. რა მოხდა დანაშაულის ჩადენისას
- e. რა მოხდა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ
- f. დაზარალებულისთვის მიყენებული დაზიანებები და ჩატარებული გადაუდებელი სამედიცინო მკურნალობა
- g. გრძელვადიანი ფიზიკური შედეგები და სამედიცინო მკურნალობა

შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქრონოლოგიურად დალაგება არ წარმოადგენდეს ინფორმაციის წარმოდგენის საუკეთესო გზას. დაკითხვის საკითხების დალაგების წესის მიუხედავად, დალაგება უნდა მოხდეს იმდენად ლოგიკურად, რომ სასამართლომ ადვილად გაიაზროს და უკეთესად დაიმახსოვროს მოწმის ნათქვამი.

*წარმოდგინეთ მოწმე და გააცანით ძირითადი ინფორმაცია*

პირდაპირი დაკითხვისთვის გამოძახებული მოწმის ყოველი დაკითხვა უნდა დაიწყოს კითხვებით, რომლებზე პასუხებიც საზოგადოებას გააცნობს მოწმეს და გამოავლენს საქმესთან დაკავშირებით ძირითად ინფორმაციას. დაკითხვის შედეგად მოწმემ უნდა მოგვცეს პასუხები ისეთ კითხვებზე, როგორიცაა:

„ვინ არის ეს?“

„რატომ არის ის აქ?“

„რატომ უნდა დავუჯერო მე მას?“

*მაგალითი:*

*კითხვა:* ბატონო ჩანტლაძე, გვითხარით თქვენი სრული სახელი.

*პასუხი:* ჩემი სახელია გიორგი ჩანტლაძე.

კითხვა: რამდენი წლის ხართ?

პასუხი: მე ვარ 22 წლის.

კითხვა: რა პროფესიის ბრძანდებით?

პასუხი: მე მკერავი ვარ.

კითხვა: 2004 წლის 5 სექტემბერს, დილით, დაინახეთ თუ არა თქვენ კაცი, რომელსაც თავს დაესხნენ რუსთაველის და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე კუთხეში?

პასუხი: დიახ.

კითხვებისა და პასუხების ასეთი მოკლე გაცვლა-გამოცვლით დამკითხველმა დაადგინა მოწმის ვინაობა, გაარკვია, თუ რატომ არის მოწმე გამოძახებული და შემატა მხარდაჭერა იმ თვალსაზრისით, თუ რატომ უნდა ენდონ მას: ეს მოწმე არის ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელმაც თავისი თვალთ იხილა რაც მოხდა.

ასეთი ძირითადი ინფორმაციის მომცემი შეკითხვები უნდა დაესვას ყველა მოწმეს, რადგან მოწმის სანდოობა ყოველთვის მნიშვნელოვანია. თუ ძირითადი ინფორმაციის რა ნაწილია აუცილებელი (ან ნებადართული სასამართლოს მიერ) – დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის მოწმე და რამდენად მნიშვნელოვანია მისი ჩვენება მოცემული საქმისთვის.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები შეიტანება საქმის მასალებში. ზემოთ მოყვანილ მაგალითში, საქმის განმხილველი მოსამართლისთვის აშკარაა, რომ ბატონი ჩანტლაძე ახალგაზრდა კაცია, მაგრამ ეს აშკარად გასაგები არ იქნება სააპელაციო მოსამართლისთვის, რომელსაც შემდგომ ეტაპზე შეიძლება მოინიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების გაცნობა საქმეში არსებული მასალების წაკითხვის გზით. თუ მოწმის ასაკი და ფიზიკური მახასიათებლები მნიშვნელოვანია საქმისთვის, ერთადერთი საშუალება იმისა, რომ ეს მონაცემები დაფიქსირდეს საქმის მასალებში არის ამ მოწმისთვის შესაბამისი შეკითხვების დასმა. გარდა ამისა,

ასეთი დეტალების შეკრება მოსამართლეს ეხმარება მოწმის „გონებისმიერი წარმოსახვის“ შექმნაში.

### *აღწერეთ მოქმედების ადგილი*

სასამართლომ მოწმისგან უნდა მიიღოს მოქმედების ადგილის ზეპირი აღწერა მანამ, სანამ ის მოისმენს მოქმედების შესახებ. მოქმედების ადგილის სწორი დახატვა სასამართლოს დაეხმარება შემდგომში ამ ადგილზე მომხდარი მოქმედების აღქმაში. ამასთანავე, მოქმედების ამსახველი ჩვენების მიცემა რომ უფრო ეფექტური იყოს, სასურველია მისი თხრობა მოხდეს შეწყვეტის გარეშე. მოქმედების ადგილის აღწერის ეფექტური ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ ზოგადი აღწერილობიდან გადავიდეთ კონკრეტულ აღწერილობაზე.

*მაგალითი:*

*კითხვა:* ბატონო ჩანტლაძე, ამ გზაჯვარედინზე მანამდე ყოფილხართ?

*პასუხი:* მე ყოველდღე დავდივარ ამ გზაჯვარედინზე.

*კითხვა:* შეგიძლიათ აღწეროთ ეს გზაჯვარედინი?

*პასუხი:* რუსთაველის გამზირი დიდი ქუჩაა, რომელიც გადის აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ თბილისის ძველი ქალაქის რაიონში. ჭავჭავაძის ქუჩა გადის სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ და კვეთს რუსთაველის გამზირს.

*კითხვა:* როგორი უბანია ეს უბანი?

*პასუხი:* ეს საქმიანი უბანია, მაგრამ გზაჯვარედინის თითოეულ მხარეზე არის მაღალი კორპუსებიც. ეს უბანი ყოველთვის სავსეა მანქანებით და ხალხით.

*კითხვა:* იყო თუ არა ეს უბანი სავსე მანქანებით და ხალხით 15 სექტემბრის დილას?



*პასუხი:* დიახ.

*კითხვა:* როგორი ამინდი იყო იმ დღით?

*პასუხი:* ცა მონმენდილი იყო, არ წვიმდა. ოდნავ ციოდა. მახსოვს ხელები გამიცვივდა, რადგან ხელთათმანების წამოღება დამავიწყდა.

*კითხვა:* სად იმყოფებოდით თქვენ, როდესაც დაინახეთ ეს თავდასხმა?

*პასუხი:* მე ფეხით ვკვეთდი გზაჯვარედინს. მივდიოდი რუსთაველის და ჭავჭავაძის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან გზაჯვარედინის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხისკენ.

აქ ადვოკატმა სასამართლოს მიაწოდა შემთხვევის ადგილის ზოგადი აღწერილობა. ამაზე მეტად დეტალური აღწერილობა, ჩვეულებრივ, არაფერ განსაკუთრებულს შემატებს პირდაპირ დაკითხვას. როგორც წესი, უმჯობესია ჯვარიდინი დაკითხვის მწარმოებელ პირს ვაცალოთ ამ დეტალების გამორკვევა, თუ მას ეს სურს.

### *ხელახლა დადგით მომხდარი მოქმედება*

პირდაპირი დაკითხვა შეიძლება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ხელახლა დავდგათ მომხდარი მოქმედება, რათა მოსამართლემ (მოსამართლეებმა) მომხდარი განიცადონ მონმის თვალეზით. იმისათვის, პირდაპირი დაკითხვისას ეფექტურად მოვახდინოთ მომხდარი მოქმედების ხელახლა დადგმა, სამ რამეს უნდა მივაქციოთ ყურადღება: თვალთახედვა, ტემპი და სწორი ტექსტი.

#### *a. თვალთახედვა*

დაკითხვის მწარმოებელმა პირმა შეკითხვები ისე უნდა დააღაგოს, რომ მსმენელმა მთელი მოქმედება „დაინახოს“ მონმის თვალეზით.

#### *b. ტემპი*

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის

ტემპში იგულისხმება დაკითხვის მიმდინარეობის ისეთი ტემპის შერჩევა, რომელიც მსმენელს საშუალებას მისცემს, „იგრძნოს“ რა მოხდა.

### *c. სწორი ტექსტი*

მონმის დაკითხვის გამოყენებული სიტყვეტი და ფრაზები უნდა იყოს მარტივი და ადვილად გასაგები მონმისთვის. გამოიყენეთ ისეთი ტექსტები, რომლებიც მსმენელში აღძრავს *შეგრძნებას*.

#### *არ გამოიყენოთ პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვები*

გამოიყენეთ მოკლე, ღია შეკითხვები, რომლებიც დაეხმარება მონმეს მოგითხროთ მომხდარის თავისი ვერსია ლოგიკურად და ორგანიზებულად.

#### *მაგალითები:*

სად წახვედით იმ დღეს?

როგორ იგრძენით თავი?

როგორ გამოიყურებოდა ის კაცი?

შემდეგ რა მოხდა?

არ გამოიყენოთ პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვები. პასუხის მიმანიშნებელია შეკითხვა, რომელიც თავის თავში შეიცავს პასუხს ან მიანიშნებს პასუხზე.

#### *მაგალითები:*

იმ დღეს თქვენ მაღაზიაში წახვედით, არა?

თქვენ შეგეშინდათ, არა?

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

ის კაცი მაღალი იყო, ხომ?

განა ის არ დაგესხათ თავს?

*გამოიყენეთ საჩვენებელი მასალები დაკითხვის ხელშეწყობის მიზნით*

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საშუალებას აძლევს მხარეს, სასამართლო სხდომაზე მოახდინოს საჩვენებელი მასალების „დემონსტრირება“ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით (სსსსკ მუხლი 248.1). მართალია, ჯერჯერობით უცნობია, რამდენად ფართო განმარტებას მისცემენ ქართველი მოსამართლეები ამ დემონსტრირების უფლებას ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებში, მაგრამ აქტიური ადვოკატი მოითხოვს 248-ე მუხლის პირველი პუნქტის ფართო განმარტებას ისე, რომ დასაშვები იყოს მოწმეებისთვის საჩვენებელი მასალების ჩვენება, მოწმეების მიერ ამ საჩვენებელი მასალების აღწერა და განმარტება და, თუ საკმარისი საფუძველი არსებობს, ამ მასალების წარდგენა სასამართლოსთვის (ან მსაჯულებისთვის) მტკიცებულების სახით.

საჩვენებელი მასალები შეიძლება იყოს რუკები, დიაგრამები, ფოტოსურათები, იარაღი, ტანსაცმელი და ნებისმიერი სხვა ფიზიკური საგანი, რომელთან დაკავშირებითაც მოწმემ შეიძლება მისცეს ჩვენება და რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას საქმის შედეგისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის დასადასტურებლად ან საილუსტრაციოდ.

საჩვენებელმა მასალებმა მოწმის ჩვენება შეიძლება უფრო ადვილად გასაგები გახადოს. მაგალითად, თუ მოწმე ყვება დანაშაულის ჩადენის ადგილზე ადამიანების და საგნების განლაგებას, მსმენელი შეიძლება ადვილად დაიბნეს ან არასწორი დასკვნები გააკეთოს. თუ მოწმეს ეთხოვება, რომ ადამიანები ან საგნები განათავსოს რუკაზე ან დიაგრამაზე, რისი დანახვაც შეეძლება მსმენელებს, გაცილებით მეტი შანსია, რომ ეს ჩვენება გააზრებული და გაგებული იქნას.

საჩვენებელმა მასალებმა მოწმის ჩვენება შეიძლება უფრო ადვილად

დასამახსოვრებელი გახადოს. კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანების უმრავლესობა გაცილებით მეტს იმახსოვრებს მიღებული ინფორმაციიდან, თუ ისინი *ხედავენ* ინფორმაციას, რომელსაც *ისმენენ*. ადამიანები კიდევ უფრო მეტად იმახსოვრებენ ინფორმაციას, თუ ისინი მას *ხედავენ* და *ისმენენ*.

საჩვენებელი მასალები მასალები შეიძლება მეტს რამეს გამოხატავდნენ მოცემულ მოქმედებასთან დაკავშირებით, ვიდრე სიტყვებს შეუძლიათ მისი გამოხატვა. ფიზიკური დაზიანებების ამსახველი სურათები ხშირად ამ კატეგორიაში ხვდება. გარდა ამისა, საჩვენებელმა მასალებმა შეიძლება უფრო ძლიერი ემოციური გავლენა მოახდინონ მსმენელზე, ვიდრე მხოლოდ სიტყვებმა. ინგლისურენოვან ქვეყნებში არსებობს გამონათქვამი, რომელიც ამ მოსაზრებას გამოხატავს: „ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობს“.

საჩვენებელი მასალები შეიძლება ფაქტების დამდგენ პირს დაეხმაროს ფაქტების უფრო სწორად აღქმაში. როდესაც ერთი ადამიანი ისმენს, როგორ აღწერს მეორე ადამიანი ადგილს, სხვა ადამიანს ან საგანს, მისი გონება აწყობს ამ ადგილის თუ საგნის გამოსახულებას. ამგვარად აწყობილი გამოსახულება შეიძლება ჰგავდეს ან არ ჰგავდეს იმ ადგილს ან საგანს, როგორც ის არის სინამდვილეში. ზოგი ადამიანი, რომელიც ისმენს სხვისგან აღწერას, თვითონ ქმნის საკუთარ, განსხვავებულ გამოსახულებებს. მონშეებისთვის საშუალების მიცემა, რომ მათ მიუთითონ და გამოიყენონ რუკები, დიაგრამები ან ფოტოსურათები ჩვენების მიცემის დროს ამცირებს რეალურ ადგილსა თუ საგანს და მსმენელის გონებაში შექმნილ გამოსახულებას შორის არსებულ ამ „დამახინჯებას“.

### *მაგალითები:*

*მაგალითი 1:* ზემოთ, ქვეთავში „აღწერეთ მოქმედების ადგილი“ მოყვანილ მაგალითში, მონშე აღწერს რუსთაველის და ჭავჭავაძის ქუჩების კუთხეს. როდესაც თქვენ კითხულობდით ამ კითხვებსა და პასუხებს, სავარაუდოდ, თქვენმა გონებამ შექმნა აღწერილი გზაჯვარედინის გამოსახულება. რადგან ეს აღწერა არ იძლეოდა საკმარის დეტალებს, თქვენმა გონებამ ეს გამოტოვებული დეტალები თვითონ შეავსო. ის რაც თქვენმა გონებამ თავისით შეავსო, სავარაუდოდ, არასწორია. მაგრამ თუ მონშე გამოიყენებს დიაგრამას ან ფოტოსურ-

რათს და მისი დახმარებით აღწერს მოქმედების ადგილს, თქვენი გონება აღარ იქნება იძულებული, თავისით შექმნას გამოტოვებული დეტალები და თქვენი აღქმა, თუ როგორ გამოიყურებოდა მოქმედების ადგილი ამ მოქმედების მოხდენის დროს, სავარაუდოდ, უფრო ახლო იქნება სინამდვილესთან.

*მაგალითი 2:* ოჯახური ძალადობის მსხვერპლი თავის ჩვენებაში აცხადებს, რომ ქმარმა ის ქამრით სცემა, რის შედეგადაც მას ზურგზე დარჩა სისხლნაჟღენთი. ამის მოსმენის შემდეგ, ერთ მოსამართლეს (ან მსაჯულს) დარჩა მცირე ზომის სისხლნაჟღენთის შთაბეჭდილება, მეორე მოსამართლეს (ან მსაჯულს) კი დიდი ზომის სისხლნაჟღენთის შთაბეჭდილება. თუ პროკურორი წარმოადგენს სურათს, რომელზეც ნაჩვენებია დაზარალებულის ზურგი ცემის შემდეგ, ყველა მოსამართლეს (ან მსაჯულს) დარჩება ერთი, უფრო სწორი, გამოსახულება, თუ როგორ გამოიყურებოდა ეს დაზიანება სინამდვილეში. ამან შეიძლება დიდი სხვაობა მოახდინოს მათ მიერ საქმის გადანყვეტაზე.

საჩვენებელი მასალების ჩვენებისთვის საუკეთესო დროდ ითვლება პერიოდი მას შემდეგ, რაც მოწმე დაასრულებს მისი მოთხრობის „მოქმედებით“ ნაწილს. ამის შემდეგ მოწმეს შეიძლება ეთხოვოს, აღწეროს და განმარტოს ნაჩვენები მასალები და თუ როგორ უკავშირდება ეს მასალები მომხდარ მოვლენებს. ადვოკატი, რომელიც ამ მიდგომას იყენებს, არ გაანყვეტინებს და არ მოახდენს ყურადღების გაფანტვას, როდესაც მოწმე ყვება მომხდარის მოქმედებით ნაწილს. მოქმედებითი ნაწილის მოყოლის შემდეგ ადვოკატს შეუძლია სთხოვოს მოწმეს, რომ ამ უკანასკნელმა აღწეროს ნაჩვენები მასალები; ადვოკატს შეუძლია დაუსვას მას კითხვები, რომლებიც ყურადღების ფოკუსირებას უფრო მეტად ახდენს მოწმის ჩვენების უფრო მნიშვნელოვან პუნქტებზე.

### *მომზადეთ მოწმე*

რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაკითხვის მწარმოებელმა პირმა წინასწარ უნდა მოამზადოს მოწმე დასაკითხად. ეს ნიშნავს, რომ მან მოწმეს წინასწარ უნდა აუწყოს, რა შეკითხვებს დაუსვამს ის მას

პირდაპირ დაკითხვის დროს და რა შეკითხვები შეიძლება დაისვას ჯვარედინი დაკითხვის დროს. აგრეთვე, ეს ნიშნავს, რომ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მონმეს წინდანი ვაჩვენოთ მასალები, რომელთა დემონსტრირებას შეიძლება მოხდეს სასამართლო სხდომის დროს, რათა მონმეს უკეთესად შეეძლოს ამ მასალების ახსნა სასამართლოსთვის. თუ მონმეს წინასწარ არ ვაცნობებთ, რა მოხდება დაკითხვის დროს, იგი შეიძლება ადვილად დაიბნეს და ცუდი გამოსვლა აჩვენოს ღია სასამართლო დაკითხვით გამონვეული სტრესის გავლენის ქვეშ.

ცხადია, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ის არ არის მონმისთვის „ტრენერი“ და არ უნდა უთხრას მონმეს, თუ რა თქვას ან როგორი პასუხების მოსმენა სურს ადვოკატს. ამან შეიძლება სასამართლო შეცდომაში შეიყვანოს და, გარდა ამისა, ასეთი საქციელი სერიოზულ ეთიკურ კითხვებს წარმოშობს ადვოკატის ქცევასთან დაკავშირებით.

### **ჯვარედინი დაკითხვა**

როგორც ამბობენ, ჯვარედინი დაკითხვა შეჯიბრებითი პროცესის გულია. ჯვარედინ დაკითხვას ორი ზოგადი მიზანი აქვს: 1) თქვენი ვერსიისთვის სასარგებლო ინფორმაციის სააშკარაოზე გამოტანა და 2) ოპონენტის ვერსიის მოშლა, რასაც „დესტრუქციული დაკითხვა“ ჰქვია. დესტრუქციული დაკითხვის მიზანია მონმის ან მის მიერ მიცემული ჩვენების დისკრედიტირება.

ცხადია, ყველა მონმის ჯვარედინი დაკითხვა აუცილებელი არ არის. თუ მონინააღმდეგე მონმეს ადვოკატის ვერსიისთვის ზიანი არ მიუყენებია, შეიძლება აზრი არ ჰქონდეს, რომ ადვოკატმა ამ მონმეს საერთოდ რაიმე შეკითხვა დაუსვას. ზოგჯერ საუკეთესო ჯვარედინი დაკითხვა არის უბრალოდ იმის თქმა, რომ „ამ მონმესთან შეკითხვები არ გვაქვს“. დესტრუქციული ჯვარედინი დაკითხვა ყოველთვის აუცილებელი არ არის და ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს ადვოკატის ვერსიას, როდესაც მონმემ დაამონმა ფაქტები, რომლებიც ადვოკატის სასარგებლოდ მეტყველებს.

### *ჯვარედინი დაკითხვის სტრუქტურა*

ადვოკატმა, რომელიც ჯვარედინი დაკითხვის ჩატარებას აპირებს, უნდა შეადგინოს ამ დაკითხვის ორგანიზაციული სტრუქტურა. ჩვეულებრივ, ეს სტრუქტურა უნდა იყოს ისეთი, რომ ძირითადი საკითხების რაოდენობა დაიყვანოს სამამდე ან ოთხამდე. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ჯვარედინი დაკითხვისას ზედმეტად ბევრი საკითხის მოცვის მცდელობა შეიძლება დამთავრდეს ძირითადი საკითხების მიერ მოსახდენი გავლენის გაფერმკრთალებით; გარდა ამისა, ამ შემთხვევაში იზრდება შესაძლებლობა, რომ დაკითხვის მწარმოებელმა პირმა დაკარგოს კონტროლი მოწმეზე და დაკითხვის მიმდინარეობაზე. ძირითად საკითხებში უნდა შედიოდეს ის საკითხები, რომლებიც ამყარებენ ჯვარედინი დაკითხვის მწარმოებელი პირის საქმის ვერსიას.

ჯვარედინი დაკითხვა არ უნდა წარმოადგენდეს პირდაპირი დაკითხვის გამეორებას. ეს ხშირი შეცდომაა, რომელსაც ბევრი ადვოკატი უშვებს. ჯვარედინი დაკითხვის დროს იგივე ან მსგავსი შეკითხვების დასმა, რომლებიც დასმული იყო პირდაპირი დაკითხვის დროს, როგორც წესი, ხელს უწყობს მოწმის ჩვენების გამყარებას, რომელიც მან პირდაპირი დაკითხვისას მისცა.

სასამართლო სხდომაზე ადვოკატის ქცევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წესი ასეთია: „არასოდეს დაუსვით შეკითხვა, რომელზეც პასუხიც თქვენ არ იცით.“ ეს წესი განსაკუთრებით ძალაშია ჯვარედინი დაკითხვისას. ჯვარედინი დაკითხვის მიზანი არის იმ ფაქტების სააშკარაოზე გამოტანა, რომლებიც თქვენთვის სასარგებლოა ან პირდაპირი დაკითხვით მომხდარი გავლენის შემცირება. ეს არ არის დრო, როდესაც თქვენ ინფორმაციის მოპოვებაზე უნდა იზრუნოთ. ადვოკატმა უნდა დასვას მხოლოდ ის შეკითხვები, რომლებზეც პასუხიც მან იცის ან ისეთი შეკითხვები, რომლებზეც გაცემულ პასუხებთან გამკლავება ადვოკატმა იცის, რომ შეუძლია საკუთარი ვერსიისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ადვოკატმა არ უნდა გამართოს კამათი მოწმესთან. ვინაიდან ჯვარედინი დაკითხვა შეკითხვების დამსმელ პირს ხშირად აყენებს კონფრონტაციის რეჟიმში და რადგან უმრავლეს შემთხვევაში მოწმეც, ფაქტიურად, ანტაგონისტურადაა განწყობილი, ძალზე ადვილია კა-



მათში ჩათრევა. მონმესთან კამათში ჩაბმა არა მხოლოდ არაპროფესიონალიზმის ნიშანია, არამედ ხშირად შეიძლება საწინააღმდეგო შედეგი მოიტანოს. უფრო ეფექტურია ჯვარედინი დაკითხვა, როდესაც შეკითხვების დამსმელი პირი აკონტროლებს შეკითხვებსაც და საკუთარ ემოციებსაც. მონმესთან კამათში შესვლის თავიდან აცილების საუკეთესო გზაა დაკითხვის ყურადღებით ორგანიზება და სტრუქტურაში მოქცევა.

ჯვარედინი დაკითხვის მწარმოებელი პირი, როგორც წესი, უნდა მოერიდოს მონმისთვის ღია შეკითხვების დასმას ანუ ისეთი შეკითხვების დასმას, რომლებიც მონმისგან მოითხოვს „განმარტებას“. შეკითხვები, როგორცაა „რა“, „როგორ“ ან „რატომ“ ის შეკითხვებია, რომლებიც მონმეს აძლევს ისეთი ჩვენების მიცემის შესაძლებლობას, რომელიც საზიანოა შეკითხვების დამსმელი პირის ვერსიისთვის. როდესაც მონმეს უსვამენ შეკითხვას, რომელიც მონმეს საშუალებას აძლევს „განმარტოს“ და არა გასცეს მხოლოდ მოკლე პასუხი, ამ დროს ჯვარედინი დაკითხვის მწარმოებელი პირი კარგავს კონტროლს დაკითხვის მიმდინარეობაზე. ჯვარედინ დაკითხვაში უმთავრესი სწორედ კონტროლია. გახსოვდეთ, რომ პირდაპირი დაკითხვის მწარმოებელ პირს ასეთი ტიპის შეკითხვების დასმა მონმეებისთვის შეუძლია ხელახალი პირდაპირი დაკითხვის დროს, თუ ის ამას აუცილებლად მიიჩნევს.

### *ჯვარედინი დაკითხვის სტილი*

პირდაპირი დაკითხვის დროს, დაკითხვის მწარმოებელი პირი, ჩვეულებრივ, ცდილობს მონმესთან შედარებით მეორეხარისხოვანი როლის პოზიციის დაკავებას. ჯვარედინი დაკითხვის დროს კი დაკითხვის მწარმოებელმა პირმა უნდა ეცადოს, ითამაშოს მთავარი ან დომინანტური როლი. ფაქტის დამდგენი პირის ყურადღების გადატანა უნდა მოხდეს მონმიდან დაკითხვის მწარმოებელ პირზე. ჯვარედინი დაკითხვის მწარმოებელ პირს ამ ყურადღების გადატანის მოხდენა შეუძლია გარკვეული ხერხების გამოყენებით:

ა. დასვით პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვები. ეს ის შეკითხვებია, რომლებიც პასუხზე მიანიშნებს. მიმანიშნებელი შეკითხვების მაგალითებია:

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

კითხვა: ქალბატონო სოხაძე, 28 ივნისს ველოსიპედი თქვენს საკუთრებაში იყო, არა?

კითხვა: თქვენ მუშტი დაარტყით იმ კაცს, ხომ?

კითხვა: იმ ღამეს თქვენ ლიქიორს სვამდით – მართალია?

ადვოკატს შეუძლია აგრეთვე შეკითხვები მიმანიშნებელ შეკითხვებად აქციოს ინტონაციის და მანერის გამოყენებით.

მაგალითი:

კითხვა: ბატონო ჯაში, თქვენ თავს დაგესხნენ დაახლოებით ღამის 11 საათზე?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ეს იყო 5 დეკემბერი, ზამთრის დრო?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ღამის დრო იყო?

პასუხი: დიახ.

კითხვა: მზე ჩასული იყო?

პასუხი: დიახ.

კითხვა: მაღაზიები დაკეტილი იყო?

პასუხი: დიახ, ალბათ მათი უმრავლესობა.

კითხვა: ბევრი მანქანა არ მოძრაობდა?

პასუხი: არა, ღამის ასეთ დროს არა.

კითხვა: პირდაპირი დაკითხვის დროს თქვენ განაცხადეთ, რომ ქუჩის განათებით ქუჩა განათებული იყო?

პასუხი: დიახ.

კითხვა: და ეს ქუჩის განათება განლაგებული იყო ყოველი კვარტლის ბოლოს?

პასუხი: დიახ.

კითხვა: მაგრამ კვარტლის შუაში ქუჩის განათება არ იყო?

პასუხი: არა.

კითხვა: და სწორედ ამ ადგილას მოხდა დაყაჩაღება, არა?

პასუხი: დიახ.

ჯვარედინი დაკითხვის ზემოთ მოცემული მოკლე ამონარიდიდან ჩანს, რომ დაკითხვის მწარმოებელი პირი არა მარტო აკონტროლებდა მონმის პასუხებს მის მიერ დასმული შეკითხვების ფორმით და ტონით, არამედ მან მოახერხა ფაქტობრივი საფუძვლის აწყობაც იმისათვის, რის დამტკიცებასაც ის აპირებს, კერძოდ, რომ განათების პირობები არასაკმარისი იყო, რომ დაზარალებულს დაენახა და სწორად ამოეცნო თავდამსხმელი. ამ დაკითხვის დროს დაკითხვის მწარმოებელმა პირმა შეიძლება წარმოადგინოს მოქმედების ადგილის ამსახველი ფოტოსურათი, რომელსაც იგი მონმეს აჩვენებს დაკითხვის დროულ მომენტში. თუ მონმე იტყვის, რომ შენობათა კვარტალის შუაში ქუჩის განათება იყო, ხოლო ფოტოსურათი აჩვენებს, რომ განათება იქ არ იყო, ამით დამტკიცდება მონმის მიერ გახსენებული ფაქტების მცდარობა. ამის საფუძველზე კი სასამართლომ შეიძლება ეჭვის თვალით შეხედოს მონმის მიერ გახსენებული სხვა გარემოებების სიზუსტეს, რამაც საბოლოო ჯამში შეიძლება შედეგად მოიტანოს ის, რომ მონმის მიერ ბრალდებულის ამოცნობა სასამართლომ შეიძლება არადაამაჯერებლად ჩათვალოს.

*ბ. დასვით მოკლე, მკაფიოდ გასაგები შეკითხვები, რომლებიც მოწმეს ნელ-ნელა მიიყვანს იქამდე, რომ მან მოქცეთ თქვენთვის სასურველი ინფორმაცია.*

ზემოთ მოყვანილ მაგალითში დაკითხვის მწარმოებელ პირს არ დაუსვამს შეკითხვა ასეთი ფორმით: „სინამდვილეში თქვენ არ დაგინახავთ კაცი, რომელმაც თქვენ დაგაყარა, არა?“ მას რომ შეკითხვა ასეთნაირად დაესვა, მოწმე სავარაუდოდ უპასუხებდა იმას, რისი მოსმენაც დაკითხვის მწარმოებელი პირისთვის სასურველი არ იყო. მის მიერ გამოყენებული დაკითხვის სტილი მას დაეხმარა იმაში, რომ მოწმისგან მიეღო ფაქტები, რომელთა საფუძველზეც ის შემდგომ დაამტკიცებდა, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილზე განათება არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ დაზარალებულს დამაჯერებლად ამოეცნო დამნაშავე.

*გ. შეინარჩუნეთ კონტროლი მოწმეზე.*

ანგლო-ამერიკულ სამართალწარმოებაში, ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც ადვოკატები იყენებენ მოწმეზე კონტროლის დამყარების მიზნით, გახლავთ ის, რომ ისინი განარიდებენ მოწმის ისეთ პასუხს, რომელიც პირდაპირ არ პასუხობს დასმულ შეკითხვაზე; ამის შემდეგ კი ისინი სასამართლოს სთხოვენ, უბრძანოს მოწმეს უფრო პირდაპირი პასუხის გაცემა. მართალია, საქართველოს სასამართლო დარბაზებში არ მოქმედებს ფორმალური წესები, რომლებიც მოწმეებსა და ადვოკატებს შორის ამგვარ სიტყვა-პასუხს არეგულირებს, მაგრამ არაფერი უშლის ხელს დაკითხვის მწარმოებელ პირს, სთხოვოს მოსამართლეს, რომ ამ უკანასკნელმა მოწმეს დაავალოს უფრო ადეკვატური რეაგირების მოხდენა. ბევრ შემთხვევაში ასეთი თხოვნა შეიძლება წარმატებით დასრულდეს.

კონტროლის დამყარების უფრო ნაკლებად ფორმალური მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ გამოვიყენოთ მოწმის შიში, რომ არ გამოიყურებოდეს სულელად ან არ მისცეს მცდარი ინფორმაცია დაკითხვის მწარმოებელი პირის სასარგებლოდ. თუ დაკითხვის მწარმოებელი პირი დაკითხვას აწარმოებს თავდაჯერებულად და შეკითხვებს აძლევს დარწმუნებით, მოწმე ხშირად უფრო დამყოლი და ნაკლებად ანტაგო-

ნისტური ხდება. ეს ეხმარება დაკითხვის მწარმოებელ პირს მონმის გაკონტროლებაში და ისეთი ინფორმაციის მიღებაში, რომელიც მისი ვერსიისთვისაა სასარგებლო.

*დ. გამოიყენეთ სტილი, რომელიც ბუნებრივია*

არსებობს დაკითხვისა და პრეზენტაციის ბევრი ეფექტური სტილი. შეიძლება, ამერიკული ფილმები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სასურველია „დრამატული“ სტილი, მაგრამ სინამდვილეში მოსამართლეების და მსაჯულების უმრავლესობას სულაც არ მოსწონთ ზედმეტად დრამატული პრეზენტაციები. თითოეულმა ადვოკატმა უნდა შეიმუშავოს სტილი, რომელიც თვითონ მისთვისაა ბუნებრივი, სტილი, რომლის გამოყენების დროსაც თვითონ გრძნობს თავს კომფორტულად.

*სასურველი ინფორმაციის სააშკარაოზე გამოტანა*

როდესაც მონინალმდევე მხარის მონმე ფლობს ინფორმაციას, რომელიც ამყარებს მხარის ვერსიას და თავსებადია მის საქმის ვერსიასთან, ჯვარედინი დაკითხვის მწარმოებელმა პირმა ეს ინფორმაცია უნდა გამოიტანოს მონმისგან. ეს უნდა მოხდეს ჯვარედინი დაკითხვის დასაწყისში. თუ დაკითხვის მწარმოებელი პირი სასიამოვნო და ზრდილობიანი დაკითხვის წარმოებისას, მონმე უფრო მოეშვება და უფრო მოთანამშრომლე გახდება. თუ დაკითხვის მწარმოებელ პირს სჭირდება ისეთი შეკითხვების დასმა, რომლებიც ახდენს მონმის დისკრედიტაციას ან მონმის ეჭვქვეშ დაყენებას, მან ეს შეიძლება გააკეთოს დაკითხვის უფრო მოგვიანებით ნაწილში, მას შემდეგ, რაც ის მონმისგან მიიღებს მისთვის სასურველ ინფორმაციას.

იშვიათია, რომ მონმის პირდაპირი დაკითხვა მთლიანად საზიანო აღმოჩნდეს მხარისთვის. როგორც წესი, მონმე იძლევა ნაწილობრივ სასურველ ინფორმაციას. ჯვარედინი დაკითხვის მწარმოებელი პირისთვის ხშირად სასარგებლოა, გაამეორებინოს მონმეს ის ფაქტები, რომლებიც მისთვის სასურველია. მონმის მიერ მხარისთვის სასურველი

ფაქტების გამეორება აუმჯობესებს შესაძლებლობას, რომ მოსამართლეს გაახსენდეს ეს თქვენთვის სასურველი ფაქტები, როდესაც ის გადანყვეტილების მიღების პროცესში იქნება.

შეიძლება ისე მოხდეს, რომ მოწინააღმდეგე მხარის მოწმემ ნაწილობრივ დაადასტუროს ან გაამყაროს ჯვარედინი დაკითხვის მწარმოებელი პირის ვერსია. შეიძლება მოხდეს, რომ მოწმემ იცის ზოგიერთი ფაქტი, რომელიც ამყარებს მხარის მიერ გამოძახებული მოწმეების მიერ გაკეთებულ განცხადებებს. მოწინააღმდეგე მხარის მოწმის მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც ამყარებს ჯვარედინი დაკითხვის მწარმოებელი პირის ვერსიას ან ჯვარედინი დაკითხვის მწარმოებელი პირის მოწმეების მიერ გაკეთებულ განცხადებებს, ხშირად ძალზე ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს მოსამართლეებზე. ადვოკატმა შეიძლება ამტკიცოს თავის დასკვნით სიტყვაში, რომ ესა თუ ეს ფაქტები სიმართლეა, რადგან თვით მოწინააღმდეგე მხარის მოწმემაც აღიარა, რომ ისინი სიმართლეა.

### *არასასურველი ჩვენების დისკრედიტირება*

ამ ტიპის ჯვარედინ დაკითხვას ერთი მთავარი მიზანი აქვს: აჩვენოს ან მიანიშნოს, რომ მოწმის მიერ მიცემული ჩვენება ნაკლებად დამაჯერებელია ან სავარაუდოა, რომ ის არც ისე ასახავს სიმართლეს, როგორც ეს ჩანდა პირდაპირი დაკითხვის დასასრულს. მიზანი არ არის თვითონ მოწმის დისკრედიტირება ან „მოშლა“. დაკითხვის მწარმოებელ პირს იშვიათად ექნება შესაძლებლობა, აჩვენოს, რომ მოწმე განზრახ იტყუებოდა პირდაპირი დაკითხვის დროს. თუმცა, ბევრი მოწმე ჩვენების თხრობისას ამატებს თავის პერსპექტივებს, განწყობებს და მოსაზრებებს. ამან შეიძლება მომხდარი მოვლენის არასწორი სურათი შექმნას. ჯვარედინმა დაკითხვამ ეს უსწორობა შეიძლება გამოასწოროს და ნამდვილი სურათი გამოავლინოს.

არსებობს მოწმის ჩვენების დისკრედიტირების ორი ხერხი: მოწმის *აღქმის* ეჭვქვეშ დაყენება და მოწმის *მახსოვრობის* ეჭვქვეშ დაყენება.

აღქმა

მონმის ჩვენების დისკრედიტირების აშკარა საშუალებაა ისეთი ფაქტების სინათლეზე გამოტანა, რომლებიც მიანიშნებს, რომ მონმეს არ ჰქონდა საუკეთესო უნარი ან შესაძლებლობა, დაკვირვებოდა იმ მოვლენას, რის შესახებაც მან ჩვენება მისცა პირდაპირი დაკითხვის დროს. ჩვეულებრივ, აქ უნდა ვაჩვენოთ, რომ მოვლენა განვითარდა სწრაფად და მოულოდნელად, რომ მონმე იყო შეშინებული ან ალელვებული, რომ მანძილი იყო დიდი ან განათება იყო ცუდი. ამ ტიპის დაკითხვის შედეგად სასამართლომ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მონმის დაკვირვების სიზუსტე.

მაგალითი:

კითხვა: ქალბატონო ლორია, ინციდენტი, რომლის შესახებაც თქვენ ჩვენება მიეცით პირდაპირი დაკითხვის დროს, მოხდა ვაჟა ფშაველას ქუჩაზე, მართალია?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ვაჟა ფშაველა, როგორც წესი, საკმაოდ გადატვირთული ქუჩაა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: მანქანების მოძრაობა ამ ქუჩაზე ინტენსიურია?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ღამითაც კი, ასეა?

პასუხი: დიახ, ყოველთვის გადატვირთულია.

კითხვა: თქვენს ჩვენებაში თქვენ განაცხადეთ, რომ კაცი, რომელმაც თქვენ საფულე გაგტაცათ, თქვენ თავს დაგესხათ ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის ქვეშ, ვაჟა ფშაველას და ასათიანის ქუჩების კუთხეში.



ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

პასუხი: დიახ.

კითხვა: ხიდის ქვეშ ტროტუარი არ არის, არა?

პასუხი: არა.

კითხვა: ესე იგი, ცოტა სამანქანო გზის შიგნით გინვეთ შესვლა, რომ ხიდის ქვეშ მოხვდეთ, ასეა?

პასუხი: დიახ, სამანქანო გზის კიდეზე.

კითხვა: და ამ დროს მანქანების მოძრაობა პირდაპირ თქვენსკენაა მომართული?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ანუ როდესაც ხიდის ქვეშ გადიხართ, ყურადღებით უნდა ადევნოთ თვალი მანქანების მოძრაობას, რომ არ დაშავდეთ, მართალია?

პასუხი: დიახ.

კითხვა: თქვენ თვალს ადვინებდით მანქანების მოძრაობას, როდესაც გადიოდით ხიდის ქვეშ იმ ღამეს, ხომ ასეა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: რადგან თქვენ არ გინდოდათ, რომ დაშავებულიყავით?

პასუხი: დიახ, არ მინდოდა.

კითხვა: ეს ინციდენტი მოხდა დაახლოებით 10 საათზე, სწორია?

პასუხი: დიახ.

კითხვა: გარეთ ბნელოდა?

პასუხი: დიახ, მაგრამ ქუჩაში იყო განათება.

კითხვა: მაგრამ ხიდის ქვეშ განათება არ იყო?

პასუხი: არა, არა მგონია.

კითხვა: ესე იგი, თქვენ ალბათ განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდით თვალს მანქანების მოძრაობას, რადგან იცოდით, რომ მანქანებიდან მძღოლებს შეიძლება თქვენი დანახვა გაჭირვებოდათ მკრთალი განათების ფონზე?

პასუხი: დიახ, მგონი ასეა?

კითხვა: ამ დროს მოვიდა ეს კაცი უკნიდან?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ხიდის ქვეშ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: სამანქანო გზაზე?

პასუხი: სამანქანო გზის კიდიდან, დიახ.

კითხვა: ის წინ გადმოგიხტათ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: თქვენ გაგიკვირდათ, ხომ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: თქვენ შეგეშინდათ, ხომ?

პასუხი: დიახ.

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

კითხვა: მან თქვენ დანა დაგანახათ?

პასუხი: დიას.

კითხვა: აღწერთ დანას?

პასუხი: ის გაპრიანებული იყო, ხოლო ბასრი მხარე დაახლოებით 15 სმ სიგძის იყო.

კითხვა: თქვენი თვალეუბი დანისკენ იყო მიპყრობილი?

პასუხი: დიას, აღბათ ასეა.

კითხვა: მან წაგართვათ საფულე და გაიქცა?

პასუხი: დიას.

კითხვა: როდესაც გაიქცა, მას დანა ისევე ხელში ეჭირა?

პასუხი: დიას, მგონი ასეა.

კითხვა: ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, ხომ?

პასუხი: დიას.

კითხვა: მხოლოდ რამდენიმე წამი, ხომ?

პასუხი: დიას.

კითხვა: და ეს ყველაფერი მოხდა სამანქანო გზის ნაწილზე, ხიდის ქვეშ?

პასუხი: დიას.

ამ ჯვარედინი დაკითხვის შედეგად, დაკითხვის მწარმოებელმა პირმა ეჭვქვეშ დააყენა მონმის დაკვირვება რამდენიმე კუთხით. მან სინათლეზე გამოიტანა ფაქტები, რომლებიც მიანიშნებს, რომ ქუჩაში განათება არასაკმარისი იყო, რომ მონმის ყურადღება ნაწილობრივ მაინც გაფანტული იყო მასზე მომავალი მანქანების მოძრაობით, რომ მონმე დაკვირვებული და შეშინებული იყო ამ კაცის გამოჩენით, რომ მისი ყურადღება ალბათ დანაზე უფრო იყო ფოკუსირებული, ვიდრე ამ კაცის სახეზე და რომ მონმეს ძალიან ცოტა დრო ჰქონდა ამ კაცზე დასაკვირვებლად. დაკითხვის მწარმოებელმა პირმა ეს ჩვენება შეიძლება გამოიყენოს მოგვიანებით იმის დასამტკიცებლად, რომ რადგან მონმე დაკვირვებას ახორციელებდა ყველაზე არახელსაყრელ პირობებში, მონმის მიერ ბრალდებულის, როგორც მასზე თავდამსხმელი პირის ამოცნობა არ არის სანდო.

### მახსოვრობა

მონმის მიერ მომხდარი მოვლენის დეტალების გახსენების უნარმა შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს მისი ჩვენების სანდოობაზე. თუ მოვლენის დადგომის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მას შეიძლება გაუჭირდეს ამ მოვლენის ზუსტად გახსენება. აგრეთვე, მონმეს შეიძლება გაუჭირდეს მოვლენის რეალური დეტალების განცალკევება სხვებისგან გაგონილი დეტალებისგან ანდა მისი გონების მიერ გამოგონილი დეტალებისგან. ჯვარედინმა დაკითხვა ხშირად შეიძლება გამოავლინოს, რომ მონმეს დაავინწყდა, დაიბნა ან სხვაგვარად ერთმანეთში აერია ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც აუცილებელია მოვლენების ზუსტი აღდგენისთვის.

მაგალითი:

პოლიციის თანამშრომელმა ბრალდებული დააკავა სასამართლო სხდომამდე 6 თვით ადრე და ჩამოართვა ჩვენება. ჯვარედინი დაკითხვით გამოვლინდა, რომ პოლიციის თანამშრომელს მონმისგან ჩამორთმეული ჩვენება არ ჩაუნერია თავის რაპორტში და მას შემდეგ ამ პოლიციელმა იმდენი ადამიანი დააკავა და იმდენი რაპორტი შეადგინა, რომ მას ალბათ აღარ შეუძლია ზუსტად გაიხსენოს, რა თქვა ბრალდებულმა:

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

კითხვა: თქვენ ჩემი კლიენტი დააკავეთ ექვს თვეზე მეტი ხნის წინ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: დაახლოებით რამდენ ადამიანს აკავებთ ყოველი კვირის განმავლობაში.

პასუხი: ალბათ 4-5 ადამიანს.

კითხვა: ესე იგი, მას შემდეგ, რაც თქვენ ჩემი კლიენტი დააკავეთ 6 თვის წინ, თქვენ დააკავეთ დაახლოებით 120 ადამიანი?

პასუხი: დაახლოებით ამდენი. შეიძლება უფრო ცოტა. ძნელი სათქმელია რამდენი.

კითხვა: ყველა ამ დაკავების ყველა დეტალის დამახსოვრება ალბათ შეუძლებელია, ხომ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: სწორედ ამიტომ ამ დეტალებს თქვენ აფიქსირებთ რაპორტებში?

პასუხი: დიახ.

კითხვა: და ამ რაპორტებში თქვენ ცდილობთ დააფიქსიროთ ყველაფერი, რაც თქვენი აზრით მნიშვნელოვანია?

პასუხი: დიახ..

კითხვა: მაგრამ ამ საქმეში თქვენ რაპორტში არაფერია ნათქვამი ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების შესახებ.

პასუხი: არა.

კითხვა: თქვენი რაპორტი არ ასახავს იმას, რაც უშუალოდ ბრალდებულმა თქვა, არა?

პასუხი: არა.

### *ექვევემ დაყენება*

ექვევემ დაყენება არის ჯვარედინი დაკითხვის ხერხი, რომელიც ახდენს მონმის ან მისი ჩვენების დისკრედიტირებას. მისი მიზანი მარტივია: აჩვენოს სასამართლოს, რომ მონმის ან მისი ჩვენების დაჯერება არ შეიძლება.

არსებობს ექვევემ დაყენების რამდენიმე ძირითადი ხერხი. ორი ასეთი სტანდარტული ხერხია:

- a. იმის ჩვენება, რომ მონმე იყო მიკერძოებული, მას ჰქონდა რაიმე ინტერესი ან მოტივი.
- b. იმის გამოაშკარავება, რომ მონმის ადრინდელი განცხადებები ერთმანეთთან არათავსებადია.

*მიკერძოება* და *წინასწარ შექმნილი უარყოფითი აზრი* არის ისეთი ტენდენციები ან მიდრეკილებები, რომლებიც ადამიანს ხელს უშლის, იყოს ობიექტური. ადამიანი შეიძლება მიკერძოებული იყოს სხვა პირის ან პოზიციის სასარგებლოდ ან, პირიქით, ამ პირის ან პოზიციისადმი ჰქონდეს წინასწარ შექმნილი უარყოფითი აზრი. ამ მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი უარყოფითი აზრის სააშკარაოზე გამოტანას, ჩვეულებრივ, შედეგად მოაქვს ოჯახური, საქმიანი ან პირადი ურთიერთობის გამოაშკარავება, რის გამოც მონმე შეუძლებელია იყოს მიუკერძოებელი ან ობიექტური.

მაგალითი:

დაცვითი სამართლებრივი პოზიცია არის ალიბი. ბრალდებულის დედამ პირდაპირი დაკითხვის დროს განაცხადა, რომ მისი შვილი იმყოფებოდა სახლში, როდესაც დანაშაული იქნა ჩადენილი. ჯვარედინი დაკითხვა გამოავლენს დედის აშკარა მიკერძოებას შვილის მიმართ.

*კითხვა:* ქალბატონო ჟვანია, თქვენი თქვენთან ცხოვრობდა 6 ოქტომბერს, როდესაც თავდასხმა მოხდა, ასეა?

*პასუხი:* დიახ.

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

კითხვა: თქვენი შვილი ეხლაც თქვენთან ცხოვრობს?

პასუხი: დიახ.

კითხვა: მართალი იქნება, თუ ვიტყვით, რომ თქვენ შვილს თქვენ ყოველდღე ელაპარაკებით?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ის გელაპარაკებათ თქვენ თავის პრობლემებზე?

პასუხი: დიახ.

კითხვა: თქვენ ალბათ ბევრჯერ გელაპარაკიათ თქვენს შვილთან ამ საქმესთან დაკავშირებით, ხომ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: სასამართლოს თქვენ დღეს იძულებით არ მოუყვანიხარ აქ, არა?

პასუხი: არა.

კითხვა: თქვენმა შვილმა და მისმა ადვოკატმა გთხოვეს თქვენ, დღეს მოსულიყავით და მიგეცათ ჩვენება, ასეა?

პასუხი: დიახ.

თქვენ ალბათ შენიშნეთ, რომ ეს ჯვარედინი დაკითხვა ძალზე ფაქიზი იყო. დაკითხვის მწარმოებელმა საკმარისი შეკითხვები დასვა იმისათვის, რომ მიენიშნებინა დედის აშკარა მიკეძობაზე და ეს ისე გააკეთა, რომ არც დედას დასხმია თავს და არც ზედმეტი თანაგრძნობით უჩვენებია იგი სასამართლოსთვის.

ინტერესი ნიშნავს რაიმენაირ სარგებელს, რომელიც მოწმემ შეიძლება მიიღოს საქმის შედეგიდან, ანდა შესაძლო ზიანსაც. ინტერესი ხშირად



ფინანსურია. რადგან ადამიანური სიხარბე გავრცელებული ადამიანური მოტივაციაა, ამის სააშკარაოზე გამოტანამ შეიძლება დამაზიანებელი გავლენა იქონიოს მონმის მონმის ჩვენებაზე.

მოტივი არის ფსიქოლოგიური მონოდება, რომელიც ადამიანს აღძრავს რაიმე კონკრეტული გზით ფიქრისთვის ან მოქმედებისთვის. გავრცელებული მოტივებია სიხარბე, სიყვარული, სიძულვილი და შურისძიება. ეფექტურად ჩვენებამ იმისა, რომ მონმეს აქვს მოტივი იმისათვის, რომ ასე ან ისე მისცეს ჩვენება, შეიძლება შედეგად მოიტანოს, რომ სასამართლომ სკეპტიკურად შეხედოს მონმის ჩვენებას.

მაგალითი:

ბრალდებულს ბრალად ედება ცეცხლის წაკიდება. ჯვარედინი დაკითხვის მიზანია აჩვენოს, რომ ბრალდებულს ჰქონდა ფინანსური პრობლემები და მიანიშნოს, რომ მან დანვა საკუთარი რესტორანი იმ მიზნით, რომ მიეღო სადაზღვევო ანაზღაურება.

კითხვა: ბატონო რიჟამაძე, ექვსი თვის წინ თქვენ დიდი ინვესტიცია განახორციელეთ საქართველოს სააქციო ბაზარზე, მართალია?

პასუხი: დიახ.

კითხვა: უფრო რომ დავკონკრეტდეთ, თქვენ შეისყიდეთ 100000 დოლარზე მეტი ღირებულების აქციები აგრობანკში, ხომ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ეს აქციები რომ გეყიდათ, თქვენ აღნიშნული თანხა ისესხეთ, არა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: თქვენ ჩადეთ თქვენი რესტორანი, როგორც ამ სესხის უზრუნველყოფის საშუალება?

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარმველი იუსტიციისათვის

პასუხი: დიას, ჩავდე.

კითხვა: ოთხი თვის წინ აგრობანკი დაიხურა, გაკოტრდა არა?

პასუხი: დიას.

კითხვა: თქვენმა აქციებმა ღირებულება დაკარგა.

პასუხი: დიას, სამწუხაროდ ასეა.

კითხვა: ამავე დროს, თქვენმა კრედიტორებმა დაიწყეს თქვენგან ვალეების დაბრუნების მოთხოვნა?

პასუხი: დიას.

კითხვა: თქვენ არ გქონდათ თანხა, რომ ეს კრედიტორები გაგესტუმრებინათ, ხომ?

პასუხი: არ მქონდა.

კითხვა: თქვენ არც ბანკში გქონდათ თანხა, რომ გადაგეხადათ ვალეები?

პასუხი: არა.

კითხვა: ფაქტიურად, თქვენ საერთოდ უფულოდ დარჩით.

პასუხი: პრინციპში, დიას.

კითხვა: მაგრამ თქვენ ფლობდით რესტორანს?

პასუხი: დიას.

კითხვა: რესტორანი დაზღვეული იყო?

პასუხი: დიას.

კითხვა: 200000 დოლარად, ხომ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: როცა თქვენი რესტორანი დაინვა, თქვენ მოითხოვეთ თქვენთვის სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხომ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ეს სადაზღვევო ანაზღაურება იყო 200000 დოლარი.

პასუხი: დიახ.

კითხვა: და ამ თანხით თქვენ უკვე შეგეძლოთ ვალის გადახდაც და თან 100000 დოლარი გრჩებოდათ, ასეა?

პასუხი: პრინციპში, დიახ.

### ადრინდელი განცხადებების არათავსებადობა

მონემსთან დაპირისპირება იმ არაურთიერთთავსებადი განცხადებებით, რომლებიც მან სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემამდე გააკეთა შეიძლება ერთ-ერთი ყველა ეფექტური მეთოდი იყოს მონემის ეჭვქვეშ დასაყენებლად. ეს განცხადებები შეიძლება გაკეთებული იყოს პოლიციისთვის ან მოქალაქეებისთვის ან შეიძლება მანამდე გამართულ სასამართლო მოსმენებზეც. მიზანი არის იმის ჩვენება, რომ მონემმა ერთი და იგივე მოვლენის ან ფაქტი ორი ან მეტი ერთმანეთისგან განსხვავებული ვერსია წარმოადგინა და ამიტომ ამ ჩვენების ნდობა არ შეიძლება.

არსებობს მარტივი ხერხი, რომლითაც შეიძლება მონემის ეჭვქვეშ დაყენება ამ მხრივ. ეს ხერხი სამ ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე მონემს უნდა აღიარებინოთ, რომ მან ესა თუ ის განცხადება გააკეთა პირდაპირი დაკითხვის დროს. მეორე ეტაპზე უნდა მოვახდინოთ იმ განცხადების გავრცობა, რომელიც მონემმა პირდაპირი დაკითხვის

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

დროს გააკეთა, რათა ვაჩვენოთ ამ განცხადების მნიშვნელოვანება. მესამე ეტაპზე კი მოწმეს უნდა დავუპირისპირდეთ მიერ მიერ ადრე გაკეთებული არათავსებადი განცხადებით იმგვარად, რომ მან აღიაროს, რომ ნამდვილად გააკეთა ეს განცხადება.

მაგალითი:

კითხვა: ბატონო აბულაძე, პირდაპირი დაკითხვისას თქვენ განაცხადეთ, რომ თქვენ 20 მეტრზე უფრო ახლოს იმყოფებოდით, როდესაც დაინახეთ მანქანების შეჯახება?

პასუხი: დიახ.

კითხვა: თქვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ხართ ამაში?

პასუხი: დიახ, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ.

კითხვა: მანძილი თქვენსა და იმ ადგილს შორის, სადაც მოხდა მანქანების შეჯახება, მნიშვნელოვანია, ასეა?

პასუხი: დარწმუნებული არ ვარ რას გულისხმობთ.

კითხვა: რაც უფრო მოშორებით იქნებოდით შეჯახების ადგილიდან, უფრო ნაკლებად შეძლებდით დეტალების გარჩევას, ასე არაა?

პასუხი: ზოგადად ასეა.

კითხვა: ბატონო აბულაძე, თქვენ 20 მეტრზე უფრო შორს ხომ არ იდევით, როდესაც მანქანების შეჯახება დაინახეთ?

პასუხი: არა.

კითხვა: თქვენ ელაპარაკეთ პოლიციის თანამშრომელს შეჯახებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, ხომ?

პასუხი: დიახ.

*კითხვა:* ეს ის დრო იყო, როდესაც დეტალები კარგად გახსოვდათ თქვენს გონებაში?

*პასუხი:* დიახ.

*კითხვა:* თქვენ იცოდით, რომ ეს პოლიციის თანამშრომელი იძიებდა აღნიშნული შეჯახების ფაქტს, ასეა?

*პასუხი:* რა თქმა უნდა.

*კითხვა:* და თქვენ ყურადღებით იყავით, რომ პოლიციის თანამშრომლისთვის ფაქტების სწორი გადმოცემა მიგეცათ, ხომ?

*პასუხი:* რა თქმა უნდა.

*კითხვა:* ფაქტიურად, თქვენ პოლიციის თანამშრომელს, შეჯახებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, უთხარით, რომ თქვენ იდეით „20 მეტრზე უფრო მეტად მოშორებით“ , როდესაც თქვენ დაინახეთ მანქანების შეჯახება, ასეა?

*პასუხი:* მგონი ვუთხარი, დიახ.

ზემოთ ნაჩვენებ მაგალითში ჯვარედინი დაკითხვის მწარმოებელმა პირმა გამოიყენა სამ ეტაპიანი ხერხი, რათა გამოეამკარავებინა, რომ მოწმემ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტის ორნაირი ვერსია დაასახელა. იმ ფაქტს, რომ მოწმემ მისცა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები, სასამართლო სავარაუდოდ გაითვალისწინებს, როდესაც იმსჯელებს ამ მოწმის ჩვენების სანდოობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც მოწმე უარყოფს ადრე საწინააღმდეგო განცხადების გაკეთებას, ზემოთ ნაჩვენები მაგალითისგან განსხვავებით, დაკითხვის მწარმოებელი პირი მზად უნდა იყოს, რომ მოწმეს დაუპირისპირდეს ასეთი განცხადების გაკეთების დამადასტურებელი მტკიცებულებით, მაგალითად, მოწმისთვის პოლიციის რაპორტის ჩვენებით ან მანამდე გამართული სასამართლო სხდომის სტენოგრამით, რომელშიც დაფიქსირებულია ადრე გაკეთებული საწინააღმდეგო განცხადება, ანდა ნამდვილი მოწმეების წარმოდგენით, რომლებიც დაადასტურებენ საწინააღმდეგო განცხადების გაკეთების ფაქტს.

## VI. სისხლის სამართალში ადვოკატირების უნარ-ჩვევები: დასკვნითი სიტყვა

### ქართული საპროცესო კანონმდებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ აძლევს მხარეებს უფლებას, მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ წარადგინონ დასკვნითი სიტყვები. მუხლი 251-ე მუხლის (მხარეთა დასკვნითი სიტყვები) პირველ პუნქტში ნათქვამია: „დასკვნით სიტყვას პირველად წარადგენს ბრალდების მხარე, ხოლო შემდეგ – დაცვის მხარე.“

პირველი პუნქტი დასკვნითი სიტყვის ზოგად პარამეტრებს ადგენს: „მხარეებს უფლება არ აქვთ, გამოსვლებში დაიმონონ მტკიცებულება, რომელიც სასამართლოში არ გამოკვლეულა.“ ერთი შეხედვით, ეს ტექსტი ხაზს უსვამს ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის საჯარო, ზეპირ და შეჯიბრებით ხასიათს. მაგრამ რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მაინც აძლევს სასამართლოს შესაძლებლობას, განიხილოს ბრალდების მხარის მიერ საქმის გამოძიების ეტაპზე შედგენილი დოკუმენტები, როგორც მტკიცებულება, დაცვის მხარის ან მომსამართლის დასწრების გარეშე ჩატარებული მონმის დაკითხვის ოქმები, ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო განხილვის საჯარო და ზეპირი ხასიათი არ არის ის, რასაც ვხვდებით უფრო ტრადიციულად შეჯიბრებით სისტემებში. ნამდვილად შეჯიბრებით სისტემაში, რამდენიმე შეზღუდული გამოწვევის გარდა, მონმის ჩვენებები არ შეიძლება ფაქტების განმხილველი პირის მიერ განხილულ იქნას მტკიცებულებად, თუ მხარეებს არ ჰქონიათ ღია სასამართლო სხდომაზე მონმის დაკითხვის საშუალება.

ისევე, როგორც შესავალი სიტყვის შემთხვევაში, საპროცესო კოდექსი მოსამართლეს უფლებას აძლევს, განსაზღვროს „გონივრული ვადა“, რომლის განმავლობაშიც მხარეებს შეუძლიათ თავიანთი დასკვნითი სიტყვების წარდგენა (სსსსკ მუხლი 251.3). ისევე, როგორც შესავალი სიტყვის შემთხვევაში, დასკვნითი სიტყვის შემთხვევაშიც საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს, თუ რას ნიშნავს გონივრული ვადა.

მხარეების მიერ თავიანთი დასკვნითი სიტყვების წარდგენის შემდეგ, საპროცესო კოდექსი თითოეულ მხარეს საშუალებას აძლევს, გამოთქვან „საწინააღმდეგო აზრი“ ან „შენიშვნა“ (სსსსკ მუხლი 252). საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს რეპლიკის შინაარსს ან ხანგრძლივობას გარდა იმისა, რომ იგი უნდა გამოითქვას „სხდომის თავმჯდომარის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში“. ტრადიციულ შეჯიბრებით სისტემაში ნასწავლმა ადვოკატმა შეიძლება ჩათვალოს, რომ რეპლიკის უფლებას საპროცესო კოდექსი უშვებს იმისათვის, რომ მხარეს მისცეს მონინააღმდეგე მხარის დასკვნით სიტყვაში ნათქვამზე პასუხის გაცემის ან მისი გაბათილების შესაძლებლობა. მაგრამ რეპლიკის ნამდვილი მიზანი, საქართველოს უნიკალურ, შერეულ საპროცესო სისტემაში, საბოლოო ჯამში ნათლად გასაგები არ არის. პრაქტიკაში, საქართველოს სასამართლოები, ჩვეულებრივ, რეპლიკას ზღუდავენ მტკიცებულებებთან დაკავშირებით მხარის მიერ თავისი პოზიციის მარტივად დაფიქსირების სახით. როგორც წესი, რეპლიკა ძალზე მოკლეა რაიმე პოზიციის გამოსახატავად და მისი დანიშნულება სადავოა იმის გათვალისწინებით, რომ იგი მოსდევს უშუალოდ ხანგრძლივი და გაცილებით უფრო დეტალური სახით გამოთქმულ დასკვნით სიტყვებს.

ბრალდებისა და დაცვის მხარეებისთვის რეპლიკის გამოთქმის უფლებასთან ერთად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, დამატებით, ბრალდებულს უფლებას აძლევს, მისი დამცველი ადვოკატისგან სრულიად განცალკევებით, მიმართოს სასამართლოს „საბოლოო სიტყვით“ (სსსსკ მუხლი 253). ბრალდებულის ასეთი ცალკე უფლება შეჯიბრებით სისტემებში არ არსებობს. ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვებისგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოსამართლეს უფლებას არ აძლევს განუსაზღვროს ბრალდებულს საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა. თეორიულად, ბრალდებულის საბოლოო სიტყვა შეიძლება გაგრძელდეს იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც მოისურვებს ბრალდებული თავის სათქმელის გამოსათქმელად. მაგრამ საპროცესო კოდექსი მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას, „შეაჩეროს ბრალდებული, თუ ის ეხება გარემოებას რომელსაც კავშირი არ აქვს განსახილველ საქმესთან ან რომელიც არ გამოკვლეულა სასამართლო სხდომებზე“ (მუხლი 253.2). გაუგებარია, რა მიზნით მიანიჭა კანონმდებელმა ბრალდებულს საბოლოო სიტყვით ცალკე გამოსვლის უფლება მისი ადვოკატის მიერ დასკვნითი სიტყვის წარ-



მოთქმის შემდეგ. შესაძლოა კანონმდებელმა თავი შეიკავა იმისგან, რომ ბრალდებულისთვის წაერთვა საზოგადოებისთვის მისი ხმის მიწვდენის კიდევ ერთი შესაძლებლობა. შესაძლოა ეს უბრალოდ ძველი სისტემის გადმონაშთი იყოს, რომლის ამოღებაც კანონმდებელმა ვერ გადწყვიტა. მიუხედავად იმისა, თუ რა მიზანს ისახავს ეს შესაძლებლობა, მისმა არსებობამ დაცვის მხარეს შეიძლება მოუტანოს როგორც დიდი უპირატესობა, ისე დიდი საფრთხე. დიდი უპირატესობა ალბათ ის გახლავთ, რომ ამით ბრალდებულს შესაძლებლობა ეძლევა, გამოთქვას თავისი არგუმენტები, იქნებ, ფაქტობრივი გარემოებების თავისი ვერსიაც წარმოადგინოს, ჯვარედინი დაკითხვის გარეშე და ბოლოჯერ მიანვიდინოს ხმა საზოგადოებას. უარყოფითი მხარე დაცვის მხარისთვის შეიძლება იყოს ის, რომ ზოგიერთმა ბრალდებულმა შეიძლება აღიაროს საკუთარი ბრალეულობა ან სხვაგვარად მიაყენოს ზიანი მისთვის სასურველი შედეგის დადგომას იმით, რომ ის ისაუბრებს ადვოკატის ხელმძღვანელობის გარეშე. ბრალდებულის მიერ საბოლოო სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობამ შეიძლება აგრეთვე იქონიოს უფრო სერიოზული, სისტემური გავლენა ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებაზე. თუ 253-ე მუხლის მეორე პუნქტი ქმნის მოლოდინს, რომ ყველა ბრალდებული გამოვა საბოლოო სიტყვით, მაშინ ბრალდებულის მიერ ამ საბოლოო სიტყვით არ გამოსვლა შეიძლება სასამართლოს მიერ გაგებული იქნას, როგორც ბრალდებულის მიერ საკუთარი ბრალის აღიარება. ამან კი შეიძლება ბრალდებული აიძულოს, რომ ილაპარაკოს თავისი სახელით, რაც არღვევს დუმილის უფლებას, რომელიც გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლით და საქართველოს კონსტიტუციით. ამ „დამატებითი არგუმენტის“ შესაძლო დადებითი და უარყოფითი მხარეების გათვალისწინებით, ადვოკატებს ვურჩევთ, წინასწარ ესაუბრონ თავიანთ კლიენტებს ამ საკითხთან დაკავშირებით და განსაზღვრონ, რა იქნება უმჯობესი ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში.

## დასკვნითი სიტყვის შედგენა

დასკვნითი სიტყვა ადვოკატს საშუალებას აძლევს, საბოლოოდ უმტკიცოს თავისი პოზიცია ფაქტების დამდგენ პირს. დასკვნითი სიტყვა არ არის ფაქტების შეჯამება. ე სარის მტკიცების პროცესი, რომელიც

გამოიყენება იმისათვის, რომ ფაქტების დამდგენი პირი დავარწმუნოთ, რომ ადვოკატის მიერ შემოთავაზებული პოზიცია არის ნამდვილი და სწორი.

ეფექტური მტკიცება ისეთი პროცესია, როდესაც საქმის ვერსიის, მტკიცებულებების და კანონის ერთმანეთთან შედუღებით გამოვადნობთ დამაჯერებელ ერთ მთელს. მტკიცების პროცესი მაშინ არის წარმატებული, როდესაც მოსამართლე აკეთებს, იმას რაც ადვოკატს უნდა და ამავდროულად თავს კარგად გრძნობს ამასთან დაკავშირებით.

ისევე, როგორც შესავალი სიტყვა, დასკვნითი სიტყვაც უნდა იყოს ეფექტური. ისევ და ისევ, გახსოვდეთ, რომ ადამიანების უმრავლესობას ყურადღების კონცენტრირებულად შენარჩუნება მხოლოდ მოკლე დროით შეუძლია. ეფექტური დასკვნითი სიტყვა ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ძირითად საკითხებზე და ძირითად მტკიცებულებებზე. დასკვნითი სიტყვით არ უნდა გადაიტვირთოს მოსამართლე. უმრავლეს შემთხვევაში დასკვნითი სიტყვა არ უნდა გაგრძელდეს 20 – 40 წუთზე მეტ ხანს.

რადგან ქართულ სინამდვილეში სასამართლოში სისხლის სამართალწარმოების დასრულებისას სასამართლო, ჩვეულებრივ, წყვეტს როგორც ბრალეულობის საკითხს, ისე სასჯელის განსაზღვრის საკითხს (გარდა მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარებული განხილვისა, როდესაც ვერდიქტის შემდეგ მოსამართლე ცალკე სხდომას ატარებს სასჯელის განსაზღვრის მიზნით), აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ საქართველოს სასამართლო დარბაზში წარმოქმნილი დასკვნითი სიტყვა უნდა შეიცავდეს არგუმენტებს ამ ორივე საკითხთან დაკავშირებით. ზოგ შემთხვევაში ეს შეიძლება მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენდეს ქართველი ადვოკატებისთვის. საკმაოდ რთულია, დაჟინებით ვამტკიცოთ, რომ კლიენტს დანაშაული არ ჩაუდენია და ამავე დროს ვამტკიცოთ ისიც, რომ მას სასჯელი უნდა შეუძსუბუქდეს. წინამდებარე წიგნი ყურადღებას გაამახვილებს მტკიცების იმ ნაწილზე, რომელიც ბრალეულობის საკითხს ეხება. ამ წიგნის შემდგომ გამოცემებში შეიძლება შევიტანოთ ქვეთავი, რომელშიც მოცემული იქნება რჩევები, თუ რა ეფექტური მიდგომები შეიძლება გამოვიყენოთ სასჯელის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

## ზოგადი მოსაზრებები

მართალია, უამრავი გზა არსებობს დამაჯერებელი დასკვნითი სიტყვის შედგენისა და წარდგენისთვის, მაგრამ არის რამდენიმე ძირითადი მიდგომა და ხერხი, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ესენია:

1. ამტკიცეთ საქმის ვერსია. შესავალ სიტყვაში წარდგენილი საქმის ვერსია უნდა დარჩეს ადვოკატის პოზიციის ცენტრალურ ნაწილად. დასკვნით სიტყვაში იგი უნდა გამოითქვას მკაფიოდ. უნდა მოხდეს მისი გამეორება.

2. ამტკიცეთ ფაქტები. ფაქტები ამტკიცეთ ისე, რომ სიფრთხილთ ამოირჩიოთ ინფორმაცია, რომელიც ამყარებს თქვენეულ საქმის ვერსიას. მიუთითეთ კონკრეტულ მოწმეებზე და ჩვენებებზე. ფაქტი მხოლოდ მაშინ არის ფაქტი, როდესაც კონკრეტული მოწმე ადასტურებს მას. თავი შეიკავეთ თქვენი პირადი აზრების გამოთქმისგან. თქვენ პირად აზრს მნიშვნელობა არ აქვს.

3. გამოიყენეთ საჩვენებელი მასალები და ვიზუალური დამხმარებები. საჩვენებელმა მასალებმა ბევრი რამ შეიძლება გააკეთონ. მათ შეუძლიათ გააძლიერონ პრეზენტაციის ემოციური შინაარსი და დამარწმუნებელი ძალა. მათ შეუძლიათ ორგანიზება გაუკეთონ რთულ ფაქტობრივ სცენარებს ან სამართლებრივ ცნებებს ისე, როგორც მხოლოდ სიტყვებს არ შეუძლიათ. მათ შეიძლება წამახალისებლად შეცვალონ ტემპი მსმენელისთვის, რის შედეგადაც მსმენელმა შეიძლება უფრო გაამახვილოს ყურადღება იმაზე, რის თქმაც სურს ადვოკატს.

4. გამოიყენეთ ანალოგიები და ისტორიები, რომლებიც რეალურ ცხოვრებას ეხება. თუ მათ მოიშველიებთ მოკლედ და საქმესთან დაკავშირებით, ისინი ადვოკატის სათქმელს ძალზე მკაფიოდ გასაგებს გახდის.

მაგალითი:

როდესაც დაცვის მხარის ადვოკატს უნდა, რომ მოსამართლემ ყურადღება გაამახვილოს ბრალდების მხარის არასანდო მოწმეზე, მან

შეიძლება თქვას: „საჭმელში რომ მატლი იპოვოთ, ამ საჭმელს მთლიანად გადაღვრით იმიტომ, რომ ის შეიძლება მთლიანად გაფუჭებული იყოს. ამ საქმეში კი ბრალდების მხარეს უნდა, რომ ჩვენ არ დავინახოთ ეს მატლი და მთლიანად მივირთვათ ეს მატლიანი ულუფა.“

5. ამტკიცეთ ძლიერი მხარეები. მტკიცება ყველაზე წარმატებულია მაშინ, როდესაც იგი ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის პოზიციის ძლიერ მხარეებზე. თუ ადვოკატი ზედმეტად ბევრ დროს დახარჯავს მონინაალმდეგე მხარის პოზიციის სუსტი მხარეების განხილვაზე, მან შეიძლება მსმენელზე დატოვოს შთაბეჭდილება, რომ თვითონ მისი პოზიცია არც ისე ძლიერია.

6. არ დამალოთ სუსტი მხარეები. მართალია, მტკიცება უნდა იყოს პოზიტიური და ხაზს უსვამდეს ადვოკატის პოზიციის ძლიერ მხარეებს, ამ პოზიციის სუსტი მხარეების, თუ ისინი არსებობს, განხილვას თავი მთლიანად არ უნდა ავარიდოთ. მტკიცების პროცესის დროს პოზიციის სუსტ მხარეებთან შეხებას ორი უპირატესობა აქვს: პირველი, თუ ადვოკატი თავისი პოზიციის სუსტ მხარეებს თვითონვე აღნიშნავს მანამ, სანამ ამას მონინაალმდეგე მხარე გააკეთებს, ამით ის შეამცირებს იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც მონინაალმდეგე ადვოკატი მოახდენდა, პირველად მას რომ აღენიშნა ეს მხარეები. ინგლისურენოვან სასამართლო დარბაზებში ამას ხშირად უწოდებენ „ოპონენტისგან მეხის მოპარვას“. მეორე, მოსამართლეები სავარაუდოდ უფრო მეტი პატივისცემით შეხედავენ იმ ადვოკატის გულწრფელობას და პირდაპირობას, რომელიც თავისი პოზიციის სუსტ მხარეებს თვითონ აღნიშნავს. ადვოკატისადმი პატივისცემა კი თავის მხრივ ხშირად გადაიზრდება ხოლმე მისი პოზიციის პატივისცემაში.

## **ეფექტური დასკვნითი სიტყვის კომპონენტები**

ეფექტური დასკვნითი სიტყვის შესაქმნელად სხვადასხვა გზა არსებობს. ცხადია, კონკრეტული დასკვნითი სიტყვის სტრუქტურა დამოკიდებულია კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების ხასიათზე და თვითონ ადვოკატის სტილზე. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში დასკვნითი სიტყვა შემდეგი აგებულების უნდა იყოს:

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის

1. შესავალი
2. საკითხები
3. სინამდვილეში რა მოხდა და შესაბამისი მტკიცებულებები
4. ბრალეულობის / არაბრალეულობის საფუძველი
5. დასკვნა

### *შესავალი*

მოსამართლეებს უნდათ მოისმინონ მკაფიო, მოკლე განმარტება, თუ რა უნდა ადვოკატს და რატომ უნდა იგი. მათ უნდათ ეს მოისმინონ იმგვარად, რომ დაიპყროს მათი ყურადღება. ადვოკატმა შესავალი ისე უნდა წარმოთქვას, რომ ამ ყველაფერს უპასუხოს და ეს ყველაფერი ერთმანეთთან შეაკავშიროს საქმის მისეული ვერსიით.

მაგალითი (დაცვის მხარე):

დღევანდელ სასამართლო სხდომაზე თამარ ასათიანი იმყოფება იმისათვის, რომ თავი დაიცვას დიდი, ზორბა, მთვრალი კაცისგან, რომელიც მის მოკვლას ცდილობდა. ჩვენი კანონმდებლობა, ცხადია, ადამიანს ანიჭებს თავის დაცვის უფლებას. ეს უფლება ვრცელდება ცოლებზეც ისევე, როგორც ქმრებზე, მეგობრებზე თუ უბრალოდ ნაცნობებზე. თამარ ასათიანი მოქმედებდა თავის დაცვის მიზნით და ამიტომ ის ცნობილი უნდა იქნას უდანაშაულოდ.

### *საკითხები*

რომელიმე ადგილას, საქმის ფაქტობრივი გარემოებების განხილვამდე ან მათი განხილვის შემდეგ, დასკვნით სიტყვაში ნათლად უნდა გამოიკვეთოს საკითხები იმგვარად, რომ მათზე პასუხი იყოს ცალსახა.

მაგალითი (ბრალდების მხარე):

იმისათვის, რომ თამარ ასათიანი დამნაშავედ იქნას ცნობილი მკვლელობის მცდელობაში, თქვენ უნდა უპასუხოთ ორ მარტივ შეკითხვას: პირველი, ჰქონდა თუ არა მას ქმრის მოკვლის განზრახვა, როდესაც მან 25 სანტიმეტრიანი სამზარეულოს დანა ჩაართვა თავის ქმარს გულმკერდის არეში ისეთი ძალით, რომ დანა გაიღუნა? მეორე, ადამიანი, რომელიც ნამდვილად თავდაცვის მიზნით მოქმედებდა, მოიქცეოდა თუ არა ისე, როგორც ეს პიროვნება მოიქცა – არ გამოუძახა არც პოლიციას და არც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას ხუთი საათის განმავლობაში?

მაგალითი (დაცვის მხარე):

ამ საქმეში მხოლოდ ერთი საკითხი დგას. იყო თუ არა თამარ ასათიანი მართალი, როდესაც ის იცავდა თავს ორჯერ მასზე დიდი ზომის მთვრალი კაცისგან, რომელიც სახლში შეუვარდა ყვირილით, რომ მას მოკვლას უპირებდა – კაცისგან, რომელსაც ის მანამდეც არაერთხელ უცემია გონის დაკარგვამდე?

*რა მოხდა სინამდვილეში – მტკიცებულებები*

სასამართლო სხდომის განმავლობაში მტკიცებულებების ნაწილ-ნაწილ გამოკვლევების შემდეგ, სასამართლოს სურს მოისმინოს მხარის ვერსია იმასთან დაკავშირებით, თუ ცალ-ცალკე აღებული ეს მტკიცებულებები როგორ ერგება ერთმანეთს და როგორ ქმნიან ისინი დამაჯერებელ ერთ მთელს. ეს არ უნდა იყოს ყველა მტკიცებულების გამეორება, არამედ ადვოკატისეული საქმის ვერსიის გამამყარებელი ძირითადი ფაქტების პრეზენტაცია და განმარტება, თუ რას ნიშნავს ეს ფაქტები.

მტკიცების პროცესის ამ ნაწილისადმი სტანდარტული მიდგომა ის გახლავთ, რომ სასამართლოს ეს საქმე მოუყვეთ მხარის თვალთახედვიდან დანახული პოზიციიდან და ამის შემდეგ იმნამსვე გადახვიდეთ იმ ინფორმაციის წყაროებზე, რომლებიც ამყარებს ამ პოზიციას.

მაგალითი (ბრალდებული):

თამარ ასათიანისთვის 2011 წლის 20 ივლისის სალამო ჩვეულებისამებრ დაინყო. მისი ქმარი – ბრალდებული – ადგა სასადილო მაგიდიდან და განაცხადა, რომ გარეთ მიდიოდა და გვიანობამდე არ დაბრუნდებოდა. თამარმა იცოდა, რომ დაბრუნებისას ქმარი კარგად იქნებოდა – ნასვამი, გაბრაზებული და მომზადებული იმისათვის, რომ მის ცხოვრებაში მომხდარი ყველა იმედგაცრუება მასზე გადმოენთხია. თამარმა იცოდა, რომ ქმარი მას გალახავდა. მან მხოლოდ ის არ იცოდა, თუ რამდენად ძლიერად სცემდა ან, ამჯერად, ცოცხალი დარჩებოდა თუ არა საერთოდ. რამდენიმე საათი თამარი შიშით ელოდა, სანამ ქმრის ხმამალალი ფეხის ხმა არ მოესმა შემოსასვლელიდან.

ამ სასამართლო სხდომაზე თქვენ მოუსმინეთ თამარს, როდესაც ის ლაპარაკობდა, თუ როგორ ატარებდა ცხოვრებას შიშში. ის თქვენ მოგიყვით, რომ ბრალდებულმა ის არაერთხელ სცემა გაბრაზებული სიმთვრალის მდგომარეობაში. თქვენ ასევე მოუსმინეთ მის მეზობლებს, ქალბატონ ფრუიძეს და ქალბატონ კენჭაძეს. მათ თქვენ გიამბეს ამ მრავალი შემთხვევის შესახებ, როდესაც ბრალდებული სახლში გვიან ღამით ბრუნდებოდა; მათ გიამბეს თქვენ, რომ ესმოდათ დარტყმის ხმები და თამარ ასათიანის ხმა, როდესაც ის ევედრებოდა ქმარს, მეტი აღარ დაერთყა. ამ ჩვენებების საფუძველზე, თქვენ იცით, რომ თამარ ასათიანი მართლი იყო, როდესაც დარწმუნებული იყო, რომ ბრალდებული მას მოკლავდა.

კარგი დასკვნითი სიტყვის წარდგენის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ თქვენი ვერსიის გამამყარებელი ფაქტები თქვენ მოქსოვით თანმიმდევრულ, ლოგიკურ და დამაჯერებელ მტკიცებად.

*ბრალეულობის / არაბრალეულობის საფუძველი*

ნებისმიერ დასკვნით სიტყვაში აუცილებელია, რომ ადვოკატმა გარკვეული დრო დაუთმოს სამართლის იმ ნორმებზე ყურადღების გამახვილებას, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმის საბოლოო შედეგისთვის. ბრალდების მხარისთვის ხშირად ეს ნიშნავს სასამართლოსთვის დანაშაულის შემადგენლობის შესხენებას და იმის განხილ-



ვას, თუ საქმეში არსებული მტკიცებულებებით როგორ დასტურდება თითოეული შემადგენელი ელემენტის არსებობა. დაცვის მხარისთვის ეს, როგორც წესი, ნიშნავს ცალკეული შემადგენელი ელემენტების გამოცალკევებას, რომლებიც აუცილებელია დანაშაულის შემადგენლობის ჩადენის დასამტკიცებლად და იმის მტკიცებას, რომ ბრალდების მხარემ ვერ დააკმაყოფილა მტკიცების ტვირთის მოთხოვნები ამ ელემენტებთან დაკავშირებით, ანდა დაცვითი სამართლებრივი პოზიციის წაყენება და შემდეგ იმ ფაქტების მტკიცება, რომლებიც ამყარებს ამ დაცვით პოზიციას.

მაგალითი (ბრალდების მხარე ქრთამის მიცემის შემთხვევაში)

სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის თანახმად, პირი ბრალეულად ითვლება ქრთამის მიცემაში, როდესაც ის 1) საჯარო მოხელეს გადასცემს ფულს ან სხვა სარგებელს და 2) ამ სარგებელს გადაცემს იმ მიზნით, რომ ამ მოხელემ გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილება ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ რაიმე ქმედების განსახორციელებლად ან რაიმე ქმედების განხორციელებისგან თავის შესაკავებლად.

მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ ბრალდებულმა სარგებელი გადასცა საჯარო მოხელეს, როდესაც საგადასახადო დეპარტამენტის ინსპექტორს ძალზე ხშირად უფასოდ აჭმევდა თავის რესტორანში 2011 წლის მაისიდან დეკემბრამდე პერიოდში. ერთადერთი გონივრული დასკვნა, რაც ბრალდებულის ქმედებიდან შეიძლება გაკეთდეს, გახლავთ ის, რომ ბრალდებული მოქმედებდა იმ განზრახვით, რომ ინსპექტორს თავი შეეკავებინა ბრალდებულის მიერ მისი ბიზნეს ოპერაციიდან კანონის მიხედვით გადასახდელი თანხების ამოღებისგან. ამის გათვალისწინებით, დანაშაულის ორივე შემადგენელი კომპონენტის ჩადენა დადასტურებულია.

მაგალითი (ბრალდებული):

ეჭვგარეშეა, რომ ჩემმა კლიენტმა რამდენჯერმე უმასპინძლა ბატონ რაზმაძეს თავის რესტორანში და რამდენიმე ბოთლი ლიქიორი საჩუქრად გადასცა. მაგრამ ეს დანაშაული არ არის. კანონი მოითხოვს, რომ ბრალდების მხარემ დაამტკიცოს, რომ ჩემ კლიენტს ჰქონდა უკანონო სარგებლის მიღების განზრახვა. სად არის ამ განზრახვის

მტკიცებულება? ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა ვერანაირი მტკიცებულება, რომ რაიმე გარიგება არსებობდა ჩემს კლიენტსა და ბატონ რაზმაძეს შორის იმის თაობაზე, რომ რესტორანს ემუშავა რამდენიმე უფასო სადილის სანაცვლოდ. ბრალდების მხარემ ვერ დაამტკიცა რაიმე უკანონო განზრახვის არსებობა. ფაქტიურად, არსებული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ჩემი კლიენტის განზრახვა იყო მეგობრობა. ის იცნობდა ბატონ რაზმაძეს, სიმპატიით იყო მის მიმართ განწყობილი და მოქმედებდა, როგორც გულკეთილი მასპინძელი. ეს დანაშაული არ არის.

### დასკვნა

მტკიცების პროცესის ბოლო ნაწილმა რბილად უნდა დაასრულოს ადვოკატის ვერსია. მან სასამართლოს უნდა შეახსენოს საქმის ადვოკატისეული ვერსია. მან ნათლად უნდა გამოკვეთოს ადვოკატის მოთხოვნა. თუ შესაძლებელია, იგი უნდა დასრულდეს დამაჯერებელ, გადამჭრელ და დრამატულ ნოტაზე.

### მაგალითი (დაცვის მხარე):

არსებული მტკიცებულებებით დადგენილია შემდეგი: პოლიციამ ის არ დააკავა, ვინც უნდა დაეკავებინა. ბატონი ბურდული არ იმყოფებოდა ყაჩაღობის ჩადენის ადგილზე. მას საერთოდ არაფერი ჰქონდა საერთო ამ ყაჩაღობასთან. არასწორად ბრალის წარდგენით მის წინააღმდეგ, იგი ფაქტიურად ამ ყაჩაღობის მეორე მსხვერპლი გახდა. ჩვენ გთხოვთ, დაასრულოთ ეს მეორე უსამართლობა და ბატონი ბურდული სცნოთ უდანაშაულოდ. მიეცით მას უფლება, დაუბრუნდეს თავის სამუშაოს, ოჯახს და ცხოვრებას.

### მაგალითი (ბრალდების მხარე ქრთამის ალემის შემთხვევაში):

გამოძალვა და ქრთამის ალება მრავალი სხვადასხვა ფორმით ხდება. როდესაც ბრალდებული ამ უფასო სადილებით სარგებლობდა რესტორნების მფლობელებისგან, რომლებიც მას, წესით და კანონით, უნდა დაერეგულირებინა, სწორედ მაშინ ის იღებდა ქრთამებს. მართალია, ბრალდებულს იარაღი არ მიუბჯენია ამ რესტორნის მფლ-

ბელებისთვის ნეკნებში ან უცემია რომელიმე მათგანი, მაგრამ ფაქტიურად ის ხელს აფათურებდა მათ ჯიბეებში და ართმევდა, რასაც ისინი თავიანთი შრომით შოულობდნენ. კიდევ უფრო უარესი ის გახლავთ, რომ თავისი მოქმედებით ბრალდებული ზიანს აყენებდა ხალხის ნდობას თავისი მთავრობისადმი. ჩვენ მხოლოდ ვთხოვთ სასამართლოს, სცნოს იგი დამნაშავედ მის მიერ ჩადენილ დანაშაულში – ქრთამის აღებაში.

### **დასკვნითი სიტყვის ნიმუშები**

*სახელმწიფო დავით ჯაშის წინააღმდეგ – ბრალდების დასკვნითი სიტყვა*

თქვენ ღირსებებო, შესავალ სიტყვაში მოგახსენეთ, რომ ეს იყო მარტივი საქმე – საცხოვრებელი სახლის გაძარცვა. საქმეში მოყვანილმა მტკიცებულებებმა ეს დაადასტურა. მტკიცებულებებმა აჩვენა, რომ ბრალდებული შეიჭრა ჭელიძის სახლში ქონების მოპარვის მიზნით. საბედნიეროდ, იგი დანაშაულის ჩადენისას დააკავეს.

ახლა მინდა რამდენადმე დეტალურად გესაუბროთ ამ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, მაგრამ ვიდრე ამაზე გადავალ, მინდა მოკლედ მიმოვიხილო კანონმდებლობა. როგორც პროკურორი ამ საქმეში, მე მაკისრია ტვირთი, თქვენ წინაშე დავამტკიცო დანაშაულის თითოეული კომპონენტის არსებობა გონივრულ ეჭვს მიღმა. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად აუცილებელია, რომ გაგრკვიოთ, როგორ განსაზღვრავს კანონი ამ დანაშაულს – საცხოვრებელი სახლის ძარცვას – დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის 2.ბ ნაწილით.

საცხოვრებელი სახლის ძარცვა მარტივი დანაშაულია. იგი მხოლოდ სამი კომპონენტისგან შედგება. იმისათვის, რომ პირი დამნაშავედ იქნას ცნობილი საცხოვრებელი სახლის ძარცვის ჩადენაში, ეს პირი 1) უნდა შესულიყო სხვის საცხოვრებელ ადგილას 2) დაუფლებოდა სხვის ნივთს და 3) უნდა ჰქონოდა ამ ნივთის მისაკუთრების მიზანი. ბრალდების მხარემ დაამტკიცა სამივე ამ კომპონენტის სახეზე ყოფნა გონივრულ ეჭვს მიღმა.

აი, მტკიცებულებები, რომლებიც თქვენ მოისმინეთ სასამართლო სხდომის განმავლობაში, რომლებიც ადასტურებს დანაშაულის აღნიშნული კომპონენტების არსებობას:

ბატონმა და ქალბატონმა ქელიძეებმა ორივემ მისცა ჩვენება ამ საქმეში. მათ გითხრეს თქვენ, რომ 2011 წლის 4 ოქტომბერს ისინი ცხოვრობდნენ გამარჯვების ქუჩაზე თავიანთ სამი წლის გოგონასთან – თამართან ერთად. ეს იყო ზომიერად პატარა ბინა, ერთი საძინებელი ოთახით, სამზარეულოთი და მისაღები ოთახით. ქელიძეები ამ ბინაში ცხოვრობდნენ მათი დაქორწინებიდან მოყოლებული. ეს მათი ბინა იყო.

3 ოქტომბერს ოჯახი დასაძინებლად დაწვა დაახლოებით საღამოს 10 საათზე, ჩვეულებრივ, მათი ძილის დროს. ბატონ და ქალბატონ ქელიძეებს ეძინათ ორსაწოლიანში ოთახის შუაში. თამარს ეძინა ბავშვის საწოლში ოთახის კუთხეში. დაახლოებით ღამის პირველ საათზე ქალბატონი ქელიძე მსხვერვის ხმამ გააღვიძა. თავიდან მან იფიქრა, რომ მისი ქმარი საუზმობდა სამზარეულოში. მაგრამ როდესაც ხელი გაიწვდინა და ქმარი მის გვერდით იყო, ხოლო გაიხედა და მისი ქალიშვილიც მძინარე დაინახა თავის საწოლში ოთახის კუთხეში, ის მიხვდა, რომ რაღაც რიგზე არ იყო. მან დაიწყო მიხვედრა, რომ მის სახლში ვიღაც უცხო ადამიანი იყო.

ქალბატონი ქელიძე საწოლზე წამოჯდა. ამ დროს ის უკვე მთლად გამოფხიზლებული იყო. მან თქვენ გითხრათ პირდაპირი დაკითხვის დროს, რომ თავიდან მან არ იცოდა, რა ექნა. პოლიცია გამოეძახებინა? ტელეფონი მისაღებ ოთახში იყო. ქმარი გაეღვიძებინა და ეთქვა, დაუპატიჟებელ სტუმარს გაუმკლავდით? მაგრამ ამ დაუპატიჟებელ სტუმარს იარაღი რომ ჰქონოდა? გოგონა ხომ არ დაემალა საწოლის ქვეშ? ის შეშინებული იყო.

სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, მან კიდევ ერთი მსხვერვის ხმა გაიგონა სამზარეულოდან. ამჯერად ბატონ ქელიძესაც გაეღვიძა. ქალბატონმა ქელიძემ თავის ქმარს ჩასჩურჩულა, რომ სახლში ვიღაც უცხო იყო. ბატონი ქელიძე საწოლიდან ადგა, აიღო ერთადერთი საგანი, რაც შეიძლება გამოეყენებინა – ქოლგა და გავიდა საწოლი ოთახიდან უცხო ადამიანთან დასაპირისპირებლად. მან ბრალდებული სამზარეულოში იპოვა, მდგომარე. ბრალდებულს პირი გამოტენილი

ჰქონდა ხინკლით, რომელიც მან საკუჭნაოდან აიღო. იატაკზე ორი გატეხილი ვაზა ეგდო.

ბატონმა ჭელიძემ ბრალდებულს დაუყვირა და მოსთხოვა პასუხი, თუ რას აკეთებდა ის მის სახლში. მოპასუხემ ბუტბუტით შეურაცხყოფით უპასუხა. ბატონმა ჭელიძემ მას უთხრა, წასულიყო. მოპასუხემ კიდევე ერთი ხინკალი შეიმუშტა პირში და კარებისკენ გაემართა. ბატონმა ჭელიძემ იგი მუჯღლუგუნით გააგდო გარეთ და პოლიციას გამოუძახა.

ბრალდებულის გარდა ყველასათვის საბედნიეროდ, პოლიციის მანქანამ ჭელიძეების ბინასთან ჩაიარა სწორედ მაშინ, როდესაც რაციით გადაიკა ინფორმაცია ბრალდებულის შესახებ. პოლიციის თანამშრომლებმა დაინახეს, რომ ბრალდებული გამოდიოდა ჭელიძეების ბინიდან და დააკავეს იგი. როდესაც მათ იგი გაჩხრიკეს, ნახეს რომ ბრალდებულს ჯიბეები დატენილი ჰქონდა ჭელიძეების სამზარეულოდან მოპარული ხინკლით.

როდესაც ჭელიძეებმა და პოლიციამ დაათვალიერეს ჭელიძის ბინა შემთხვევიდან მოკლე ხანში, გაირკვა, რომ ბრალდებული ბინაში შევიდა ფანჯრის საკეტის გატეხვით, სამზარეულოს ფანჯრიდან გადაძრომის გზით.

მოდით, ახლა ავიღოთ ეს ფაქტები და მივუყენოთ მათ ძარცვის მუხლი. როგორც გახსოვთ, ძარცვის პირველი კომპონენტია სადგომში შესვლა. ჭელიძის ბინა იყო „სადგომი“, ხოლო ბრალდებული შიგნით შევიდა ფანჯრის საკეტის გატეხვით და სამზარეულოს ფანჯარაში გადაძვრომით. ანუ, ეს კომპონენტი სახეზეა.

ძარცვის მეორე კომპონენტია ბრალდებულის მიერ სხვისი ნივთის ამკარად დაუფლება. ჩვენს შემთხვევაში ბრალდებულმა ეს ნამდვილად გააკეთა. მან ჭელიძის ხინკალი პირში ჩაიტენა, ჯიბეებიც გაივსო ამ ხინკლებით და წავიდა.

ძარცვის მესამე კომპონენტია ნივთის დაუფლება მისაკუთრების მიზნით. რა თქმა უნდა, შეუძლებელია გავხსნათ ადამიანის ტვინი და ჩავიხედოთ შიგ, რომ დავინახოთ, თუ რას ფიქრობს იგი; ამიტომ, გაზრახვა უნდა დადგინდეს ირიბი მტკიცებულებებით.

რა არის ირიბი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ბრალდებულის მიერ ძარცვის ჩადენის განზრახვას მოცემულ საქმეში? პირველი, მტკიცებულებები აჩვენებს, რომ იგი შეიჭრა ჭელიძის ბინაში ღამის პირველ საათზე. მეორე, როდესაც ის ბინაში შევიდა, იგი საკუთარ თავს გაუმასპინძლდა ჭელიძის საკვებით – ჩაიტენა ხინკალი პირში და ჯიბეებში. მესამე, როდესაც მას ბატონი ჭელიძე დაუპირისპირდა, მან ბატონ ჭელიძეს შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი გაიქცა დანაშაულის ადგილიდან. ერთადერთი გონივრული დასკვნა, რაც შეიძლება ამ ფაქტებიდან გამოვიტანოთ არის ის, რომ ბრალდებული ბინაში შევიდა იმ ნივთის მისაკუთრების მიზნით, რომელიც მას არ ეკუთვნოდა, ანუ მოსაპარად.

ახლა, ბრალდებულმა, ცდილობდა რა აეცილებინა თავისი პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენის გამო, თქვენ მოგიყვათ აბსურდული ისტორია, რომ ის იმდენად მთვრალი იყო, რომ მას ეგონა, რომ ის თავის ბინაში შევიდა. მან თქვა, რომ დაკარგა გასაღები და იძულებული იყო, ჩაეტეხა ფანჯარა, რომ შიგნით შესულიყო. მე ვფიქრობ, ეს შეუძლებელია. ჩვენ ყველას გაგვიგია ამბავი, რომ ზოგიერთი ადამიანი ისე დამთვრალა, რომ სხვის სახლში აღმოჩენილა ისე, რომ ეგონა თავის სახლში შედიოდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მოცემულ საქმეში ეს ასე არ არის.

საიდან ვიცით ეს? დავინყოთ იმით, რომ როდესაც მოპასუხეს დაუპირისპირდა ბატონი ჭელიძე, მას ეს ბატონი ჭელიძისთვის არ უთქვამს. მას არ უთქვამს: „ბოდიშით, მე სხვის სახლში აღმოვჩნდი.“ მას არ უთქვამს: „იცით, მე დავიბენი. ეს ჩემი სახლია?“ არა, მას ასეთი შეკითხვები არ დაუსვამს. რაც მან სინამდვილეში ქნა იყო ის, რომ მან ბატონ ჭელიძეს „ნაძირალა“ უწოდა და გაიქცა. მისი საქციელი შეესბამება ქურდის საქციელს და არა იმ პირის, რომელმაც ქარაფშუტული შეცდომა ჩაიდინა.

მეორე, ბრალდებულმა ხინკალი ჩაიტენა ჯიბეებში. მინდა შეგეკითხოთ, ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ის თავის სახლში მიდის ღამის გასათევად, დადგება საკუთარ სამზარეულოში და დაინყებს საკუთარი ხინკლის სავსე მუჭებით ჯიბეებში ჩატენვას? რა თქმა უნდა არა. თუ მას უნდა ხინკლის მიერთმევა, ის მიერთმევს მას თითო ცალობით, მაგიდასთან მჯდომარე თუ მდგომარე პოზიციაში, მაგრამ მუჭს არ გაივსებს ხინკლით და არ დაინყებს ამ ხინკლით ჯიბეების



დატენვას. არა, თქვენ ღირსებებო, ბრალდებულმა ეს ხინკალი აიღო იმისთვის, რომ თან წაეღო. ის იპარავდა, რისი მოპარვაც შეეძლო, ხოლო შემდეგ კი გაიქცა.

მესამე, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ ბრალდებული ეცადა მაინც წინა კარიდან შესვლას. ჭელიძეებს არ გაუგიათ, რომ ვინმე სთხოვდა მათ კარის გაღებას; არც კარზე ბრახუნი გაუგიათ. არსებული მტკიცებულება მიუთითებს, რომ ბრალდებული აცოცდა სამზარეულოს ფანჯარასთან, დაინახა, რომ შიგნით ბნელოდა და შეიჭრა, წერტილი. ეს ყველაფერი ქურდის მოქმედებებია.

ბრალდებულმა ამ პრობლემის ახსნა სცადა იმის თქმით, რომ მას წინა კარიდან შესვლა არ უცდია, რადგან არ უნდოდა თავის ცოლთან უსიამოვნება. მინდა გკითხოთ თქვენ: რა უფრო გააბრაზებს თქვენ მეუღლეს, რომ გააღვიძოთ იმისათვის, რომ კარი გაგიღოთ, თუ რომ შეამტვრიოთ სამზარეულოს ფანჯარა, გადაძვრეთ შიგნით და დაამსხვრიოთ სამზარეულოს ჭურჭელი? ისევ და ისევ, ბრალდებული მონაცემი აზრს მოკლებულია.

თქვენო ღირსებებო, კანონი ამბობს, რომ როდესაც თქვენ, მოსამართლეებს, გინევთ ერთი და იგივე მოვლენის ორი სხვადასხვა ახსნისთვის უპირატესობის მინიჭება, რომელთაგან ერთი ახსნა გონივრულ ფარგლებში ჯდება, ხოლო მეორე გონივრულ ფარგლებში არ ჯდება, თქვენ არ უნდა გაიზიაროთ არაგონივრული ახსნა და უნდა გაიზიაროთ გონივრული ახსნა. სწორედ ამას ვითხოვთ ჩვენ. სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი სანდო მტკიცებულებების ერთადერთი გონივრული ახსნა გახლავთ ის, რომ ბრალდებული შევიდა ჭელიძის ბინაში შეტეხვის გზით და მოპარვის განზრახვით, და მოიპარა კიდევც.

თქვენო ღირსებებო, კანონისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ჩვენ გთხოვთ, ბრალდებული დამნაშავედ სცნოთ საცხოვრებელი ბინის ძარცვის ჩადენაში.



*სახელმწიფო დავით ჯაშის წინააღმდეგ – დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვა*

თქვენო ღირსებებო, საქმეში არსებული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ 2011 წლის 4 ოქტომბერს ჩემი კლიენტი, დავით ჯაში, შევიდა ქელიძის ბინაში, რადგან მისი აზრით, ის შედიოდა საკუთარ ბინაში. ის იყო მთვრალი, მძიმედ ნასვამი და ვერ გაარჩია ქელიძის ბინა საკუთარი ბინისგან. ეს იყო სულელური შეცდომა და არა დანაშაული. ეს მარტივად ასეა.

რა თქმა უნდა, ეს ფაქტი ცუდად ახასიათებს ბატონ ჯაშს. არც თვითონ ამაცობს ამით. მან იცის, რამდენად სუსტად და პათეტიკურად გამოიყურება ის ამის გამო თქვენს თვალში. თვითონაც და მისმა ცოლმაც გასაგებად და ღიად მოგიყვათ თქვენ მისი სმის პრობლემის შესახებ. თქვენ მოისმინეთ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც დავითი ისე დათვრა, რომ არ იცოდა სად იმყოფებოდა. მისმა ცოლა თქვენ გითხრათ, რომ ასეთი შემთხვევა მანამდე სულ ცოტა ორჯერ მაინც ყოფილა. მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ბატონ ჯაშს სმის პრობლემა ნამდვილად აქვს, სერიოზული პრობლემა. მტკიცებულებები არ აჩვენებს, რომ ბატონი ჯაში ქურდია.

თავის დასკვნით სიტყვაში პროკურორმა გარკვეული დრო დაუთმო განზრახვის საკითხს. რა თქმა უნდა, ეს სწორედაც მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ განსახვა არის მთავარი მოცემულ საქმეში. პროკურორმა დრო დაუთმო ასევე იმის განხილვას, თუ მისი აზრით რა არის გონივრული და არაგონივრული. აქაც, პროკურორი სავსებით მართალია, თვითონ ამ ცნების დღის წესრიგში დაყენების თვალსაზრისით. თუმცა, მე ვერ დავეთანხმები ფაქტების მისეულ ინტერპრეტაციას და დასკვნას, რომლის გამოტანაც მან თქვენგან ითხოვა.

თავის ჩვენებაში ბატონმა ჯაშმა თქვენ მოგიყვათ შემდეგი: სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ის წავიდა ბარში თავის კოლეგებთან ერთად, სალაპარაკოდ და დასალევად. მან დალევა დაიწყო ლუდით, შემდეგ გააგრძელა არყით, ხოლო შემდეგ ისევ ლუდზე გადავიდა. ბატონი ჯაში ინტოქსიკაციის მდგომარეობამდე მივიდა. მას ახსოვს, რომ ხალხი უერთდებოდა და მიდიოდა მაგიდიდან. გარკვეული დროის შემდეგ, მას ახსოვს მხოლოდ სხვადასხვანაირი ხმაური და სახეების ცვლილება. მას ბუნდოვნად ახსოვს, რომ ბარიდან წავიდა სახლში.

ამის შემდეგ იგი ბუნდოვნად იხსენებს, რომ ის იდგა სამზარეულოში, რომელიც მას თავისი ეგონა. მას არ ახსოვს, როგორ მოხვდა იქ. უცებ მის წინ გაჩნდა კაცი, რომელიც მას იასამნისფერ ქოლგას უქნევდა. შემდეგი რაც მას გარკვევით ახსოვს გახლავთ ის, რომ ის იჯდა პოლიციის მანქანაში უკან და უნდოდა საჭირო ოთახში გასვლა.

პროკურორმა ხმამაღლა გამოაცხადა, რომ მოვლენების დაცვის მხარის მიერ გაკეთებული განმარტება „არაგონივრულია“. მისი თქმით, არაგონივრულია, რომ ადამიანი შეიჭრას ფანჯარაში, როდესაც ის დარწმუნებულია, რომ შედის თავის სახლში მაშინ, როდესაც ის შეიძლებოდა შესულიყო წინა კარიდან. პროკურორის თქმით, არაგონივრულია, რომ ადამიანმა ჩაიტენოს ხინკალი ჯიბეებში შემდგომი მოხმარებისთვის და არ შეჭამოს ეს საკვები ადგილზე. პროკურორის ნათქვამი, შესაძლოა, მართებულია, მაგრამ მაშინ, როდესაც საქმე ეხება ფხიზელ ადამიანს. მაგრამ ბატონი ჯაში იყო მთვრალი. მთვრალი ადამიანი არ იქცევა გონივრულად. მთვრალი ადამიანი ხშირად არაგონივრულად იქცევა. ეს იმიტომ ხდება, რომ ალკოჰოლი ბინდავს მის გონებას. ალკოჰოლი აფერხებს გადანივრების მიღების უნარს. ჩვენ ყველამ ვიცით ეს – ან სხვა ადამიანების დაკვირვებით ან ჩვენი პირადი გამოცდილებით.

თქვენო ღირსებებო, მე ვიტყვი ისე მარტივად, რამდენადაც შემიძლია: გონივრულია, რომ მთვრალი კაცისგან მოველოდეთ არაგონივრულ საქციელს.

ბატონ ჯაშს არ დაუბრაახუნებია წინა კარზე და არ უცდია, გაეღვიძებინა ცოლი, ვინაიდან, ნასვამ მდგომარეობაში, მას უმჯობესად მოეჩვენა, შესულიყო სახლში სამზარეულოს ფანჯრიდან. მან ხინკალი ჯიბეში იმიტომ ჩაიტენა, რომ მას ეს უკეთეს იდეად მოეჩვენა, ვიდრე ადგილზე მირთმევა. ასე მოეჩვენა გონივრულად ადამიანს, რომელიც იყო მთვრალი.

თუ მხოლოდ ბატონი ჯაშის ჩვენება თქვენ არასაკმარისად მოგეჩვენათ იმისათვის, რომ დარწმუნებულიყავით, რომ ის არ შესულა ბინაში მოსაპარად, მიაქციეთ ყურადღება მტკიცებულებებს, რომლებიც მოვლენების მისეულ ვერსიას ამყარებს. ასეთი მტკიცებულებები ბევრია.

პირველი, პოლიციის ორივე თანამშრომლებმა, რომლებმაც ბატონი

ჯაში დააკავეს, თავიანთ ჩვენებაში დაადასტურეს, რომ ბატონ ჯაშს უდიოდა ალკოჰოლის სუნი და ჩანდა, რომ იგი ალკოჰოლური სიმთვრალის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მეორე, თქვენ მოისმინეთ ბატონი დავითი ცოლის ჩვენება, რომ დავითი თავის მეუღლესთან ერთად ცხოვრობს მხოლოდ ორი კვარტლის დაშორებით ქელიძის სახლიდან, კორპუსში, რომელიც ძალიან ჰგავს ქელიძის კორპუსს. გარდა ამისა, მათი სამზარეულოს ფანჯარა გარედან ძალიან ჰგავს ქელიძის ბინის სამზარეულოს ფანჯრის გარე ხედს. ქალბატონმა ჯაშმა მოიტანა თავიანთი ფანჯრის ამსახველი ფოტოსურათი და თქვენ გქონდათ შესაძლებლობა, შეგედარებინათ ის ქელიძის ფანჯრის სურათთან. თქვენ ნახეთ რომ ეს ფანჯრები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, თქვენ უნდა დაასკვნათ, რომ არც ისე არაგონივრული იყო ბატონი ჯაშის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის, რომ ქელიძის ბინა შეშლოდა თავის ბინაში.

მესამე, ბატონმა ქელიძემ ბატონი ჯაში სამზარეულოში იპოვა, როდესაც ბატონი ჯაში რას აკეთებდა? ... ჭამდა! ბატონი დავითის განზრახვა რომ ყოფილიყო ქელიძის ძვირფასეულობების მოპარვა, რატომ დაკარგავდა ის დროს პირის და ჯიბეების ხინკლით გამოტენვაზე? ქურდი პირდაპირ მიადგებოდა ქელიძის ძვირფასეულობებს – ფულს, ოქროულობას, ელექტროსაქონელს. ამისგან განსხვავებით, ბატონი ჯაში მიადგა ხინკალს.

მეოთხე, და ეს ის საკითხია, რომელზეც საუბრის დროსაც პროკურორმა თავის დასკვნით სიტყვაში არ აღნიშნა ყველა ფაქტი. როდესაც ბატონი ქელიძე დაუპირისპირდა ბატონ ჯაშს, ბატონმა ჯაშმა მას უთხრა: „ვინა ხარ შე ნაძირალა?“ მან იკითხა, ვინ იყო ბატონი ქელიძე... რადგან მან არ იცოდა ვინ იყო ბატონი ქელიძე. მას გაუკვირდა, რას აკეთებდა ბატონი ქელიძე თავის სამზარეულოში. ეს ის ნათქვამია, რომელსაც ადამიანი შეიძლება მოელოდეს მთვრალი და დაბნეული კაცისგან, რა მდგომარეობაშიც იყო ბატონი ჯაში. დარწმუნებული ვარ, ის ნანობს, რომ ბატონ ქელიძეს ნაძირალა უწოდა, მაგრამ ბატონი ჯაშის, როგორც ინტოქსიკაციის ქვეშ მყოფი ადამიანის თვალსაზრისით, ვილაცა უცხო ადამიანი ლამის პიყამაში გამონყობილი გაჩნდა მის სამზარეულოში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე და დაუნყო ქოლგის ფრიალი სახის წინ.

მეხუთე და ბოლო, ბატონი ჯამი არ გაქცეულა შემთხვევის ადგილიდან, როგორც ქურდი გაიქცეოდა. იგი გავიდა ბინიდან. პოლიციამ ის რამდენიმე წუთის შემდეგ იპოვა, როდესაც ის მიდიოდა და არა მირბოდა ქუჩაში. ეს არის ინტოქსიკაციის ქვეშ მყოფი ადამიანის და არა ქურდის საქციელი.

თქვენო ღირსებებო, კანონი ამბობს, რომ როდესაც თქვენ, მოსამართლეებს, გინევთ ერთი და იგივე მოვლენის ორი სხვადასხვა ახსნისთვის უპირატესობის მინიჭება, თქვენ უპირატესობა უნდა მიანიჭოთ ახსნას, რომელიც დაცვის მხარის სასარგებლოა. ეს მოთხოვნა პირდაპირ და აბსოლუტურად არის გათვალისწინებული ჩვენი კანონმდებლობით, რომელიც ბრალდებულს უდანაშაულობის პრეზუმფციას ანიჭებს. მოვლენათა ბატონი ჯამისეული ვერსია არა მხოლოდ ისეთივე გონივრულია, როგორც ბრალდების მხარის ვერსია, არამედ არის სიმართლე.

თქვენო ღირსებებო, ბატონ დავით ჯამს აქვს სმის პრობლემა. ეს ამკარაა. ეს ის პრობლემაა, რომელმაც დავითს და მის ოჯახს ბევრი სირცხვილი და ტკივილი მოუტანა. დავითი აღიარებს, რომ მისმა საქციელმა იმ ღამით ძალიან შეაშინა ქელიძის ოჯახი და მათ დიდი მღელვარება მოუტანა. ის ძალიან ნანობს ამას. მაგრამ მას არ ჰქონია ქელიძის ოჯახისთვის რაიმე ზიანის მიყენების გაზრახვა. მას არ ჰქონია მათთვის რაიმეს მოპარვის განზრახვა. მას არ ჩაუდენია საცხოვრებელი ბინის ძარცვა.

ცხადია, ეჭვგარეშეა, რომ დავითმა უნდა მიხედოს ამ სმის პრობლემაც. მან უნდა დაამარცხოს ეს ავი სული, რომელმაც მას ამდენი უსიამოვნება მოუტანა ცხოვრებაში. თავის ჩვენებაში მან გითხრათ, რომ ამ საქმის გამო მისმა დაპატიმრებამ მას თვალი აუხილა და დაანახა, რომ უნდა მოიშოროს ალკოჰოლზე დამოკიდებულების ჩვევა. ის ცდილობს ამის მიღწევას. გთხოვთ, თქვენო ღირსებებო, კიდევ უფრო არ გაურთულოთ დავითს ეს პროცესი ისეთ დანაშაულში მსჯავრდებით, რომელიც მას არ ჩაუდენია. გთხოვთ, იგი უდანაშაულოდ სცნოთ საცხოვრებელი ბინის დანაშაულის ჩადენაში.

## VII. სავარჯიშოები

### სავარჯიშო A [გაუპატიურების ბრალდება]

*ნიკა ბარათელის სისხლის სამართლის საქმე*

#### ფაქტობრივი გარემოებები

ნიკა ბარათელი არის პროფესიული საკალათბურთო გუნდის „დინამოს“ კალათბურთელი. 2012 წლის 1 ივნისს ის და მისი რამდენიმე სხვა გუნდელი წავიდნენ ბარში „24 საათი“ დასალევად და გასართობად. იქ მათ სვეს ლუდი და უყურეს მოცეკვავე გოგონების შოუს.

ბარში მისვლისას იქ მყოფებმა იმწამსვე ამოიცნეს ნიკა ბარათელი და მისი მეგობრები რომ ცნობილი კალათბურთელები იყვნენ. მათ იქ მყოფი ადამიანების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს. ბარის დაკეტვამდე ერთი საათით ადრე, ერთ-ერთი მიმტანი – ნათია ურუშაძე – მივიდა და ნიკა ბარათელთან და მის ამხანაგებთან დაჯდა. მან ნიკა ბარათელს უთხრა, რომ ამ წუთას დაამთავრა სამუშაო საათები. მან რამდენიმე ჭიქა დალია ნიკა ბარათელთან ერთად და ელაპარაკა მას ბარის დაკეტვამდე. როდესაც გამოაცხადეს, რომ ბარი იკეტებოდა, ნათია ურუშაძემ თქვა, რომ მას სჭირდებოდა სახლამდე მიყვანა. ნიკა ბარათელმა შესთავაზა, რომ თვითონ მიიყვანდა სახლამდე მანქანით. რადგან ნიკა ბარათელი თვითონ მისი მეგობრის – დავით სტურუას მანქანით იყო მისული ბარში, მან სთხოვა დავით სტურუას, ეთხოვებინა მანქანა, რომ ნათია ურუშაძე მიეყვანა სახლში. დავით სტურუა დათანხმდა და ათხოვა თავისი მანქანა ნიკა ბარათელს.

ნიკა ბარათელმა და ნათია ურუშაძემ ბარი დატოვეს ღამის ორის ათ წუთზე. ისინი ნათია ურუშაძის სახლთან მივიდნენ. ნიკა ბარათელმა ჰკითხა, თუ შეიძლებოდა შესულიყო მის სახლში და ესარგებლა საჭირო ოთახით. ნათია ურუშაძემ უპასუხა, რომ მას საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. როდესაც ნიკა ბარათელი საჭირო ოთახიდან

გამოვიდა, ნათია ურუშაძემ მას ჰკითხა, ხომ არ მიირთმევდა რაიმე დასალევს. ნიკა ბარათელი დაეთანხმა. ნათია ურუშაძემ ორი ქილა ლუდი გამოიღო მაცივრიდან. ისინი დასხდნენ მისაღებ ოთახში სალაპარაკოდ და დასალევად. საბოლოო ჯამში, ისინი აღმოჩნდნენ ნათია ურუშაძის საწოლ ოთახში, სადაც მათ ერთმანეთთან სექსობრივი კავშირი დაამყარეს. ნიკა ბარათელმა დატოვა ნათია ურუშაძის ბინა და დაბრუნდა დავით სტურუას მანქანით. დავით სტურუა ნიკა ბარათელის კარის მეზობელი იყო. ამიტომ, ნიკა ბარათელმა მანქანა გააჩერა დავით სტურუას ბინის წინ და თვითონ თავისი ბინისკენ გაემართა.

მეორე დღეს, დღის მეორე ნახევარში, დაახლოებით დღის 4 საათზე, ნათია ურუშაძემ დაურეკა თავის მეგობარს თამარ წერეთლს და უთხრა, რომ ნიკა ბარათელმა ის წინა ღამით გააუპატიურა. თამარ წერეთელი დაუყოვნებლივ მივიდა ნათია ურუშაძესთან სახლში. ნათია ურუშაძე ტიროდა. მან კიდევ ერთხელ უთხრა თამარ წერეთელს, რომ ნიკა ბარათელმა ის გააუპატიურა და აჩვენა დალურჯებული ადგილები მკლავებზე, რომლებიც მისი თქმით წარმოიქმნა, როდესაც ნიკა ბარათელი მას ზემოდან აწვებოდა. როდესაც თამარ წერეთელმა ჰკითხა, რატომ დააგვიანა ასე ნათია ურუშაძემ მასთან დარეკვა, ნათია ურუშაძემ უპასუხა, რომ ის ნერვიულობდა, თუ რას იფიქრებდა მისი ქმარი, როდესაც საქმიანი ვიზიტიდან დაბრუნდებოდა შემდეგ კვირას. ნათია ურუშაძესთან ფაქტების განხილვის შემდეგ თამარ წერეთელმა ნათია ურუშაძე დაარწმუნა, დაერეკა და ეს ინციდენტი შეეტყობინებინა პოლიციისთვის.

პოლიციის თანამშრომელი შალვა ბერიძე გამოცხადდა ადგილზე. მან შეადგინა ოქმი და გადაიღო ნათია ურუშაძის მკლავებზე არსებული დალურჯებების ამსახველი ფოტოსურათები. ნათია ურუშაძემ ოფიცერ შალვა ბერიძეს განუცხადა, რომ მან ნიკა ბარათელი გაიცნო ბარში და ნიკა ბარათელმა მას სახლში მიყვანა შესთავაზე მანქანით. მან განაცხადა, რომ მან დალია ალკოჰოლური სასმელები იმ ღამეს, მაგრამ არ ახსოვს, რამდენი დალია. ნათია ურუშაძემ პოლიციის თანამშრომელს უთხრა, რომ ნიკა ბარათელმა მას სთხოვა, დაერთო მის ბინაში შესვლის ნებართვა საჭირო ოთახით სარგებლობის მიზნით, რაზეც ნათია ურუშაძე დათანხმდა. ბინაში შესვლის შემდეგ ნათია ურუშაძემ მას ნიკა ბარათელს შესთავაზა ლუდი. ისინი ორივე დასხდნენ გრძელ სავარძელზე მისაღებ ოთახში, სვამდნენ ლუდს და საუბრობდნენ კალათბურთზე და ცეკვაზე. ნათია ურუშაძის თქმით,



სავარძელში ჯდომისას და საუბრისას ნიკა ბარათელმა სცადა მისთვის ეკოცნა. ნათია ურუშაძემ იგი განზე გასწია. ნიკა ბარათელი ძალიან გაბრაზდა. მან დაიჭირა ნათია ურუშაძე. ნიკა ბარათელის ხელებიდან გასხლტომის მცდელობისას ნათია ურუშაძემ მას პერანგის ჯიბე ჩამოახია. ნათია ურუშაძის თქმით, მას ახსოვდა, რომ ნიკა ბარათელს ეცვა ლურჯი ფერის ბამბის პერანგი, რომელსაც მარცხენა მხარეს ჰქონდა ჯიბე. ნიკა ბარათელმა მას მკლავებში მოჰკიდა ხელები, გაათრია და შეაგდო სანოლ ოთახში. მან ნათია ურუშაძეს გახადა ტანსაცმელი და დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. თავდაპირველად ნათია ურუშაძემ მას წინააღმდეგობა გაუწია და ეუბნებოდა, გაჩერებულიყო, მაგრამ ნიკა ბარათელი მასზე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა და ნათია ურუშაძემ წინააღმდეგობა შეწყვიტა, რადგან ეშინოდა, ნიკა ბარათელს იგი არ დაეშავებინა. ამ წინააღმდეგობის დროს წაიქცა ლამპა და დაიმსხვრა. მისი თქმით, ნიკა ბარათელმა მისი ბინა დაახლოებით ღამის 3 საათზე დატოვა.

ოფიცერმა შალვა ბერიძემ დაჰკითხა თამარ წერეთელი. თამარ წერეთელმა მას განუცხადა, რომ როდესაც ის მივიდა ნათია ურუშაძის ბინაში, ნათია ურუშაძე ისტერიულ მდგომარეობაში იყო. მას თმები ჰქონდა აწეწილი და თვალები ჩანითლებული. ის ტიროდა და ძლივს ყვებოდა, რაც შეემთხვა. თამარ წერეთელის თქმით, ნათია ურუშაძეს არაფერი უთქვამს, თუ რამდენი დალია, მაგრამ აღნიშნა, რომ ნიკა ბარათელს პერანგი ჩამოახია. თამარ წერეთელმა განაცხადა, რომ ის იცნობდა ნათია ურუშაძეს და მის ქმარს წლების განმავლობაში და ამ წყვილს ბედნიერი ცოლ-ქმრობა ჰქონდა უკვე 6 წელია. თამარ წერეთელმა ოფიცერ შალვა ბერიძეს განუცხადა, რომ ამ დღემდე მას არასოდეს უნახავს დალურჯებული ადგილები ნათია ურუშაძის სხეულზე.

შემდეგ დღეს დააკავეს ნიკა ბარათელი. იგი ოფიცერმა შალვა ბერიძემ დაჰკითხა. ნიკა ბარათელმა შალვა ბერიძეს განუცხადა, რომ იმ ღამეს მან ბარი დატოვა ნათია ურუშაძესთან ერთად ღამის ორის ათწუთზე. ის მივიდა ნათია ურუშაძესთან ბინაში ორის ნახევარზე. ნათია ურუშაძემ ის შინ შეიპატიჟა. ნიკა ბარათელმა შალვა ბერიძეს განუცხადა, რომ მას არ უთხოვია ნათია ურუშაძისთვის ბინაში შესვლა და საჭირო ოთახით სარგებლობა, მაგრამ რადგან ის შევიდა ბინა, ისარგებლა კიდევ საჭირო ოთახით. შალვა ბერიძეს ნიკა ბარათელმა უთხრა, რომ საჭირო ოთახით სარგებლობის შემდეგ მან დალია ლუდი



და ესაუბრებოდა ნათია ურუშაძეს. მისი თქმით, სქესობრივი კავშირის დამყარება ნათია ურუშაძის ინიციატივა იყო, რაზეც იგი დათანხმდა. მისი თქმით, მათ შორის სექსი ურთიერთშეთანხმებული იყო. ნიკა ბარათელის განცხადებით, სქესობრივი კავშირის დასრულების შემდეგ, მათ ცოტა ხნით ისაუბრეს, რის შემდეგაც ჩაეძინათ. ნიკა ბარათელმა ნათია ურუშაძის ბინა დაახლოებით დილის 6 საათზე დატოვა. მას არ შეუმჩნევია რაიმე ჩალურჯებები ნათია ურუშაძის მკლავებზე. ნიკა ბარათელმა თქვა, რომ მას ეცვა ლურჯი ბამბის პერანგი. იგი აღიარებს, რომ მის პერანგზე ჯიბე მოხეულია, მაგრამ არ ახსოვს, როგორ მოხდა ეს. მან შალვა ბერიძეს განუცხადა, რომ მას არანაირი წინააღმდეგობა არ ჰქონია ნათია ურუშაძესთან და ლამპა შემთხვევით დაეცა იატაკზე, როდესაც ისინი ერთმანეთს ეფერებოდნენ.

ოფიცერმა შალვა ბერიძემ დაჰკითხა დავით სტურუა, რომელმაც განაცხადა, რომ ის ოთხი წელია იცნობს ნიკა ბარათელს. ისინი კალათბურთის გუნდში ერთად თამაშობდნენ მთელი ამ ხნის განმავლობაში. ის და ნიკა ბარათელი კარგი მეგობრები იყვნენ. მან აღიარა, რომ თავისი მანქანა ათხოვა ნიკა ბარათელს, რომ ამ უკანასკნელს სახლში მიეყვანა ნათია ურუშაძე. მას ახსოვს, რომ მოესმა ძაღლის ყეფა და ჭიშკრის გაღების ხმა დაახლოებით შვიდის ნახევარზე, თუმცა მას საათისთვის არ დაუხედავს. როდესაც მან ფანჯრიდან გაიხედა, დაინახა, რომ ნიკა ბარათელი თავის ბინისკენ მიდიოდა. მოგვიანებით იმ დღით ნიკა ბარათელმა მას გასაღები დაუბრუნა და უთხრა, რომ „ძალიან მაგარი დრო“ გაატარა ნათია ურუშაძესთან ერთად. დავით სტურუას არ შეუმჩნევია ჩამოხეული ჯიბე ნიკა ბარათელის პერანგზე.

ოფიცერმა შალვა ბერიძემ ჩაინიშნა, რომ დავით სტურუა ცხოვრობს კეკელიძის ქუჩაზე, რომელიც დაახლოებით 10 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ნათია ურუშაძის სახლიდან და მათ შორის მანქანის მისვლას დაახლოებით 20 წუთი სჭირდება.

### საქმის აღწერილობა

ნიკა ბარათელს ბრალი წარედგინა გაუპატიურების ჩადენაში – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით. იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს.

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის  
მონმეები

ბრალდების მხარე: ნათია ურუშაძე, თამარ წერეთელი

დაცვის მხარე: ნიკა ბარათელი, დავით სტურუა

საჩვენებელი მასალები

ადგილმდებარეობის სქემა

ჩალურჯებების ამსახველი ფოტოსურათი

ლურჯი პერანგი მოხეული ჯიბით

გატეხილი ლამპის ამსახველი ფოტოსურათი

### პოლიციის ოქმი

დაკავებული პირი: ნიკა ბარათელი

წარდგენილი ბრალდება: გაუპატიურება – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით

დაკავების დრო: 3 ივნისი 2011წ.

შემთხვევის დრო: 2 ივნისი 2011წ.

შემთხვევის აღწერილობა: 2011 წლის 2 ივნისს, საღამოს 5:10 საათზე, დისპეჩერისგან მივიღე შეტყობინება, რომ შემოსული იყო შეტყობინება გაუპატიურების შესახებ. მე გავემგზავრე გლდანის რაიონში სადაც

ვესაუბრე ნათია ურუშაძეს და მის მეგობარს თამარ წერეთელს. ნათია ურუშაძემ განმიცხადა, რომ იმ დღეს დილით ადრე ნიკა ბარათელმა, დინამოს პროფესიული საკალათბურთო გუნდის წევრმა, ის მიიყვანა სახლში. ნათია ურუშაძემ თქვა, რომ ნიკა ბარათელმა მას სთხოვა ბინაში შესვლა, რომ ესარგებლა საჭირო ოთახით. ნათია ურუშაძემ მას ნება დართო შესულიყო ბინაში ამ მიზნით. ბინაში ნათია ურუშაძემ და ნიკა ბარათელმა დალიეს ლუდი. ისინი ისხდნენ მისაღებ ოთახში სავარძელში და საუბრობდნენ კალათბურთზე და ცეკვაზე. ნიკა ბარათელმა სცადა მისთვის ეკოცნა, მაგრამ მან იგი განზე გასწია. ნიკა ბარათელი მასზე გაბრაზდა და ის ხელებით დაიჭირა. ის გასხლტომას ცდილობდა, რა დროსაც ნიკა ბარათელს ჩამოახია ლურჯი პერანგი. ამის შემდეგ ნიკა ბარათელმა ის აიყვანა და წაიყვანა საწოლ ოთახში, სადაც გახადა ტანსაცმელი და დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. ის წინააღმდეგობის განწევას ცდილობდა და ეუბნებოდა ნიკა ბარათელს, შეჩერებულიყო, მაგრამ ნიკა ბარათელი ძლიერი იყო მისთვის და საბოლოო ჯამში ნათია ურუშაძემ შეწყვიტა წინააღმდეგობის განწევა, რადგან ეშინოდა არ დაშავებულიყო.

ნათია ურუშაძეს აღენიშნება ჩალურჯებები მკლავებზე, რომლებიც მისი თქმით დარჩა ამ წინააღმდეგობის განწევის შედეგად. აღნიშნული ჩალურჯებები მე დავაფიქსირე ფოტოსურათზე.

ნათია ურუშაძემ განაცხადა, რომ ის მუშაობს მიმტანად და პირველად ნიკა ბარათელი გაიცნო 1 ივნისის საღამოს, როდესაც სამუშაოზე იმყოფებოდა ბარში „24 საათი“. როდესაც მან დაამთავრა თავისი ცვლა, ის დაჯდა ნიკა ბარათელთან და მასთან ერთად დალია რამდენიმე სასმისი. ნიკა ბარათელმა მას ჰკითხა, სურდა თუ არა, სახლში მიეყვანა, რაზეც ნათია ურუშაძე დათანხმდა. მათ ბარი დაახლოებით ორის თხუთმეტ წუთზე დატოვეს. ნათია ურუშაძემ განაცხადა, რომ მას ამ ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ არ შეუტყობინებია, რადგან ის ნერვიულობდა, თუ რას იფიქრებდა მისი ქმარი რევაზ წურწუმია. რევაზ წურწუმია გასული იყო ქალაქიდან საქმიან მივლინებაში.

თამარ წერეთელმა განაცხადა, რომ ის არის ნათია ურუშაძის მეგობარი. მას დაურეკა ნათია ურუშაძემ 2 ივნისს, დაახლოებით დღის 4 საათზე და სთხოვა მასთან სახლში მისვლა. როდესაც ის მივიდა, ნათია ურუშაძე აღელვებული დახვდა. მას თმები აწენილი ჰქონდა, ხოლო თვალები ჩანითლებული. თამარ წერეთლის თქმით, ნათია ურუშაძე

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

ისტერიულ მდგომარეობაში იყო. თამარ წერეთელმა ნათია ურუშაძე დაარწმუნა, რომ დაერეკა პოლიციაში და შეეტყობინებინა რაც მოხდა.

დაკავება და შემდგომი გამოძიება:

ნიკა ბარათელი დაკავებულ იქნა 2011 წლის 3 ივნისს მის ბინაში. მისთვის უფლებების გაცნობის შემდეგ, მე მას ჩამოვართვი წერილობითი განმარტება, რომელიც ამ ოქმს თან ერთვის.

დაიკითხა დავით სტურუაც. მისი წერილობითი განმარტებას ამ ოქმს თან ერთვის.

ოქმს ერთვის ასევე ადგილმდებარეობის სქემა, რომელზეც ნაჩვენებია ნათია ურუშაძის და ნიკა ბარათელის საცხოვრებელი ბინების განლაგება. ნათია ურუშაძის საცხოვრებელი ადგილიდან ნიკა ბარათელის საცხოვრებელ ადგილამდე დაშორება არის 10 კილომეტრი. ამ მანძილის მანქანით გავლას სჭირდება დაახლოებით 20 წუთი.

თარიღი: 4 ივნისი 2011 წ.

პოლიციის ოფიცერი შალვა ბერიძე

### **ნიკა ბარათელის განმარტება**

დაკავებული პირი: ნიკა ბარათელი

წარდგენილი ბრალდება: გაუპატიურება – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით

დაკავების დრო: 4 ივნისი 2011წ.

შემთხვევის დრო: 2 ივნისი 2011წ.

მე, ნიკა ბარათელი, ვადასტურებ, რომ მე გამაცნეს ჩემი უფლებები. ჩემთვის გასაგებია ეს უფლებები და ამ განმარტებას ვიძლევი ნებაყოფლობით:

მე ვცხოვრობ კეკელიძის ქუჩაზე. ვარ პროფესიონალი კალათბურთელი დინამოს კლუბში.

2011 წლის 1 ივნისს მე რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად წავედი ბარში „24 საათი“ დასასვენებლად. მე იქ პირველად ვიყავი. ვსვამდი ლუდს ჩემს მეგობრებთან ერთად და ვუყურებდი გოგონების ცეკვას.

იმ საღამოს რამდენიმე ბოთლი სასმელი დავლიე. ბარის დაკეტვამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ-ერთი მიმტანი მოვიდა ჩემთან და ჩვენს მაგიდასთან ჩემს გვერდით დაჯდა. ის გამეცნო, როგორც ნათია ურუშაძე. მე მას სასმელი ვუყიდე და ვუყურე მის ბოლო საცეკვაო გამოსვლას. შემდგომ მან მითხრა, რომ სჭირდებოდა სახლამდე მანქანით მიყვანა. მე ვუთხარი, ვნახავ, იქნებ ვითხოვო მანქანა ჩემი მეგობრისგან-თქო. მე ვითხოვე მანქანა დავით სტურუასგან და წავიყვანე ნათია ურუშაძე თავის სახლში.

როდესაც მის ბინასთან მივედი, მე მას ვკითხე, თუ შეიძლებოდა მესარგებლა მისი საჭირო ოთახით. ის დათანხმდა. მის ბინაში ჩვენ რამდენიმე ბოთლი ლუდი დავლიეთ. მან დაიწყო ისეთი მოქმედებები, თითქოს მას ჩემთან ფიზიკური ურთიერთობა სურდა. მე წინააღმდეგი არ ვყოფილვარ და საბოლოო ჯამში ჩვენ აღმოვჩნდით სანოლ ოთახში, სადაც მე და ჩვენ ერთმანეთთან გვექონდა სქესობრივი კავშირი. მას მე არ შეუჩერებია და არც რაიმე წინააღმდეგობა გაუწევია ჩემთვის. მე მისთვის არ დამიძალეებია ჩემთან სქესობრივი კავშირის დაჭერა. მე დავინახე რამდენიმე ჩალურჯებული ადგილი მის მკლავებზე. მისი თქმით, ეს ჩალურჯებები გამონწვეული იყო იმით, რომ რაღაცას მიარტყა მკლავები ცეკვის დროს. არანაირი ბრძოლა არ ყოფილა და არც არაფერი გატეხილა მის ბინაში.

ბოლოს ჩვენ დაგვეძინა. მე გავიღვიძე და მისი ბინიდან გავედი დაახლოებით დილის 6 საათზე. მივედი ჩემს ბინასთან, დავუბრუნე მანქანა ჩემს მეგობარ დავით სტურუას და წავედი ჩემს სახლში დასაძინებლად.

იმ სალამოს მე მეცვა ლურჯი ბამბის პერანგი. ჯიბე ოდნავ ჩამოხეული იყო. მე არ ვიცი, როგორ და როდის ჩამომეხია ჯიბე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს არ იყო ნათია ურუშაძესთან ბრძოლით გამოწვეული. მე ჩემი პერანგი გადავეცი პოლიციის ოფიცერ გიორგი ნურნუმიას. მე ამნაირი პერანგი რამდენიმე ცალი მაქვს.

აღნიშნული განმარტება არის ნამდვილი და სწორი.

ნიკა ბარათელი

### დავით სტურუას განმარტება

მე, დავით სტურუა, ნებაყოფლობით ვაცხადებ შემდეგს:

მე ვცხოვრობ კეკელიძის ქუჩაზე. ნიკა ბარათელი ჩემი მეზობელია. მე მას ვიცნობ უკვე ოთხი წელია. ჩვენ ორივე ვთამაშობთ ერთ საკალათბურთო გუნდში. მე მას ახლი მეგობრად ვთვლი.

1 ივნისს მე ნიკა ბარათელთან და ჩვენი გუნდის რამდენიმე სხვა წევრთან ერთად წავედი ბარში „24 საათი“ დასასვენებლად. ნიკა ბარათელი ჩემთან ერთად წამოვიდა ჩემს მანქანაში. ჩვენ რამდენიმე ბოთლი სასმელი დავლიეთ და ვუყუარებდით გოგონების ცეკვას.

ბევრმა გულშემატკივარმა გვიცნო და ხალხი მუდმივად მოდიოდა ჩვენს მაგიდასთან; ზოგი გველაპარაკებოდა, ზოგი კი სასმელზე გვპატიჟებდა. სწორედ ბოლო საცეკვაო გამოსვლის წინ ერთ-ერთი მიმტანი, ნათია ურუშაძე, მოვიდა მოვიდა ჩვენს მაგიდასთან. ის დაჯდა და დაუნყო ლაპარაკი ნიკა ბარათელს. მე დიდი ყურადღება ამისთვის არ მიმიქცევია.

მოგვიანებით ნიკამ მკითხა, მანქანას თუ მათხოვებ, რომ ეს გოგონა სახლში წავიყვანო. მე მას ვათხოვე ჩემი მანქანა, ხოლო მე თვითონ სხვა ბიჭების მანქანით წავედი.

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის

გამაღვიდა ძალის ყეფამ და ჭიშკრის კარის გაღების ხმამ. გავიხედე და დავინახე, რომ ნიკა ბარათელი მოსულიყო. ეს იყო დაახლოებით დილის 6 საათზე, მეორე დილით. ნიკა ბარათელმა მანქანის გასაღები დამიბრუნა და თავის სახლში წავიდა. მას ლურჯი ბამბის პერანგი ეცვა.

შეგნებული მაქვს რა პასუხისმგებლობა ცრუ ჩვენების მიცემის გამო, ვადასტურებ, რომ ეს განმარტება არის სწორი.

დავით სტურუა

### წინასასამართლო სხდომა

10 ივლისი 2011 წ.

ნათია ურუშაძის ჩვენება

პირდაპირი დაკითხვა:

კითხვა: გთხოვთ, გვითხრათ თქვენი სახელი.

პასუხი: ნათია ურუშაძე.

კითხვა: სად ცხოვრობთ?

პასუხი: გლდანის რაიონში.

კითხვა: თქვენი სამუშაო ადგილი?

პასუხი: მე ვმუშაობ მიმტანად ბარში „24 საათი“.

კითხვა: რამდენი ხანია იქ მუშაობთ?



ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის

*პასუხი:* 5 თუ 6 წელია.

*კითხვა:* იყავით თუ არა თქვენ სამუშაოზე ბარში „24 საათი“ 2011 წლის 1 ივნისს?

*პასუხი:* დიახ, იმ სალამოს მე სამუშაოზე ვიყავი.

*კითხვა:* შეხვდით თუ არა იმ სალამოს პიროვნებას, რომლის სახელია ნიკა ბარათელი?

*პასუხი:* დიახ.

*კითხვა:* ხედავთ თუ არა მას დღეს სასამართლო დარბაზში?

*პასუხი:* დიახ.

*კითხვა:* გთხოვთ, გვიჩვენოთ, სად ზის ის და რა აქცვია მას დღეს.

*პასუხი:* ის ზის მაგიდასთან ჩემგან მარჯვნივ და აცვია წითელი პერანგი.

*კითხვა:* თუ შეიძლება, დავაფიქსიროთ ოქმში, რომ მოწმემ ამოიცნო მოპასუხე ნიკა ბარათელი?

*სასამართლო:* დიახ.

*კითხვა:* იცნობდით თუ არა ნიკა ბარათელს მანამდე, ვიდრე მას შეხვდებოდით იმ სალამოს?

*პასუხი:* არა.

*კითხვა:* როგორ გაიცანით იგი?

*პასუხი:* ჩემი სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, კალათბურთელებმა მთხოვეს მათ მაგიდასთან დაჯდომა. მე მივედი. გამაცნეს ნიკა ბარათელი. ჩვენ დავინწყეთ ლაპარაკი კალათბურთზე და ცეკვაზე.

*კითხვა:* მოგვიანებით სახლში თქვენ ნიკა ბარათელმა წაგიყვანათ მანქანით?

*პასუხი:* დიახ.

*კითხვა:* როგორ მოხდა ეს?

*პასუხი:* საუბრისას მე მას ვუთხარი, რომ ჩემი მანქანა პროფილაქტიკაში იყო. მან მითხრა, მეგობრისგან ვითხოვებ მანქანას და სახლში მიგიყვანო.

*კითხვა:* რომელ საათზე გახვედით ბარიდან?

*პასუხი:* ოდნავ იყო გადაცილებული ღამის პირველ საათს.

*კითხვა:* პირდაპირ თქვენი სახლისკენ წახვედით?

*პასუხი:* დიახ.

*კითხვა:* რა მოხდა, როცა მიხვედით?

*პასუხი:* ნიკა ბარათელმა მკითხა, თუ შეიძლება შემოვალ და საჭირო ოთახით ვისარგებლებო. მე ვუპასუხე, კი, რა თქმა უნდა-თქო.

*კითხვა:* შემდეგ რა მოხდა?

*პასუხი:* ის შემოვიდა ბინაში. საჭირო ოთახიდან გამოსვლის შემდეგ მე ვკითხე, ლუდს ხომ არა დალევ-თქო. მან მიპასუხა, კი, დავლევო. შემდეგ ჩვენ დავსხედით სავარძელში, ვსვამდით ლუდს და ვლაპარაკობდით კალათბურთზე და ცეკვაზე.

*კითხვა:* შემდეგ?

*პასუხი:* ერთ ხანს ვსაუბრობდით. მან სცადა ჩემთვის ეკოცნა. მე ვუთხარი, გათხოვილი ვარ, გაჩერდი-თქო.

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

კითხვა: გაჩერდა?

პასუხი: არა. გაბრაზდა და ხელებით დამიჭირა.

კითხვა: თქვენ რა ქენით?

პასუხი: შევეცადა ხელიდან გავსხლტომოდი და ამ დროს მას ლურჯი ბამბის პერანგი ჩამოვახიე. ამის შემდეგ მართლა ძალიან გაბრაზდა. მან ხელში ამიყვანა და სანოლ ოთახში წამიყვანა. ვცდილობდი მასთან შებრძოლებას, მაგრამ ძალიან ძლიერი იყო.

კითხვა: რა მოხდა სანოლ ოთახში?

პასუხი: ტანსაცმელი გამხადა და გამაუპატიურა.

კითხვა: მან თავისი პენისი მოათავსა თქვენ ვაგინაში?

პასუხი: დიახ.

კითხვა: თქვენ თანახმა იყავით ამაზე?

პასუხი: არა.

კითხვა: რა მოხდა მას შემდეგ, რაც მან თქვენ გაგაუპატიურათ?

პასუხი: ის ადგა, ჩაიცვა ტანსაცმელი და წავიდა.

კითხვა: თქვენ რაიმე დაგიშავდათ?

პასუხი: მე გამიჩნდა ჩალურჯებები ხელებზე, სადაც ის მაჭერდა.

კითხვა: მე ახლა სასამართლოს ვაჩვენებ ბრალდების მხარის საჩვენებელ მასალას, რომელიც დანომრილია ნომერი ერთით. ცნობთ რა არის ეს?

პასუხი: დიახ. ამ ფოტოსურათზე გამოსახულია ჩალურჯებები ჩემს ხელებზე.

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის

კითხვა: ამ სურათზე მოცემული გამოსახულება ნამდვილად და ზუსტად ასახავს თქვენი ხელების მდგომარეობას იმ ღამისთვის?

პასუხი: დიახ.

კითხვა: გთხოვთ საჩვენებელი მასალა №1 დაურთოთ მტკიცებულებებს.

სასამართლო: დაცვის მხარე წინააღმდეგი ხომ არ არის?

დაცვის მხარე: არა.

სასამართლო: აღნიშნული მასალა დაერთვება მტკიცებულებებს.

პროკურორი: მეტი შეკითხვა არ გვაქვს.

ჯვარედინი დაკითხვა

კითხვა: 1 ივნისის საღამოს თქვენ რაიმე დალიეთ ბარში?

პასუხი: დიახ. ორი ან სამი კათხა ლუდი.

კითხვა: როდესაც ბატონმა ნიკა ბარათელმა სახლში წაყვანა შემოგთავაზათ, თქვენ დათანხმდით?

პასუხი: დიახ.

კითხვა: თქვენ დათანხმდით, რომ ის წაგიყვანდათ სახლში მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ორიოდ საათის გაცნობილი გყავდათ, ხომ ასეა?

პასუხი: დიახ.

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

*კითხვა:* ამ დროს თქვენ იცოდით, რომ ის დინამოს საკალათბურთო გუნდის მოთამაშე იყო?

*პასუხი:* დიახ.

*კითხვა:* როდესაც ბარში მუშაობისას კლიენტებთან სასმელები მიგაქვთ, ხანდახან ისინი ხელს ხომ არ წამოგკრავენ ხოლმე?

*პასუხი:* არა, არც მასეა.

*კითხვა:* ხელებზე ჩალურჯებები გაქვთ ხოლმე.

*პასუხი:* შეიძლება, ზოგჯერ.

*კითხვა:* ვინ იყო პირველი ადამიანი, ვისაც ამ ინციდენტის შესახებ მოუყევით?

*პასუხი:* თამარ წერეთელი.

*კითხვა:* თქვენ მას ამ შემთხვევის შესახებ არ მოუყევით მეორე დღის 4 საათამდე, ასე არაა?

*პასუხი:* დიახ.

*კითხვა:* იმ პერიოდში, როდესაც ნიკა ბარათელი თქვენს ბინაში იყო, ხომ არ მომხდარა რაიმე, რის შესახებაც თქვენ ჩვენთვის არ გითქვამთ?

*პასუხი:* არა.

*დაცვის მხარე:* მეტი შეკითხვა არ გვაქვს.

*პროკურორი:* შეკითხვები არ გვაქვს.

**(წინასასამართლო სხდომა)**

10 ივლისი 2011 წ.

თამარ წერეთლის ჩვენება

თამარ წერეთელმა მისცა შემდეგი ჩვენება:

პირდაპირი დაკითხვა

*კითხვა:* გთხოვთ, გვითხრათ თქვენი სახელი.

*პასუხი:* თამარ წერეთელი.

*კითხვა:* რად მუშაობთ?

*პასუხი:* ვმუშაობ მიმტანად ბარში „24 საათი“.

*კითხვა:* რამდენი ხანია იქ მუშაობთ?

*პასუხი:* 7 წელია.

*კითხვა:* იცნობთ თუ არა ნათია ურუშაძეს?

*პასუხი:* დიახ. ნათია ურუშაძეს ვიცნობ დაახლოებით 6 წელია. ჩვენ კარგი მეგობრები და კოლეგები ვართ.

*კითხვა:* მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო 2 ივნისის დღის მეორე ნახევარს. ამ დროს ნახეთ თუ არა თქვენ ნათია ურუშაძე?

*პასუხი:* დიახ. მან დამირეკა დღის მეორე ნახევარში დაახლოებით 4 საათზე და მასთან ბინაზე მისვლა მთხოვა.

*კითხვა:* მიხვედით?

*პასუხი:* დიახ.

*კითხვა:* რა ნახეთ, როდესაც მიხვედით?

*პასუხი:* ნათია ურუშაძე ძალიან ადელვეებული იყო. ტიროდა და თვალები ჩანთილებული ჰქონდა. ისე კანკალებდა, რომ ძლივს მელაპარაკებოდა.

*კითხვა:* გითხრათ თუ არა მან რაიმე და თუ გითხრათ, რა გითხრათ?

*პასუხი:* მან მითხრა, რომ კალათურთელმა ნიკა ბარათელმა ის გააუპატიურა.

*კითხვა:* გითხრათ თუ არა მან, როგორ მოხდა ეს?

*პასუხი:* დიახ. მან მითხრა, რომ ნიკა ბარათელმა ის მიიყვანა სახლში და მასთან შევიდა, რადგან უნდოდა საჭირო ოთახით სარგებლობა. ბინაში ყოფნის დროს ნიკა ბარათელი მას თავს დაესხა. მისი თქმით, ის ცდილობდა წინაღმდეგობის განწევას, მაგრამ ნიკა ბარათელი ძალიან ძლიერი იყო.

*კითხვა:* გითხრათ თუ არა მან, როგორ მოხდა ეს?

*პასუხი:* დიახ. მისი თქმით, გაუპატიურება მოხდა ადრე დილის საათებში, დაახლოებით სამის ნახევარზე.

*კითხვა:* მე ახლა თქვენ გაჩვენებთ საჩვენებელ მასალა №1-ს. ამოიცანით, რა არის ამ ფოტოზე?

*პასუხი:* დიახ. აქ გამოსახულია ჩალურჯეები, რომლებიც მე ნათია ურუშაძის ხელებზე ვნახე.

*კითხვა:* მიმტანად მუშაობისას თქვენ ოდესმე მიგიღიათ ჩალურჯეები ხელებზე ან ფეხებზე?

*პასუხი:* ზოჯერ, ალბათ.

*კითხვა:* თუ შეიძლება გვითხრათ, როგორ ხდება ხოლმე ეს?



*პასუხი:* როდესაც სასმელები მიგვაქვს მაგიდებთან მთელი ღამის განმავლობაში ხალხმრავალ ბარში, ხანდახან ხელს წამოგვკრავენ ან მუჯლუგუნი გვხვდება. ადგილი საკმაოდ მცირე ზომისაა.

*კითხვა:* თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა ნათია ურუშაძის ხელებზე არსებული ჩალურჯებები გამონვეული იყოს კლიენტებთან დაჯახებით?

*პასუხი:* არა, ეს ჩალურჯებები არ არის გამონვეული კლიენტებთან დაჯახებით.

*კითხვა:* ჰკითხეთ თუ არა თქვენ ნათია ურუშაძეს, რატომ არავის დაურეკა მან ამდენი ხნის განმავლობაში.

*პასუხი:* დიახ. მან მიპასუხა, რომ არ უნდოდა მის ქმარს გაეგო ამის შესახებ.

*კითხვა:* მას უნდოდა პოლიციაში დარეკვა?

*პასუხი:* თავიდან არა, მაგრამ მე დავარწმუნე, რომ შეეტყობინებინა პოლიციისთვის.

*პროკურორი:* მეტი შეკითხვა არ მაქვს.

#### ჯვარედინი დაკითხვა

*კითხვა:* თქვენ თქვენი თავი ნათია ურუშაძის ახლო მეგობრად მიგარჩინიათ?

*პასუხი:* დიახ.

*კითხვა:* იცნობთ თუ არა თქვენ მის ქმარს, რევაზ წურწუმას?

*პასუხი:* დიახ. მე ვიცნობ მას მას შემდეგ, რაც ნათია ურუშაძე გავიცანი.

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

*კითხვა:* ოდესმე გინახავთ თუ არა ის გაბრაზებული იმის გამო, რომ ნათია ურუშაძეს ფლირტი ჰქონდა სხვა კაცთან?

*პასუხი:* ერთხელ ჩვენ გვყავდა ერთი კლიენტი, ზაზა ერქვა, რომელიც დიდ ყურადღებას იჩენდა ნათია ურუშაძის მიმართ. როდესაც ნათიას ქმარმა ეს შეიტყო, ის ძალიან გაბრაზდა და ნათიას დაემუქრა, დაგატოვებინებ მაგ სამსახურსო. ამის შემდეგ მალევე ამ კლიენტმა ბარში სიარული შეტყვიტა და ეს ინციდენტიც დავინწყებას მიეცა. ეს მხოლოდ ერთხელ იყო.

*კითხვა:* ნათია ურუშაძე თავს იკავებდა პოლიციაში დარეკვისგან?

*პასუხი:* დიას.

*კითხვა:* თქვენ დაარწმუნეთ იგი, რომ დაერეკა პოლიციაში?

*პასუხი:* დიას. თითქმის ერთი საათი დამჭირდა, რომ დამერწმუნებინა.

*კითხვა:* ხომ არ უთქვამს, რამდენი დალია?

*პასუხი:* როგორც თვითონ თქვა, რამდენიმე კათხა ლუდი ჰქონდა დალეული და თავს ცოტა ნასვამად გრძნობდა.

*კითხვა:* რაიმე თქვა ნიკა ბარეთლის პერანგთან დაკავშირებით?

*პასუხი:* დიას. თქვა, რომ პერანგი ჩამოახია, როცა მას წინააღმდეგობას უწევდა.

*დაცვის მხარე:* მეტი შეკითხვა არ გვაქვს.

*პროკურორი:* შეკითხვები არ გვაქვს.

## სავარჯიშო B [სიყვარულის სამკუთხედი – თავდასხმა ცივი იარაღით]

*ნინო სართანიას სისხლის სამართლის საქმე*

### ფაქტობრივი გარემოებები

„ბუდა“ არის ერთ-ერთი ბარი ქალაქ ქუთაისში. ნინო სართანია და მისი მეგობარი ბიჭი, ერეკლე ნარმანია, ამ ბარის მუდმივი კლიენტების იყვნენ ბოლო ორი წლის განმავლობაში. ისინი ბარს ხშირად სტუმრობდნენ, სულ ცოტა ორ-სამჯერ კვირაში, ლუდის დასალევად და საცეკვაოდ. 2012 წლის 2 მარტს ბარში ყოფნის დროს ნინო სართანიას და ერეკლე ნარმანიას ერთმანეთში უთანხმოება მოუვიდათ იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ გადაიხდიდა ბინის ქირას და კომუნალურ გადასახადებს ბინაში, რომელშიც ისინი ერთად ცხოვრობდნენ. უთანხმოების შემდეგ, ერეკლე ნარმანია და ნინო სართანია ერთმანეთს აღარ დალაპარაკებია. ერეკლე ნარმანიამ იმ საღამოს დარჩენილი ნაწილი გაატარა ბარის ახალ კლიენტთან – თამარ გამცემლიძესთან ერთად.

შემდეგ კვირას ნინო სართანია და ერეკლე ნარმანია ერთმანეთს დაშორდნენ. ერეკლე ნარმანია საცხოვრებლად გადავიდა თამარ გამცემლიძესთან. სამივე აგრძელებდა ბარში სიარულს. ნინო სართანია განაწყენებული იყო ერეკლე ნარმანიასთან დაშორების გამო.

2011 წლის 13 აპრილს, თამარ გამცემლიძე, ერეკლე ნარმანია და ნინო სართანია იმყოფებოდნენ „ბუდა“ ბარში. ისინი სვამდნენ და ცეკვავდნენ. 11 საათს რომ ცოტა გადაშორდა, თამარ გამცემლიძემ ბოდიში ითხოვა ქალთა საჭირო ოთახში გასასვლელად. საჭირო ოთახში ყოფნისას მას გაახსენდა, რომ თან არ ჰქონდა ტუჩსაცხი და გარეთ გავიდა ავტოსადგომზე. ავტოსადგომზე მას შეხვდა ნინო სართანია. მათ ერთმანეთს ყვირილი დაუწყეს. ამ დაპირისპირების დროს, ნინო სართანიამ ამოიღო დანა და ღრმა, ნაკვეთი ჭრილობა მიაყენა თამარ გამცემლიძეს მარცხენა ხელზე.

როდესაც ეს დაპირისპირება დაიწყო ავტოსადგომზე, ბარმენი შალვა ჯოხაძე გარეთ იმყოფებოდა და ლუდის ბოთლებს ტვირთავდა. მან

დაინახა ეს შეხლა-შემოხლა. დაპირისპირების დროს ერეკლე ნარმანია გარეთ გამოიქცა და მანაც ისიც შეესწრო ინციდენტის გარკვეულ ნაწილს. შალვა ჯოხაძე სატვირთო მისადგომის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იმყოფებოდა, როცა ინციდენტს უყურებდა. ეს ადგილი დაახლოებით 40 მეტრითაა დაშორებული შემთხვევის ადგილიდან.

შალვა ჯოხაძემ და ერეკლე ნარმანიამ ქალების ერთმანეთისგან გააშველეს. ვილაცამ გამოუძახა პოლიციას და სასწრაფო დახმარებას. თამარ გამცემლიძე წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მას ჭრილობა გაუსუფთავეს და 30 ნაკერი დაადეს. ადგილზე მოვიდნენ პოლიციის ოფიცრები ზაზა ნიორაძე და ნანა ვადახარია, რომლებმაც ნინო სართანია დააკავეს. ოფიცერმა ვადახარიამ განმარტებები ჩამოართვა შალვა ჯოხაძეს, ერეკლე ნარმანიას და ნინო სართანიას შემთხვევის ადგილზე. მანვე ამოიღო დანა, რომელიც ნინო სართანიამ გამოიყენა. შემთხვევის ადგილზე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ ოფიცერმა ზაზა ნიორაძემ ნინო სართანია წინასწარი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანა, ხოლო ოფიცერი ვადახარია წავიდა საავადმყოფოში, სადაც ესაუბრა თამარ გამცემლიძეს და ფოტოსურათებზე დააფიქსირა მისი ჭრილობა.

თამარ გამცემლიძე თავის ჩვენებაში იტყვის, რომ ის გავიდა ავტოსადგომზე მანქანიდან ტუჩსაცხის წამოსაღებად და სწორედ სანამ მანქანასთან მივიდოდა, გაიგონა, რომ სახელით დაუძახეს. მოიხედა და დაინახა ბარიდან გამომავალი ნინო სართანია. ნინო სართანია მასთან მივიდა და უყვიროდა, ერეკლე ნარმანია წამართვიო. როდესაც მან წასვლა სცადა, ნინო სართანიამ იგი ადგილზე დაატრიალა და დანა ამოიღო. ნინო სართანიამ მას წინ დანის ტრიალი დაუწყო. თამარ გამცემლიძემ იკივლა. ნინო სართანია მასთან ახლოს მივიდა და მარცხენა ხელში დაჭრა. ის იტვის ასევე, რომ ის ნინო სართანიას საერთოდ არ შეხებია, სანამ ნინო სართანია მას დაჭრიდა და არც გაზის ბალონი გამოუყენებია მის წინააღმდეგ.

ნინო სართანია თავის ჩვენებაში იტყვის, რომ ის გარეთ გამოჰყვა თამარ გამცემლიძეს ბარიდან, რადგან მასთან დალაპარაკება სურდა ერეკლე ნარმანიასთან დაკავშირებით. როდესაც მან სცადა თამარ გამცემლიძესთან დალაპარაკება, თამარ გამცემლიძემ მას ყვირილი და უშვერი სიტყვებით ლანძღვა დაუწყო. თამარ გამცემლიძემ მას უთხრა, აქედან მოშორდიო, ხოლო როდესაც მან უარი თქვა წასვ-

ლაზე, თამარ გამცემლიძემ თავისი მანქანიდან გაზის ბალონი ამოიღო და მას მიასხურა. იგი ცოტა ხნით დაბრმავდა და როდესაც მხედველობა აღუდგა, თამარ გამცემლიძეს იგი თავით ჰყავდა დათრეული ილლიის ქვეშ. ნინო სართანია იტყვის, რომ მას სუნთქვა შეეკრა და ველარ სუნთქავდა. ის თითქმის სულს ლაფავდა, რა დროსაც ამოიღო დანა და დაჭრა თამარ გამცემლიძე თავდაცვის მიზნით. ნინო სართანია ამბობს, რომ მას დანა დააქვს ფეხზე მიკრულ მდგომარეობაში ჯინსის ქვეშიდან.

შალვა ჯოხაძე თავის ჩვენებაში იტყვის, რომ ერეკლე ნარმანიასთან დაშორების შემდეგ ნინო სართანიამ მას უთხრა, რომ ძალიან აღელვებული იყო, მაგრამ ზუსტად ვერ იხსენებს, თუ რა სიტყვები უთხრა ნინო სართანიამ მას. ის იტყვის აგრეთვე, რომ ის იმყოფებოდა ავტოსადგომზე და ტვირთავდა ლუდის ბოთლებს, როდესაც მოესმა კამათი და უშვერი სიტყვები. ავტოსადგომი კარგად იყო განათებული და, როდესაც მან გაიხედა საიდანაც კამათის ხმა მოდიოდა, დაინახა, რომ თამარ გამცემლიძეს ნინო სართანია თავით ჰყავდა დაჭერილი ილლიაში. ამის შემდეგ მან დაინახა, რომ ნინო სართანიამ ამოიღო დანა და ხელში დაჭრა თამარ გამცემლიძე. თამარ გამცემლიძემ იმწამსვე გაუშვა ხელი ნინო სართანიას და ნინო სართანიამ უკან დაიხია. მან მიიღბინა მოჩხუბართა გასაშველებლად და სასწრაფოს გამოსაძახებლად. როდესაც ადგილზე მივიდა, თამარ გამცემლიძეს ჭარბად სდიოდა სისხლი ხელიდან და მან დაიყვირა, ვილაცამ სასწრაფოს გამოუძახეთო. ის თავის ჩვენებაში იტყვის ასევე, რომ ერეკლე ნარმანიამ დალია 7-8 კათხა ლუდი იმ სალამოს და, მისი აზრით, ერეკლე ნარმანია ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში იყო.

ერეკლე ნარმანია თავის ჩვენებაში იტყვის, რომ ის იმყოფებოდა ბარში, როდესაც გაიგონა ყვირილის ხმა და იმწამსვე გაიქცა გარეთ. როდესაც ავტოსადგომზე მივიდა, დაინახა ნინო სართანია, რომელიც დანას ატრიალებდა, შემდეგ კი დაჭრა თამარ გამცემლიძე ხელში. მან გაიგონა ნინო სართანიას ყვირილი: „კიდევ გინდა, ძუკნა?“ მან დაინახა, რომ მოვიდა შალვა ჯოხაძე მოჩხუბრების გასაშველებლად. ერეკლე ნარმანია ასევე იტყვის, რომ იმ პერიოდში, როდესაც ის ნინო სართანიასთან ცხოვრობდა, მას ნინო სართანია უნახავს ორ სხვა ჩხუბში, რომელთაგან ერთ-ერთის დროს მან დანით დაჭრა გოგო, რომელსაც ერჩუბებოდა. ნინო სართანიამ რამდენჯერმე უთხრა მას, რომ ის „აჩეხავდა ყველას, ვინც მისი კაცის წართმევას შეეცდებოდა“.

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

### საქმის აღწერილობა

ნინო სართანიას ბრალი წარედგინა ცივი იარაღით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით. იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს.

### მონმეები

ბრალდების მხარე: თამარ გამცემლიძე, ერეკლე წარმანია

დაცვის მხარე: ნინო სართანია, შალვა ჯოხაძე

### საჩვენებელი მასალები

ავტოსადგომის სქემა

დანა

ჭრილობის ფოტოსურათი

გაზის ბალონი

### სავალდებულო წესით წარდგენილი დამატებითი დოკუმენტები

წინასასამართლო სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი

პოლიციის ოქმი (მხარეები დააფიქსირებენ თავიანთ პოზიციას პოლიციის ოქმის დასაშვებობასთან დაკავშირებით)

## პოლიციის ოქმი

**დაკავებული პირი: ნინო სართანია**

**წარდგენილი ბრალი:** დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით

**დაკავების დრო:** 13 აპრილი 2011წ.

**შემთხვევის დრო:** 13 აპრილი 2011წ.

**შემთხვევის აღწერილობა:** 2011 წლის 13 აპრილს ოფიცერი ზაზა ნიორაძე და მე პატრულირებას ვახორციელებდით ქუთაისში. დაახლოებით 11:45 საათზე, ჩვენ მივიღეთ შეტყობინება დისპეჩერისგან „ბუდა“ ბარში ჩხუბის შესახებ. მისვლისას ჩვენ ვნახეთ ქალბატონი, რომელიც შემდგომ დადგინდა, რომ იყო თამარ გამცემლიძე, რომელიც მარცხენა ხელში იყო დაჭრილი. ხელი მას შეხვეული ჰქონდა და მინაზე იწვა, როდესაც ჩვენ მივედით. ჩვენი მისვლიდან რამდენიმე წუთში მოვიდა სასწრაფო დახმარების მანქანა და დაჭრილი ქალბატონი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

წინასწარი გამოძიებით ჩვენ გამოვავლინეთ ინციდენტის ორი მონამე: ერეკლე ნარმანია და შალვა ჯოხაძე. ორივე მათგანი დაკითხულია.

შალვა ჯოხაძემ განაცხადა, რომ ის მუშაობს „ბუდა“ ბარში ბარმენად. ის იმყოფებოდა ავტოსადგომზე და ტვირთავდა ლუდის ბოთლებს, როდესაც გაიგონა კამათი და უშვერი სიტყვებით ლანძღვა. მან გაიხედა და დაინახა, რომ რომ თამარ გამცემლიძეს ნინო სართანია თავით ჰყავდა დაჭრილი ილიაში. შემდეგ მან დაინახა, რომ ნინო სართანიამ ამოიღო დანა და თამარ გამცემლიძე ხელში დაჭრა. ამის შემდეგ თამარ გამცემლიძემ ნინო სართანია გაუშვა და ნინო სართანიამ უკან დაიხია. ის გაიქცა მოჩხუბრების გასაშველებლად და დახმარების გასაწევად. როდესაც ის ადგილზე მივიდა. თამარ გამცემლიძეს ჭარბად სდიოდა სისხლი ხელიდან. მან ამოიღო ცხვირსახოცი და ჭრილობასთან გადაუჭირა. მან დაიძახა, ვინმემ დარეკეთ დასახმარებლად.

შალვა ჯოხაძის თქმით, ნინო სართანია ბარის მუდმივი კლიენტია და



ცხოვრობდა ერეკლე ნარმანიასთან, სანამ დაახლოებით 6 კვირის წინ ისინი ერთმანეთს დაშორდებოდნენ. შალვა ჯოხაძის განცხადებით, დაზარალებული თამარ გამცემლიძე არის ერეკლე ნარმანიას ახალი მეგობარი გოგონა.

შალვა ჯოხაძემ განაცხადა, რომ მან გამოართვა დანა წინო სართანის ინციდენტის შემდეგ, რადგან ის შიშობდა, კიდეც არ მომხდარიყო რაიმე ძალადობა. დანა გადმოგვეცა ჩვენ და ჩვენ მოვახდინეთ მისი კონსერვაცია. შალვა ჯოხაძემ თანხმობა განაცხადა წერილობითი განმარტების მოცემაზე.

დაიკითხა ერეკლე ნარმანია. მან განაცხადა, რომ ის იყო ბარში, როდესაც გაიგონა ყვირილის ხმა. ის იმწამსვე გაიქცა გარეთ. როდესაც ის ავტოსადგომზე გავიდა, მან დაინახა სისხლი თამარ გამცემლიძის ხელზე, ხოლო წინო სართანია ყვიროდა და თამარ გამცემლიძისკენ იწევდა, თან ველურად ატრიალებდა დანას. მან გაიგონა, რომ წინო გამცემლიძე ყვიროდა: „კიდეც გინდა, ძუკნა?“ ამ დროს შალვა ჯოხაძე მოვიდა და მოჩხუბრები გააშველა.

ერეკლე ნარმანიას თქმით, ის ცხოვრობდა წინო სართანისთან დაახლოებით ორი წელი, წინა წლის მარტამდე. მისი თქმით, მათ შორის მოხდა უთანხმოება საცხოვრებელი ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით და ის წამოვიდა წინო სართანისგან. როგორც თავად განაცხადა, ამჟამად ის ცხოვრობს თამარ გამცემლიძესთან. წინო სართანისთან ცხოვრების პერიოდში მას წინო სართანია უნახავს ორ სხვა ჩხუბში, რომელთაგან ერთ-ერთის დროს მან დანა იხმარა და დაჭრა გოგო, რომელსაც ეჩხუბებოდა. მან ასევე განაცხადა, რომ წინო სართანიამ რამდენჯერმე უთხრა მას, რომ ის „აჩეხავდა ყველას, ვინც მისი კაცის წართმევას შეეცდებოდა“. ერეკლე ნარმანიას ეთხოვა წერილობითი განმარტების ხელმოწერით დადასტურება, რაზეც მან უარი განაცხადა და თქვა, რომ არაფერს მოაწერს ხელს, სანამ არ დაელაპარაკება თავის ადვოკატს.

წინო სართანია დაკავებულია. მისთვის მისი კონსტიტუციური უფლებების გაცნობის შემდეგ, მან მოგვცა განმარტება, რომელიც ამ ოქმს თან ერთვის.

შემთხვევის ადგილზე ჩვენს მიერ საგამოძიებო მოქმედებების ჩატ-

არების შემდეგ ოფიცერმა ზაზა ნიორაძემ ნინო სართანია გადაიყვანა წინასწარი მოთავსების იზოლატორში, ხოლო მე წავედი ქუთაისის საქალაქო საავადმყოფოში თამარ გამცემლიძის დასაკითხად. საავადმყოფოში მე მოკლედ ვესაუბრე ექიმს, რომელმაც განაცხადა, რომ ქრილობა გაასუფთავა და დაადო 30 ნაკერი. ამის შემდეგ მე ქრილობა დავაფიქსირე ფოტოსურათებზე.

თამარ გამცემლიძემ განაცხადა, რომ ის ავტოსადგომზე გავიდა მანქანიდან ტუჩსაცხის მოსატანად. სანამ ის მანქანამდე მივიდოდა, გაიგონა, რომ ვიღაცამ სახელით დაუძახა. ის მოტრიალდა და დაინახა ბარიდან გამომავალი ნინო სართანია. ნინო სართანიამ მას „ძუკნა“ და შემდეგ „ბოზი“ უწოდა და ერეკლე წარმანიას წართმევაში დაადანაშაულა. როდესაც თამარ გამცემლიძემ წასვლა დააპირა, ნინო სართანიამ იგი ადგილზე მოატრიალა და დანა ამოიღო. ნინო სართანიამ ველურად დაიწყო დანის ტრიალი, რაზეც თამარ გამცემლიძემ იკივლა. ნინო სართანია მასთან ახლოს მივიდა და დაჭრა მარცხენა ხელში. თამარ გამცემლიძის თქმით, მან შეიძლება დაუყვირა ნინო სართანიას, მაგრამ შეხებით საერთოდ არ შეხებია.

თამარ გამცემლიძის თქმით, იმ ღამეს, ინციდენტის მოხდენამდე, მას დალეული ჰქონდა სამი ან ოთხი კათხა ლუდი, მაგრამ მთვრალი არ იყო. მისი თქმით ის იწონის 57 კილოგრამს და მისი სიმაღლეა 175 სანტიმეტრი.

ერეკლე წარმანიას მანქანას რეგისტრაციის ვადა გასული ჰქონდა. კომპიუტერულმა შემოწმებამ აჩვენა, რომ მასზე გამოწერილია ძალაში მყოფი გაფრთხილება ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვასთან დაკავშირებით. მანქანა ამოღებულ იქნა. მანქანის წვრილმანი ნივთების განყოფილების ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ქალის საფულეში მდებარე კოკაინის მცირე პაკეტი, მაგრამ სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია საფულეში აღმოჩენილი არ იქნა. დამატებით სხვა ბრალდება წარდგენილი არ არის. მანქანის გვერდით, წყლის გუბებში ნაპოვნია გაზის ბალონი. გაზის ბალონიდან თითის ანაბეჭდების აღება ვერ მოხერხდა.

თარიღი. 14 აპრილი 2011წ.

გიორგი ვადახარია

## შალვა ჯოხაძის განმარტება

მე, შალვა ჯოხაძე, ნებაყოფლობით ვაცხადებ შემდეგს:

ვცხოვრობ ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის 12-ში. ვარ 32 წლის და ვმუშაობ ბარმენად ქუთაისში, ბარში სახელწოდებით „ბუდა“. ამ თანამდებობაზე ვმუშაობ ბოლო 6 წელია.

ერეკლე ნარმანიას და ნინო სართანიას ვიცნობ მას შემდეგ, რაც მათ დაინყეს „ბუდა“ ბარში სიარული 4 წლის წინ. ისინი მუდმივი კლიენტები არიან და, როგორც წესი, კვირაში სამ-ოთხჯერ სტუმრობენ ბარს ლუდის დასალევად და საცეკვაოდ. ერეკლე ნარმანია საკმაოდ მსმელი კაცია და, როცა შემოდის, ჩვეულებრივ, 7 კათხა ლუდს მიირთმევს ხოლმე.

ერეკლე ნარმანია და ნინო სართანია ერთად ცხოვრობდნენ რამდენიმე წელი, სანამ ისინი დაშორდებოდნენ, რაც მარტის თვეში მოხდა. ნინო სართანია ძალიან განაწყენებული იყო და მითხრა, ერეკლე ნარმანიას ახალ მეგობარ გოგონასთან, თამარ გამცემლიძესთან შეგუებაც კი შემიძლიაო. მან მითხრა: „ამ ძუენასაც კი შევეგუები“. იმ საღამოს, როდესაც მან ეს თქვა, მან ხუთი თუ ექვსი კათხა ლუდი დალია და გავიფიქრე, ალბათ ლუდი ალაპარაკებს-თქო და ამაზე მეტი აღარ მიფიქრია. ნინო სართანიას არასოდეს შეუქმნია რაიმე არეულობა „ბუდა“ ბარში.

თამარ გამცემლიძე ბარის ახალი სტუმარია. მე მას კარგად არ ვიცნობ. ის საკმაოდ წყნარი ჩანს, მაგრამ დიდ ყურადღებას იპყრობს მისი შესახედაობის და ცეკვის უნარის გამო. ის ძალიან კარგი მოცეკვავეა.

13 აპრილს მე გავედი ავტოსადგომზე რომ გადმომეტვირთა ლუდის ბოთლები. ამ დროს მომესმა კამათი და უშვერი სიტყვები იქით, ავტოსადგომზე. ბნელოდა და მხედველობა ჭირდა. დავინახე, რომ თამარ გამცემლიძემ ხელებით დაიჭირა ნინო სართანია და მისი თავი ილლიის ქვეშ მოიქცია. ნინო სართანია თავის გათავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ თამარ გამცემლიძეს იგი ძლიერად ეჭირა. შემდეგ დავინახე, რომ ნინო სართანიამ ამოიღო დანა და ხელში ჩაართვა თამარ გამცემლიძეს. ეს ყველაფერი წამებში მოხდა. მე მივირბინე მოჩხუბრების

გასაშვებელად. როდესაც მივედი, თამარ გამცემლიძეს ნინო სართანია უკვე გაშვებული ჰყავდა და ის უკან იხევდა. ნინო სართანია გაშვებულივით იყო. მე დანა ავიღე და დავიყვირე, ვინმემ სასწრაფო გამოუძახეთ-თქო. ამ დროს თამარ გამცემლიძეს უხვად მოსდიოდა სისხლი ხელიდან. მე ვშიშობდი, სისხლისგან არ დაიცალოს-თქო. მე ის მინაზე დავანვინე, ამოვიღე ჩემი ცხვირსახოცი და გადაუჭირე, რომ სისხლდენა შეემჩერებინა. დაახლოებით ამ დროს ერეკლე ნარმანიამ მოირბინა და ნინო სართანიას დაუწყო ყვირილი.

რამდენიმე წუთში მოვიდა პოლიცია, ხოლო მის შემდეგ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა. მე ნამდვილად არ ვიცი, რამდენი დალია თამარ გამცემლიძემ ან ნინო სართანიამ იმ ღამეს. არც ერთი არ ჩანდა მთვრალი.

შეგნებული მაქვს რა პასუხისმგებლობა ცრუ ჩვენების მიცემის გამო, ვადასტურებ, რომ ეს განმარტება არის ნამდვილი და სწორი.

თარიღი: 13 აპრილი 2011წ.

შალვა ჯოხაძე

### **ნინო სართანიას განმარტება**

მე, ნინო სართანია, ნებაცოფლობით ვიძლევი შემდეგ განმარტებას.

ვცხოვრობ ქალაქ ქუთაისში, ალავერდის 65-ში. ამჟამად ვმუშაობ მოლარედ მაღაზია პოპულიში, ქუთაისში.

ერეკლე ნარმანიას ვიცნობ დაახლოებით ხუთი წელია. მე მასთან სამი წელი ვცხოვრობდი, სანამ დავშორდებოდი, რაც მარტში მოხდა. ჩვენ დავშორდით, რადგან კამათი გვექონდა ჩვენ საცხოვრებელ ხარჯებთან დაკავშირებით. მე თავსაც ვირჩენდი და ერეკლე ნარმანიასაც ვარჩენდი. ამიტომ ჩავთვალე, დრო იყო, რომ მასაც ეშოვნა რაიმე სამუშაო. ის უმუშევარი იყო უკვე 6 თვის განმავლობაში და არც ცდილობდა სამსახურის შოვნას. როდესაც ჩვენ დავშორდით, ის თამარ გამცემლიძესთან გადავიდა საცხოვრებლად.

თამარ გამცემლიძეს მე არ ვიცნობ, მაგრამ მე ის მინახავს „ბუდა“ ბარში რამდენჯერმე. მე და ერეკლე ნარმანია ამ ბარში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში დავდიოდით. კვირაში სამჯერ ან ოთხჯერ მივდიოდით, ლუდს ვსვამდით და ვცეკვავდით.

როდესაც ერეკლე ნარმანია და მე ერთმანეთს დავშორდით, მე ნაღვლიანად ვიყავი, მაგრამ თამარ გამცემლიძეს არასოდეს დავმუქრებოვარ. შეიძლება მის შესახებ არასასიამოვნო შენიშვნები გამომითქვამს, მაგრამ მე მას არასოდეს დავმუქრებოვარ. მე არასოდეს მითქვამს მისთვის, ამ ძუკნასაც შევეგუები-თქო.

2011 წლის 13 აპრილს მე ვნახე ერეკლე ნარმანია და თამარ გამცემლიძე „ბუდა“ ბარში. დავინახე, რომ თამარ გამცემლიძე ქალთა საჭირო ოთახში წავიდა, შემდეგ კი ბარიდან გავიდა. ერეკლე ნარმანია სვამდა და მე მინდოდა თამარ გამცემლიძე გამეფრთხილებინა ერეკლე ნარმანიას სიმთვრალესთან დაკავშირებით. მე მას გარეთ გავყევი. როცა მას სახელით დავუძახე, მან ყვირილი დამიწყო. არ მახსოვს, რა სიტყვებს მეუბნებოდა. ჩვენ კამათი დავინწყეს ერთმანეთში. ერთმანეთს ხელს ვკრავდით. თამარ გამცემლიძემ მანქანიდან გაზის ბალონი ამოიღო და შემასხურა. მე დავბრმავდი და თამარ გამცემლიძემ თავით მომიქცია იღლიის ქვეშ. ვცდილობდი თავის გათავისუფლებას, მაგრამ უშედეგოდ. ამ დროს ამოვიღე დანა იმ აზრით, რომ ვაჩვენებ და გამიშვებს-თქო. ამ ჭიდაობაში მე იგი შემთხვევით ხელში დავჭერი. შოკში ჩავვარდი, სისხლი რომ დავინახე. მანამდე არავინ დამიჭრია. ამ დროს შალვა ჯოხაძე მოვიდა და გაგვაშველა.

მე დანა დამაქვს თავდაცვის მიზნით. „ბუდა“ ბარში საკმაოდ უხეში ხალხი იყრის თავს. მე არასოდეს დამიჭრია ვინმე და არც არავის დავმუქრებოვარ დაჭრით. მე არასოდეს მითქვამს ერეკლე ნარმანიასთვის, ყველას ავჩეხავ, ვინც ჩემი კაცის წართმევას ეცდება-თქო.

შეგნებული მაქვს რა პასუხისმგებლობა ცრუ ჩვენების მიცემის გამო, ვადასტურებ, რომ ეს განმარტება არის ნამდვილი და სწორი.

თარიღი: 13 აპრილი 2011 წ.

ნინო სართანია

## ნინო სართანიას სისხლის სამართლის საქმე

### წინასასამართლო სხდომა

1 აგვისტო 2011წ.

### ერეკლე ნარმანიას ჩვენება

ერეკლე ნარმანიამ, დადგენილი წესით ფიცის დადების შემდეგ, მისცა შემდეგი ჩვენება:

#### პირდაპირი დაკითხვა

კითხვა: გთხოვთ, ოქმში დასაფიქსირებლად, თქვით თქვენი სახელი.

პასუხი: ერეკლე ნარმანია.

კითხვა: სად ცხოვრობთ?

პასუხი: აღმაშენებლის 39-ში.

კითხვა: მუშაობთ?

პასუხი: დიას, ვმუშაობ ქალაქ ქუთაისში, კომპანია „სწრაფ პრო-ფილაქტიკაში“ მენეჯერად.

კითხვა: იცნობთ თუ არა ბრალდებულ ნინო სართანიას?

პასუხი: დიას. მე მას ვიცნობ ხუთი თუ ექვსი წელია.

კითხვა: იცნობთ თუ არა თამარ გამცემლიძეს?

პასუხი: დიას. ის ჩემი მეგობარი ქალია და ჩვენი ერთად ვცხოვრობთ.

კითხვა: 2011 წლის 13 აპრილს იყავით თუ არა თქვენ ქალაქ ქუთაისში, ბარში სახელწოდებით „ბუდა“?

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

პასუხი: დიას.

კითხვა: ვინმესთან ერთად იყავით წასული?

პასუხი: დიას. მე და თამარ გამცემლიძე წავედით ერთად.

კითხვა: რაიმე უჩვეულო მოხდა იმ საღამოს?

პასუხი: დიას. ნინო სართანია თავს დაესხა თამარ გამცემლიძეს.

კითხვა: სად მოხდა ეს?

პასუხი: ავტოსადგომზე.

კითხვა: პირველად როგორ შეიტყვეთ ამ ინციდენტის შესახებ?

პასუხი: მე ვიყავი ბარში და სწორედ მაშინ გამოვდიოდი მამაკაცების საჭირო ოთახიდან. მე გავიგონე ყვირილი და კივილი გარეთ და გავიქეცი, რომ მენახა რა ხდებოდა.

კითხვა: რა დაინახეთ, როდესაც გარეთ გახვედით?

პასუხი: დავინახე სისხლი თამარ გამცემლიძის ხელზე.

კითხვა: ნინო სართანიას ან თამარ გამცემლიძეს ხომ არ უთქვამთ რაიმე?

პასუხი: ვერ ვიხსენებ.

კითხვა: შემდეგ რა მოხდა?

პასუხი: შალვა ჯოხაძე, ბარმენი, მოვიდა და გააშველა ქალები. მან დანა წაართვა ნინო სართანიას და დაიყვირა, ვინმემ სასწრაფოს გამოუძახეთო.

კითხვა: თქვენ რა ქენით?



*პასუხი:* მე თამარ სართანიასთან გავიქეცი და მის დამშვიდებას ვცდილობდი. რამდენიმე წუთის შემდეგ სასწრაფო სამედიცინო დახმარება მოვიდა და ის საავადმყოფოში წაიყვანა. მეც მას გავყევი სასწრაფოს მანქანით.

*კითხვა:* 13 აპრილამდე ოდესმე გინახავთ ნინო სართანია ჩხუბში?

*პასუხი:* დიახ. მე მინახავს ის ორ სხვა ჩხუბში.

*კითხვა:* როდის მოხდა ეს ჩხუბები?

*პასუხი:* ორი-სამი წლის წინ. ზუსტი თარიღი არ მახსოვს.

*კითხვა:* სად მოხდა ეს ჩხუბები?

*პასუხი:* პირველი მოხდა ზუსტად მისი ბინის წინ, ხოლო მეორე „ბუდა“ ბარის ავტოსადგომზე.

*კითხვა:* რომელიმე ამ ორ ჩხუბში მას დანა თუ გამოუყენებია?

*პასუხი:* დიახ, მეორე ჩხუბის დროს.

*კითხვა:* თქვენი ინფორმაციით, მას დანა თან დააქვს?

*პასუხი:* დიახ. დანა დააქვს ფეხზე მიკრული, ჯინსის უსახელო ყილეტის ქვეშ.

*კითხვა:* თუ გაგიგონიათ ოდესმე, რომ ნინო სართანია ვინმეს ემუქრებოდა, დანით დაგჭრიო?

*პასუხი:* გამიგონია. რამდენჯერმე, იმ დროს, როცა ერთად ვცხოვრობდით, მან თქვა, რომ ვინც ეცდებოდა მისი კაცის წართმევას, ყველას აჩეხავდა.

*კითხვა:* თქვენს გარდა სხვა ვინმე თუ იყო მაშინ იქ, როდესაც მან ეს თქვა?

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

პასუხი: არა.

პროკურორი: ჩვენ მეტი შეკითხვა არ გვაქვს.

### ჯვარედინი დაკითხვა

კითხვა: თქვენ განაცხადეთ, რომ ნინო სართანიას იცნობთ ხუთი თუ ექვსი წელია. მართალია?

პასუხი: დიახ.

კითხვა: მართალია, რომ თქვენ ნინო სართანიასთან ცხოვრობდით ორი წლის განმავლობაში 2011 წლის მარტამდე?

პასუხი: დიახ.

კითხვა: თქვენ და ნინო სართანია დაშორდით მარტის თვეში?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ამ დროს თქვენ გამოხვედით მისი ბინიდან?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ვიდრე ერთმანეთს დაშორდებოდით, თქვენ და ნინო სართანიას გქონიათ თუ არა უთანხმოება ერთმანეთს შორის ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ფაქტიურად, მარტში თქვენ უმუშევარი იყავით და თქვენი წვლილი არ შეგქონდათ ცხოვრების ხარჯების დაფარვაში. ასეა?

პასუხი: იცით, მე შემამცირეს სამუშაოზე და ახალ სამუშაოს ვეძებდი მაშინ.

კითხვა: იყავით თუ არა თქვენ გაბრაზებული ნინო სართანიაზე იმიტომ, რომ მან ბინიდან გამოგაგდოთ?

პასუხი: ასე ვთქვათ.

კითხვა: 13 აპრილს თქვენ რამე დალიეთ?

პასუხი: დიას, რამდენიმე ბოთლი ლუდი.

კითხვა: თამარ გამცემლიძემ, მანაც დალია რამე?

პასუხი: ლუდს სვამდა, მაგრამ არ ვიცი რამდენი დალია.

კითხვა: ნინო სართანიას ბინიდან გამოსვლის შემდეგ თამარ გამცემლიძესთან გადახვედით საცხოვრებლად?

პასუხი: დიას.

კითხვა: და ეს მაშინვე, როდესაც ნინო სართანიას ბინიდან გამოხვედით?

პასუხი: დიას.

კითხვა: 13 აპრილს, სანამ თქვენ ავტოსადგომზე მიირბენდით, გაიგეთ ყვირილი და კივილი?

პასუხი: დიას.

კითხვა: ეს ქალების ხმა იყო?

პასუხი: დიას.

კითხვა: ხმები იცანით?

პასუხი: მე ვიცანი თამარ გამცემლიძის ხმა.

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

კითხვა: გახსოვთ, რა ყვიროდა?

პასუხი: არა.

კითხვა: გახსოვთ, მეორე ქალბატონი რას ყვიროდა?

პასუხი: არა.

კითხვა: თუ გახსოვთ, რომელიმე მათგანი უზრდელურ სიტყვებს თუ იძახდა?

პასუხი: დიახ. მგონი ნინო სართანია იძახდა უზრდელურ სიტყვებს, მაგრამ არ მახსოვს რას ამბობდა.

კითხვა: როცა გარეთ გახვედით, თამარ გამცემლიძეს უკვე მოსდიოდა სისხლი ხელიდან?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ესე იგი, თქვენ არ დაგინახავთ, რა მოხდა მანამდე, სანამ თამარ გამცემლიძე დაიჭრებოდა. მართალია?

პასუხი: დიახ, ასეა.

კითხვა: როდესაც ავტოსადგომზე გახვედით, ინტენსიური ყვირილი გესმოდათ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: შალვა ჯოხაძე ყვიროდა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: თამარ გამცემლიძე ყვიროდა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ნინო სართანია ყვიროდა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ძნელი იყო გაგება, ვინ რას ამბობდა?

პასუხი: ასე ვთქვათ.

კითხვა: რომელიმე მომენტში, როდესაც თქვენ ავტოსადგომზე იყავით, თქვენ დაუყვირეთ ნინო სართანიას?

პასუხი: არა.

კითხვა: ამ ინციდენტთან დაკავშირებით გქონიათ თუ არა საუბარი თამარ გამცემლიძესთან?

პასუხი: დიახ.

კითხვა: რამდენჯერ?

პასუხი: სამჯერ თუ ოთხჯერ.

კითხვა: თქვენ არ მოგწონთ ნინო სართანია, ასეა?

პასუხი: დიახ.

დაცვის მხარე: მეტი შეკითხვა არ გვაქვს.

ბრალდების მხარე: მეტი შეკითხვა არ გვაქვს.

## წინო სართანას სისხლის სამართლის საქმე

### წინასამართლო სხდომა

1 აგვისტო 2011წ.

### თამარ გამცემლიძის ჩვენება

თამარ გამცემლიძემ, დადგენილი წესით ფიცის დადების შემდეგ, მის-  
ცა შემდეგი ჩვენება:

#### პირდაპირი დაკითხვა

კითხვა:ოქმში დაფიქსირების მიზნით, გთხოვთ თქვათ თქვენი სახელი.

პასუხი: თამარ გამცემლიძე.

კითხვა: ამჟამად სად ცხოვრობთ?

პასუხი: ქალაქ ქუთაისში, აღმაშენებლის 39-ში.

კითხვა: სად მუშაობთ?

პასუხი: კბილის ტექნიკოსად ვმუშაობ.

კითხვა: 2011 წლის 13 აპრილზე რომ გადავიტანოთ თქვენი ყურადღე-  
ბა, იყავით თუ არა ბარში სახელწოდებით „ბუდა“?

პასუხი: დიახ.

კითხვა: სად მდებარეობს ბარი „ბუდა“?

პასუხი: ქალაქ ქუთაისში, აღმოსავლეთის გზაზე.

კითხვა: თან გახლდათ ვინმე?

პასუხი: დიახ, ჩემი მეგობარი მამაკაცი, ერეკლე ნარმანია.

კითხვა: რა დროს მიხვედით ბარში?

პასუხი: დაახლოებით საღამოს ათის ნახევარზე ან ათ საათზე.

კითხვა: რაიმე უჩვეულო თუ მოხდა იმ საღამოს?

პასუხი: დიახ, ნინო სართანია დამესხა თავს.

კითხვა: სად მოხდა ეს?

პასუხი: ავტოსადგომზე.

კითხვა: რას აკეთებდით ავტოსადგომზე მისვლამდე?

პასუხი: ქალების საჭირო ოთახში გავედი დაახლოებით 11 საათზე. გამახსენდა, რომ ჩემი ტუჩსაცხი დამრჩა მანქანაში. გავედი მანქანასთან, რომ ტუჩსაცხი ამომელო და ამ დროს მომესმა, რომ ვიღაცამ შემაგინა. მოვტრიალდი და დავინახე, რომ ნინო სართანია მაგინებდა.

კითხვა: თქვენ ეხლა ხედავთ ნინო სართანიას სასამართლო დარბაზში?

პასუხი: დიახ.

კითხვა: თუ შეიძლება, გვაჩვენეთ და გვითხარით, რა აცვია მას.

პასუხი: ის არის ჩემგან მარჯვნივ და აცვია წითელი კაბა.

კითხვა: თუ შეიძლება, ოქმში დავაფიქსიროთ, რომ მოწმემ ამოიცნო ბრალდებული?

სასამართლო: დიახ, ეს დაფიქსირდება ოქმში.



ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

კითხვა: რას გეუბნებოდით ნინო სართანია?

პასუხი: არ მახსოვს.

კითხვა: თქვენ რა ჰქენით?

პასუხი: მოვტრიალდი და ვუთხარი წასულიყო.

კითხვა: შემდეგ რა მოხდა?

პასუხი: ის მომიახლოვდა და მითხრა, რომ ჩემთან უნდა დალაპარაკება ერეკლე წარმანიასთან დაკავშირებით. მე ვუთხარი, რომ სალაპარაკო არაფერი იყო და შევეცადე წავსულიყავი. ის აგრძელებდა ყვირილს.

კითხვა: თქვენ უპასუხეთ?

პასუხი: დიახ, ხელი ვკარი.

კითხვა: რატომ გააკეთეთ ეს?

პასუხი: ის მთვრალი ჩანდა, ამიტომ ვიფიქრე, ყველაზე უკეთესი იქნება, თუ გავეცლები და მანქანაში ჩავჯდები-თქო. მე დავაპირე ბარისკენ წასვლა, მაგრამ მან ხელით დამიჭირა და ადგილზე დამატრიალა.

კითხვა: თქვენ მას შეეხეთ რამენაირად, სანამ თვითონ მოგატრიალებდათ?

პასუხი: მხოლოდ მსუბუქად ვკარი ხელი.

კითხვა: შემდეგ რა მოხდა?

პასუხი: მან დანა ამოიღო და დაიწყო მისი ტრიალი ჩემს წინ.

კითხვა: თქვენ რა ქენით?

**პასუხი:** დავიყვირე და შევეცადე უკან დამეხია, მაგრამ მან მარცხენა ხელში დამჭრა. ამის შემდეგ, ბარმენი შალვა ჯოხაძე მოვიდა და ერთ-მანეთისგან გაგვაშველა.

**კითხვა:** მე ახლა გაჩვენებთ საჩვენებელ მასალას პირველი ნომრით, ამოიცანით?

**პასუხი:** დიახ, ეს არის დანა, რომლითაც მე დავიჭერი.

**კითხვა:** სანამ ნინო სართანია თქვენ დაგჭრიდათ, მანამდე თქვენ მას რაიმენაირად დაემუქრეთ?

**პასუხი:** არა.

**კითხვა:** ჭრილობის გამო თქვენ სამედიცინო დახმარება დაგჭირდათ?

**პასუხი:** დიახ. მე წამიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ჩემს ხელში ჭრილობის დასახურად ოცდაათი ნაკერი დამადეს.

**კითხვა:** მე ახლა გაჩვენებთ საჩვენებელ მასალა ნომერ ორს; ამოიცანით რა არის გამოსახული ამ ფოტოზე?

**პასუხი:** დიახ. ეს არის ფოტო, რომელზეც გამოსახულია ჩემი ხელის სურათი მას შემდეგ, რაც ის ექიმმა დამიმუშავა.

**კითხვა:** ამ სურათზე მოცემული გამოსახულება ნამდვილად და ზუსტად ასახავს თქვენი ხელის მდგომარეობას იმ დროისთვის?

**პასუხი:** დიახ.

**პროკურორი:** თქვენ ღირსებავ, გთხოვთ საჩვენებელი მასალა №1 და №2 დაერთოს მტკიცებულებებს.

**სასამართლო:** წინააღმდეგი ხომ არ არის ვინმე?

**დაცვის მხარე:** არა.

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურისტებისათვის

სასამართლო: ეს მასალები დაერთვება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

პროკურორი: მეტი შეკითხვა არ გვაქვს.

სასამართლო: ჯვარედინი დაკითხვა.

### **ჯვარედინი დაკითხვა**

კითხვა: რამდენი ხანია იცნობთ ერეკლე წარმანიას?

პასუხი: 2011 წლის მარტიდან.

კითხვა: ის თქვენთან ცხოვრობს ამჟამად?

პასუხი: დიახ.

კითხვა: იცნობდით თუ არა თქვენ წინო სართანიას ამ ინციდენტამდე?

პასუხი: მე ის მინახავს „ბუდა“ ბარში, მაგრამ მე მას არ ვიცნობდი.

კითხვა: თქვენ ხომ იცოდით, რომ ის ერეკლე წარმანიას ყოფილი მეგობარი გოგონა იყო?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ფაქტიურად, თქვენ ერეკლე წარმანია წაართვით წინო სართანიას, ასე არაა?

პასუხი: არა.

კითხვა: თქვენ რაიმე დალიეთ 13 აპრილს?

*პასუხი:* ორი ბოთლი ლუდი.

*კითხვა:* როდესაც თქვენ ნინო სართანია დაინახეთ ავტოსადგომზე, თქვენ მას უყვირეთ, ხომ?

*პასუხი:* არა.

*კითხვა:* ავტოსადგომზე თქვენი ყოფნის განმავლობაში, თქვენ როდესმე დაუყვირეთ ნინო სართანიას?

*პასუხი:* არა.

*კითხვა:* თქვენ ხელი ჰკარით ნინო სართანიას?

*პასუხი:* მხოლოდ ერთხელ.

*კითხვა:* თქვენ იგი ხელით დაიჭირეთ?

*პასუხი:* არა.

*კითხვა:* თქვენ იგი თავით დაითრიეთ ილიის ქვეშ?

*პასუხი:* არა.

*კითხვა:* მას შემდეგ, რაც ნინო სართანიამ დანა ამოიღო, მან თქვენ რაიმე გითხრა?

*პასუხი:* არ მახსენდება.

*კითხვა:* თქვენ და ერეკლე ნარმანიამ ამ საქმეზე ისაუბრეთ დღეს სასამართლოში მოსვლამდე?

*პასუხი:* დიახ.

*კითხვა:* რამდენჯერ გისაუბრიათ ამ თემაზე?

ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ძარბველი იურიტებისათვის

*პასუხი:* მხოლო ერთხელ.

*კითხვა:* გაზის ბალონი ხომ არ გამოგიყენებიათ ნინო სართანას მიმართ?

*პასუხი:* არა.

*დაცვის მხარე:* მეტი შეკითხვა არ გვაქვს.

*ბრალდების მხარე:* მეტი შეკითხვა არ გვაქვს.

### მადლობები

საქართველოს სისხლის სამართლაში ადვოკატირების წიგნი ადაპტირებულია ჰერბერტ დ. ბოუმანის მიერ 2005 წელს ჩინელი იურისტებისა და სამართლის სტუდენტებისთვის შედგენილი წიგნის ბაზაზე. იგი ადაპტირებულია იმგვარად, რომ ითვალისწინებს ქართულ რეალობას და შეიცავს მითითებებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე. მე-3 თავი, „საქართველო აკეთებს ცვლილებას: ადვოკატირება საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით“, დაწერილია გიორგი ჩხეიძისა და ჰერბერტ დ. ბოუმანის მიერ სპეციალურად წინამდებარე წიგნისთვის. ამ წიგნთან დაკავშირებით ყველა უფლება და მათი შემადგენელი ნაწილები ეკუთვნის ავტორებს.

წინამდებარე წიგნის შედგენისას გამოყენებულ იქნა შემდეგი ფასდაუდებელი წყაროები:

თავი I	რა არის სამართლიანი სასამართლო? იურიდიული სტანდარტების და პრაქტიკის ძირითადი გზამკვლევი, მარტი 2000წ., იურისტთა კომიტეტი ადამიანის უფლებებისთვის
თავი II	ქრეიგ მ. ბრედლი, სისხლის სამართლის პროცესი: მსოფლიო კვლევა, 1999წ, კაროლინას აკადემიური გამომცემლობა
თავი IV	თომას მოე, უნარები სასამართლო პროცესისთვის, მე-6 გამოცემა, 2002წ, „ასპენ ლო ენდ ბიზნის“. ჩვენს სახელმძღვანელოში მოცემული უნარების თავის სტრუქტურასა და შინაარსზე გავლენა იქონია მოემ, რომლის ნაშრომიც ტიპიური სახელმძღვანელოა შეერთებული შტატების სამართლის სტუდენტებისა და პრაქტიკოსი ადვოკატებისთვის.
თავი V	მისი ღირსება მაქს ამოსი და ჯეფრი ა. ჯოზეფი, მასალები სისხლის სამართლის პროცესისთვის, ათასწლეულის გამომცემა. ჩვენს სახელმძღვანელოში მოცემული იმიტირებული სასამართლო საქმეები ეფუძნება ნაშრომში მასალები სისხლის სამართლის პროცესისთვის მოყვანილ ფაქტობრივ სცენარებს.

## დანართი:

### სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტები

ტრადიციულად, მსოფლიოს სხვადასხვა სამართლის სისტემებში, სისხლის სამართლის საქმეთა გადაწყვეტის პროცესუალური წესები წმინდა და შიდასახელმწიფოებრივ საქმედ მიიჩნეოდა და არა საერთაშორისო ყურადღების ან საერთაშორისო ნორმატიული განვითარების საგნად. ბოლო წლებში ეს მიდგომა შეიცვალა. საერთაშორისო ორგანოები, როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, აგრეთვე მთელი რიგი სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებები ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი ინდივიდუალური უფლება – ადამიანის უფლებები – არის საყოველთაო და ამ უფლებების დაცვისთვის აუცილებელი პროცესუალური წესები უნდა დაინერგოს საყოველთაოდ, ანუ, მათი დანერგვა უნდა მოახდინოს თითოეულმა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივმა მართლმსაჯულების სისტემამ. ამ მტკიცების შედეგად განვითარდა რიგი საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და გარანტიებისა ანუ „სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები“, რომლებიც, ბევრის მტკიცებით, გამოყენებული უნდა იქნას ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეში, იქნება ის საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი.

საერთაშორისო სასამართლოებმა, როგორცაა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, ყოფილი იუგოსლავიის და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, კიდევ უფრო მეტი წონა შემატეს პოზიციას, რომ სამართლიანი სასამართლოს აღნიშნული სტანდარტები მიღებულ იქნას საყოველთაოდ, როგორც თავიანთი მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი სტრუქტურის ნაწილი და გამოყენებული იქნას მსოფლიოში სახელგანთქმული სისხლის სამართლის საქმეების გადასაწყვეტად.

რატომ არის ეს საერთაშორისო სტანდარტები მნიშვნელოვანი ქართველი იურისტებისთვის? დამწყებებისთვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი ადგენს „მონისტურ“ სამართლებრივ რეჟიმს<sup>30</sup>,

<sup>30</sup> მონისტური სამართლებრივი რეჟიმის მქონე სახელმწიფოებში საერთაშორისო სამართალს არ სჭირდება გარდაქმნა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობად; რატიფიკაციის აქტით საერთაშორისო ხელშეკრულება ავტომატურად ხდება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ნაწილი.



რომლის მიხედვით, საქართველოს მიერ რატიფიცირებული ნებისმიერი ხელშეკრულება ავტომატურად ხდება საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ნაწილი.<sup>31</sup> საქართველომ ბევრი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა, რომლებიც სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტების საფუძველს ქმნის; ამდენად ეს ხელშეკრულებები და სტანდარტები, ფაქტიურად, საქართველოს კანონმდებლობაა. გარდა ამისა, ბოლო წლებში ქართველმა მოსამართლეებმა დაიწყეს საერთაშორისო სამართლის გამოყენება მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების მიზნით და, აქედან გამომდინარე, ქართველი ადვოკატები მზად უნდა იყონ, თავადაც გამოიყენონ საერთაშორისო სამართალი, რათა გავლენა მოახდინონ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებზე და უკეთესად წარმოადგინონ თავიანთი კლიენტები. ამასთანავე, სულ უფრო მეტი ქართველი ადვოკატი გამოდის სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე და მათი საქმიანობის წარმატებისთვის აუცილებელია საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო სტანდარტების მყარი ცოდნა.

ამ თავში აღწერილია ამჟამად ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო მოდელის ძირითადი ელემენტები და, უმთავრესად, ყურადღება გამახვილებულია სამართლიან სასამართლოსთან დაკავშირებულ იმ უფლებებზე, რომლებიც დიდი ალბათობით შეიძლება დადგეს დღის წესრიგში სისხლის სამართალწარმოების თვალსაზრისით და რომლებმაც ყველაზე მეტად შეიძლება გავლენა იქონიონ ადვოკატირებაზე სისხლის სამართლის პროცესში, კერძოდ: მხარეთა უფლება, სამართალწარმოების პროცესში მოეპყრონ თანასწორად (დაცვის საშუალებების თანასწორობა); მოწმეთა გამოძახების და დაკითხვის უფლება; უფლება, ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებები დაცვის მოსამზადებლად. უნდა აღინიშნოს, რომ სამართლიან სასამართლოსთან დაკავშირებული ეს ცალკეული უფლებები იმავდროულად წარმოადგენენ „შეჯიბრებითი სასამართლო პროცესის“ ძირითად კომპონენტებს, რომლებიც მომდევნო თავში იქნება განხილული.

---

<sup>31</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია: „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.“

## საყოველთაო დეკლარაცია და სამოქალაქო უფლებათა პაქტი

შეიძლება ითქვას, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი წარმოადგენენ ფუძემდებლურ დოკუმენტებს, რომლებზეც აწყობილია სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტრუქტურა.

### ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიღებულია 1948 წელს. საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გან-  
ევრიანდა 1992 წელს, ხოლო დეკლარაციის ოფიციალური რატიფიცირება მოახდინა 1991 წელს. საერთაშორისო სამართლის ბევრი სწავ-  
ლული აცხადებს, რომ დეკლარაცია, ასე ვთქვათ, ადამიანის უფლე-  
ბათა საერთაშორისო „კონსტიტუციაა“, რომელიც მისი ფართო საერ-  
თაშორის ალიარების გამო გადაიქცა ჩვეულებით საერთაშორისო  
სამართლად და, აქედან გამომდინარე, მას სავალდებულო ძალა აქვს  
ყველა სახელმწიფოსთვის. დეკლარაციაში ჩამოთვლილი მუხლებიდან  
ზოგიერთი პირდაპირ ეხება სისხლის სამართლის წესით დაკავებული  
პირის უფლებებს სამართალწარმოებაში. ეს მუხლებია:

#### მუხლი 10

მისი უფლებებისა და მოვალეობების, აგრეთვე მისთვის წაყენებუ-  
ლი ნებისმიერი ბრალდების დასადგენად, ყოველ ადამიანს, სრული  
თანასწორობის საფუძველზე, აქვს დამოუკიდებელი და მიუკერძოე-  
ბელი სასამართლო ორგანოს მიერ მისი საქმის სამართლიანი და სა-  
ჯარო განხილვის უფლება.

#### მუხლი 11

ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა,  
უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამ-  
ნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონის შესაბამისად საჯარო სა-

სამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ

პაქტი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 1966 წლის დეკემბერში, ხოლო ძალაში შევიდა 1976 წლის მარტში. საქართველომ პაქტის და მისი დამატებითი ოქმის რატიფიცირება მოახდინა 1994 წელს; ამდენად, ამ ხელშეკრულებას პირდაპირი გამოყენება აქვს საქართველოში სამართალწარმოების პროცესებში.

პაქტი აღიარებს საყოველთაო დეკლარაციაში ასახულ სამართლიანი მოსმენის უფლებას, საქმის საჯარო განხილვის უფლებას და უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებას და, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტში, ჩამოთვლის „მინიმალურ გარანტიებს“, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს თითოეული ბრალდებული პირისთვის. ეს გარანტიებია.

- უფლება, ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებები თავის დაცვის მოსამზადებლად და დაუკავშირდეს მის მიერ არჩეულ დამცველს – მუხლი 14 (3) (ბ)
- უფლება, გასამართლდეს არასათანადო დაყოვნების გარეშე – მუხლი Art. 14 (3) (გ)
- უფლება, დაკითხოს ან დააკითხვინოს მოწმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ გამოდიან და უფლება, გამოიძახოს და დაკითხოს მოწმეები, რომლებიც მის სასარგებლოდ გამოდიან, იმავე პირობებით, რა პირობებიც არსებობს მისი მოწინააღმდეგე მოწმეებისთვის – მუხლი Art. 14 (3)(ე)

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია

ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების შესახებ, რომელიც ევროპის საბჭომ 1950 წელს მიიღო, საქართველომ

ველოსთვის სავალდებულო გახდა 1999 წელს, როდესაც საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი და მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება. მას შემდეგ, კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მიერ მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართალი პირდაპირ და არსებით გავლენას ახდენენ საქართველოს სამართლის სისტემის განვითარებაზე.

კონვენცია სამართლიანი სასამართლოს უფლებებს ეხება მის ორ მუხლში: მე-5 მუხლი – თავისუფლებისა და ფიზიკური უსაფრთხოების უფლება და მე-6 მუხლი – სამართლიანი სასამართლოს უფლება. მე-5 მუხლი და მისი გამოყენებისა და განმარტების გზით ევროპის სასამართლოს მიერ შექმნილი პრეცედენტული სამართალი ითვალისწინებს გარანტიებს წინასწარი დაკავების და გირაოს შემთხვევაში.<sup>32</sup> მე-5 მუხლი და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართალი მოითხოვს, რომ ეჭვმიტანილი დაკავება ან დაპატიმრება უნდა მოხდეს კანონიერად და კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. მე-5 მუხლი მოითხოვს, რომ იმისათვის, რომ პირი დააკავოს, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს *გონივრული ეჭვი*, რომ ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული; ამასთან, ხელისუფლება ვალდებულია აცნობოს დაკავებულ პირს დაკავების საფუძველი და მისთვის წარდგენილი ბრალდება.<sup>33</sup> ეს მუხლი ასევე აღიარებს ეჭვმიტანილის პირობადადებულ უფლებას, გაათავისუფლონ სასამართლოში საქმის განხილვის განმავლობაში; აგრეთვე უფლებას, მისი დაკავების კანონიერება განიხილოს სასამართლომ და უფლებას, მოითხოვოს გათავისუფლება. კონვენციის მე-6 მუხლში – სამართლიანი სასამართლოს უფლება – აღნიშნული უფლებებიდან გამომდინარე გარანტიები განვრცობილია ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. განსაკუთრებით, ეს ეხება საქმეებს, რომლებიც დაკავშირებულია თანაბარი შესაძლებლობების პრინციპთან<sup>34</sup>, საკუთარი თავის სანინააღმდეგო ჩვენების მიცემისგან დაცვის პრივილეგიას და დუმილის უფლებას<sup>35</sup> და უფლებას ადეკვატურ დაცვაზე.<sup>36</sup>

<sup>32</sup> იხ. *Martinen v. France*, No/ 19235/03

<sup>33</sup> იხ. *Mattochia v. Italy*, No.23969/94.

<sup>34</sup> იხ. *Ocalan v. Turkey*, No. 46221/99.

<sup>35</sup> *Funke v. France*, No.10828/84; *Bykov v. Russia*, No.4378/02.

<sup>36</sup> *Antico v. Italy*, No.6694/74.

## სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტების კომპონენტები

გარდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა, არ არსებობს არც ერთი ოფიციალური და საყოველთაოდ აღიარებული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტების ამომწურავ ჩამონათვალს. მაგრამ ასეთი ჩამონათვალის შედგენა შესაძლებელია ისეთი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, როგორცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია და სხვა საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც სამართლიანი სასამართლოს უფლებებს ეხება, არეთვე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კომიტეტების მიერ შედგენილი კომენტარები, სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების წესდებები და ამჟამად მსოფლიოში მოქმედი სხვადასხვა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ გამოქვეყნებული მოსაზრებები. ეს ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ. ის არ მოიცავს სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისოდ აღიარებულ ყველა სტანდარტს, არამედ წარმოადგენს მცდელობას, თავი მოუყაროს მხოლოდ იმ სტანდარტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის სასამართლოში ადვოკატირებისათვის.

### სამართლიანი განხილვის უფლება

თითოეულ პირს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, აქვს სამართლიანი განხილვის უფლება [ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 10; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 14(1); ადამიანის უფლებათა კონვენცია, მუხლი 6(1); ადამიანის უფლებების და მოვალეობების ამერიკული დეკლარაცია, მუხლი XXVI; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მუხლი 8; ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდება, მუხლი 20(1); რუანდას სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდება, მუხლი 19(1); სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მუხლები 64(2) და 67(1)].

სამართლიანი განხილვის უფლება მოითხოვს რამდენიმე სხვა უფლების აღიარებას და დაცვას. ეს უფლებებია: უფლება, ითვლებოდეს უდანაშაულოდ; უფლება, გასამართლდეს არასათანადო დაყოვნების გარეშე; დაცვის მომზადების უფლება; და მონმეთა გამოძახების და დაკითხვის უფლება.

ეს უფლებები მხოლოდ „მინიმალური გარანტიები“. ამ გარანტიების არსებობა ყოველთვის არ უზრუნველყოფს სასამართლო განხილვის სამართლიანობას. სამართლიანი განხილვის დამოკიდებულია მთლიანად განხილვის მიმდინარეობაზე [იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი 13, პარაგრაფი 5; ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლოს საკონსულტაციო მოსაზრება, #ჩ-11/90, შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვის მოთხოვნის გამონაკლისები, 10 აგვისტო 1990წ, ინტერ-ამერიკული სასამართლოს წლიური ანგარიში, 1990წ, OAS/Ser L./V/III.23 doc.12, rev. 1991, 44, პარაგრაფი 24]

სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს აგრეთვე მხარეთა თანასწორობის უფლებას [Morael v. France, (207/1986), 28 ივლისი 1989წ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის ანგარიში (A/44/40), 1989წ, 210]

### მხარეთა თანასწორობა

მხარეთა თანასწორობა (რომელსაც ზოგჯერ „თანაბარ შესაძლებლობებს“ უწოდებენ) ნიშნავს, რომ სასამართლო სისხლის სამართლის საქმის მხარეებს უნდა მოექცნენ თანაბრად სასამართლო განხილვის განმავლობაში და ისინი უნდა ჩააყენოს თანასწორ მდგომარეობაში, რომ წარმოადგინონ თავიანთი არგუმენტაცია [იხ. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები ოფერერის და ჰოპფინგერის საქმეებში, №№ 524/59 და 617/59, Dec. 19.12.60, Yearbook 6, გვ. 680 და 696].

მხარეთა თანასწორობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სისხლის სამართლის საქმეებზე, როდესაც ბრალდების მხარე სარგებლობს სახელმწიფოს რესურსებითა და ძალაუფლებით, ხოლო დაცვოს მხარე წინასწარ არახელსაყრელი პოზიციიდან იწყებს თავის საქმეს. მხარე-



თა თანასწორობის პრინციპი უზრუნველყოფს, რომ დაცვის მხარეს თავისი საქმის წარმოდგენა შეეძლოს ბრალდების მხარისთვის არსებული საფუძვლის თანასწორ საფუძველზე. ეს პრინციპი მოითხოვს, რომ დაცვის მხარეს მიეცეს საკმარისი დრო და საშუალებები დაცვის მოსამზადებლად, დამცველის აყვანის უფლებას და მოწმეთა გამოძახების და დაკითხვის უფლებას. ეს პრინციპი ირღვევა, როდესაც ბრალდებულს ხელი არ მოუწვდება დაცვის მომზადებისათვის აუცილებელ ინფორმაციაზე და როდესაც ბრალდებულს უარს ეუბნებიან ექსპერტიზის მომსახურებით სარგებლობაზე [ფუშერის საქმე, ევროპის სასამართლო, 25 EH RR 234, გვ. 247, *Borgers v. Belgium*, No. 12005/86; *Martinie v. France*, No. 58675/00]

#### საჯარო განხილვის უფლება

სასამართლოს სხდომა და გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა იყოს საჯარო, გარდა ვინმე განსაზღვრული შემთხვევებისა [საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 11; ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირის დაცვის შესახებ პრინციპების ჩამონათვალი, პრინციპი 36(1); ამერიკული კონვენცია, მუხლი 8(5); ამერიკული დეკლარაცია, მუხლი XXVI; ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი 13, პარაგრაფი 6; საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 10; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი, მუხლი 14(1); ევროპის კონვენცია, მუხლი 6(1), იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 20(4); რუანდას ტრიბუნალის წესდება, მუხლი 19(4); სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მუხლები 64(7) და 67(1)].

საჯარო განხილვის უფლება ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმის მხარეებს და ზოგადად საზოგადოებას აქვს დასწრების უფლება. საზოგადოებას უფლება აქვს, იცოდეს, თუ როგორ ხდება მართლმსაჯულების განხორციელება და რა გადაწყვეტილებებს იღებს სასამართლო სისტემა.

საზოგადოების დასწრება სასამართლო სხდომებზე შეიძლება შეიზღუდოს ვინმე განსაზღვრულ შემთხვევებში. პრესისა და საზოგადოების სასამართლო სხდომაზე დასწრების აკრძალვის საფუძვე-

ლები ერთმანეთის იდენტურადაა ჩამოყალიბებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტში და ევროპის კონვენციაში. ეს საფუძვლებია: ზნეობა (მაგალითად, ზოგიერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სქესობრივ დანაშაულს ეხება); საჯარო წესრიგი, რაშიც, ძირითადად, სასამართლო დარბაზში წესრიგი იგულისხმება; ეროვნული უსაფრთხოება დემოკრატიულ საზოგადოებას; როდესაც ეს აუცილებელია არასრულწლოვანის ინტერესებისთვის ან მხარეთა პირადი ცხოვრების არგამჟღავნებისთვის; ანდა სასამართლოს შეხედულებისამებრ, მკაცრად აუცილებელ ფარგლებში, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც საჯაროობა ხელს შეუშლის მართლმსაჯულების ინტერესებს [სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი, მუხლი 14(1); ევროპის კონვენცია, მუხლი 6(1). ყველა ეს გამონაკლისი განიმარტება ვინროდ.]

#### უდანაშაულობის პრეზუმფცია

ყველას აქვს უფლება, ითვლებოდეს უდანაშაულოდ და მოექცნენ, როგორც უდანაშაულო ადამიანს, სანამ და თუ იგი ცნობილი არ იქნება დამნაშავედ ისეთი სამართალწარმოების პროცესის შედეგად, რომელიც აკმაყოფილებს სამართლიანობის დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს [საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 11; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი, მუხლი 14(2); პრინციპების ჩამონათვალი, პრინციპი 36(1); აფრიკული ქარტია, მუხლი 7(1)(ბ); აფრიკული კომისიის რეზოლუცია, პარაგრაფი 2(D); ამერიკული დეკლარაცია, მუხლი XXVI; ამერიკული კონვენცია, მუხლი 8(2); ევროპის კონვენცია, მუხლი 6(2); იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 21(3); რუანდის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 20(3); სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მუხლი 66].

უფლება, ითვლებოდეს უდანაშაულოდ, ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლოში მოპყრობაზე და მტკიცებულებების შეფასების ეტაპზე, არამედ სასამართლო განხილვამდე მოპყრობაზეც.

მოთხოვნა, რომ ბრალდებული ითვლებოდეს უდანაშაულოდ, თუ და სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება სასამართლო პროცესის შედეგად, ნიშნავს, რომ ბრალდებულის ბრალეულობის დამტკიცების



ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს. თუ არსებობს გონივრული ეჭვი, ბრალდებული არ უნდა იქნას ცნობილი დამნაშავედ.

უდანაშაულობის პრეზუმფცია მოითხოვს, რომ მტკიცების წესებმა და სასამართლო განხილვის მიმდინარეობამ უნდა უზრუნველყოს, რომ მტკიცების ტვირთი მთელი განხილვის განმავლობაში ეკისრებოდეს ბრალდების მხარეს [*Barbera, Messegue and Jabardo v. Spain, Nos. 10588/83, 10589/83, 10590/83*].

#### არასათანადო დაყოვნების გარეშე გასამართლების უფლება

სისხლის სამართალწამოება უნდა დაიწყოს და დასრულდეს გონივრულ დროში [სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი, მუხლი 14(3); აფრიკული ქარტია, მუხლი 7(1)(დ); ამერიკული კონვენცია, მუხლი 8(1); ევროპის კონვენცია, მუხლი 6(1); იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 21(4)(ც); შემდეგი ნორმები მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის ბრალდების განხილვა მოხდეს არასათანადო დაყოვნების გარეშე: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი, მუხლი 14(3)(ც); იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდება, მუხლი A რტიცლე 21(4)(ც); რუანდას ტრიბუნალის წესდება, მუხლი 20(4)(ც); სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მუხლი 67(1)(ც). შემდეგი ნორმები მოითხოვს, რომ ყველანაირი საქმის განხილვა (სისხლის სამართლის თუ სხვა) მოხდეს გონივრულ დროში: აფრიკული ქარტია, მუხლი 7(1)(დ); ამერიკული კონვენცია, მუხლი 8(1); ევროპის კონვენცია, მუხლი 6(1)].

იმ პირთათვის, რომელთაც წარდგენილი აქვთ ბრალი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში და იმყოფებიან წინასასამართლო დაკავების პირობებში, კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ვალდებულება, რომ საქმე გონივრულ დროში მიიტანოს სასამართლომდე. საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირი გათავისუფლდეს დაკავებიდან სასამართლო განხილვის პერიოდში, თუ მოცემულ გარემოებებში გონივრულად მისაჩინევი დრო უკვე ამოიწურა.

მონმეტა გამოძახების და დაკითხვის უფლება

მხარეთა თანასწორობის პრინციპის და ბრალდებულის მიერ თავის დაცვის უფლების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ბრალდებულის უფლება, გამოიძახოს და დაკითხოს მონმეტები [სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი, მუხლი 14(3)(ე); ამერიკული კოვენცია, მუხლი 8(2)(ფ); ევროპის კონვენცია, მუხლი 6(3)(დ); აფრიკული კომისიის რეზოლუცია, პარაგრაფი 2(E)(3); იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 21(4)(ე); რუანდას ტრიბუნალის წესდება, მუხლი 20(4)(ე); სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მუხლი 67(1)(ე)].

მონმეტა გამოძახების და დაკითხვის უფლება უზრუნველყოფს, რომ დაცვის მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა, დაკითხოს მონმეტები, რომლებიც ჩვენებას მისცემენ ბრალდებულ პირის სასარგებლოდ და ეჭვქვეშ დააყენოს ბრალდებულის წინააღმდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებები. მონმეტა დაკითხვა როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის მიერ სასამართლოს საშუალებას აძლევს, მოისმინოს ჩვენებაც და ამ ჩვენების ეჭვქვეშ დაყენების საფუძვლებიც.

საერთაშორისო სტანდარტებში გამოყენებული ფრაზა „დაკითხოს ან დააკითხვინოს“ ითვალისწინებს სამართლის სხვადასხვა სისტემების მოთხოვნებს, მათ შორის, სისტემებისა, რომლებიც შეჯიბრებითი სასამართლო პროცესის პრინციპებზეა დაფუძნებული და სისტემებისა, რომლებშიც სასამართლო ხელისუფლება უფრო მეტ როლს თამაშობს მონმეტა დაკითხვაში. ამ სტანდარტში ფორმულირებული ტექსტი დაცვის მხარეს არ აძლევს განუსაზღვრელ უფლებას, რომ აუცილებლად უზრუნველყოფილი იყოს დაცვის მხარის მონმეტის დასრება, არამედ ანიჭებს მას „იგივე პირობებს“, რა პირობებსაც მის მონინააღმდეგე მონმეტებს ანიჭებს.

(დაცვის მხარის უფლება, დაკითხოს ბრალდებულის მონინააღმდეგე მონმეტები)

ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლება დაკითხოს ან დააკითხვინოს მონმეტები, რომლებიც

მათ წინააღმდეგ გამოდიან [სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი, მუხლი 14(3)(ე); ევროპის კონვენცია, მუხლი 6(3)(დ); ამერიკული კონვენცია, მუხლი 8(2)(ფ); აფრიკული კომისიის რეზოლუცია, პარაგრაფი 2(E)(3); იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 21(4)(ე); რუანდას ტრიბუნალის წესდება, მუხლი 20(4)(ე); სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მუხლი 67(1)(ე)].

ბრალდებულის უფლება საკმარის დროზე და საშუალებებზე დაცვის მოსამზადებლად მოიცავს უფლებას, მოემზადოს ბრალდების მხარის მონმეების დასაკითხად. ბრალდების მხარეს ეკისრება ნაგულისხმევი ვალდებულება, საკმარისი დროით წინდაწინ შეატყობინოს დაცვის მხარეს იმ მონმეთა შესახებ, რომელთა გამოძახებასაც ბრალდების მხარე აპირებს სასამართლო პროცესზე.

ბრალდებულის უფლება, დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი მოწინააღმდეგე მონმეები ნიშნავს ყველა ჩვენების მიცემა, როგორც წესი, უნდა მოხდეს ბრალდებულის თანდასწრებით, საჯარო სხდომაზე, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს თვითონ ჩვენების, აგრეთვე მონმის სანდოობის და დამაჯერებლობის შემოწმება. მართალია, ამ პრინციპს აქვს გამონაკლისები, მაგრამ ეს გამონაკლისები არ უნდა არღვევდეს დაცვის მხარის უფლებებს.

ანონიმური მონმის (ე.ი., როდესაც სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარისთვის უცნობია მონმის ვინაობა) ჩვენების გამოყენება არღვევს ბრალდებულის მიერ მონმეთა დაკითხვის უფლებას, რადგან ამით ბრალდებულს ერთმევა შესაძლებლობა, იცოდეს ინფორმაცია, რაც აუცილებელია მონმის სანდოობის შესამოწმებლად.

ანონიმური მონმეების გამოყენების სრული აკრძალვა ყველა საქმეში აუცილებელი არ არის, მაგრამ მათი გამოყენების შემთხვევები მკაცრად შეზღუდული უნდა იყოს [ამ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებისთვის იხილეთ *Doorson v. The Netherlands*, 26 მარტი 1996წ., 2 Ser. A 470, პარაგრაფი 69; *Van Mechelen and others v. The Netherlands*, (55/1996/674/861-864), 23 აპრილ 1997, პარაგრაფი 51; *Windisch Case*, 27 სექტემბერი 1990წ., 186 Ser. A II; *Kostovski v. the Netherlands*, 20 ნოემბერი 1989წ., 166 შერ. A 20.]

(დაცვის მხარის უფლება, გამოიძახოს და დაკითხოს დაცვის მხარის მოწმეები)

ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლება, უზრუნველყოფილი იყოს მის მხარეზე მყოფი მოწმეების დასწრებით და დაკითხოს ეს მოწმეები „იმავე პირობებით, რა პირობებიც არსებობს მისი მოწინააღმდეგე მოწმეებისთვის“ [სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი, მუხლი 14(3)(ე); ევროპის კონვენცია, მუხლი 6(3)(დ); ამერიკული კოვენცია, მუხლი 8(2)(ფ); აფრიკული კომისიის რეზოლუცია, პარაგრაფი 2(E)(3); იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 21(4)(ე); რუანდას ტრიბუნალის წესდება, მუხლი 20(4)(ე); სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მუხლი 67(1)(ე)].

დაცვის მხარის მოწმეთა გამოძახების უფლება „იმავე პირობებით“, რაც არსებობს ბრალდების მხარის მოწმეებისთვის, სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს შედარებით ფართო დისკრეციას აძლევს იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი მოწმეები გამოიძახოს; მაგრამ მოსამართლემ არ უნდა დაარღვიოს სამართლიანობის და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპები.

ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ, მართალია, ევროპის კონვენციის 6(3)(დ) მუხლი არ მოითხოვს ყველა იმ მოწმის დასწრებას და დაკითხვას, რომელსაც ბრალდებული მოითხოვს, მაგრამ სასამართლომ ის დისკრეციული უფლებამოსილება, თუ რომელი მოწმეები გამოიძახოს, უნდა განახორციელოს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით. ევროპის სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად მიიჩნია ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილებაში არ იყო ახსნილი მიზეზები, თუ რატომ არ დააკმაყოფილა შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლომ ბრალდებულის მოთხოვნა ოთხი მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით [Vidal v. Belgium, (14/1991/266/337), 22 April 1992].

მკვლევლობის საქმეში, როდესაც დაცვის მხარის მოწმეს სურდა ჩვენების მიცემა, მაგრამ ის ვერ გამოცხადდა სასამართლოში კონკრეტულ დღეს, ვინაიდან არ ჰქონდა ტრანსპორტით გადაადგილების საშუალება, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის 14(1) და 14(3)(ე) მუხლების

დარღვევა იმდენად, რამდენადაც მონმის გამოუხცადებლობა იყო ხელისუფლების ბრალი, რომელსაც შეეძლო გადაედო სხდომა ან უზრუნველყო მონმე გადაადგილების საშუალებით [Grant v. Jamaica, (353/1988), 31 marti 1994w., UN Doc. CCPR/C/50/D/353/1988, 10]

(დაზარალებულების და მონმეების უფლებები)

დაზარალებულების და სხვა მონმეების უფლება, იყონ დაცული შურისძიებისგან და არასაჭირო ემოციური ტკივილისგან უნდა დაბალანსდეს ბრალდებულის უფლებით, ჰქონდეს სამართლიანი სასამართლო. ამ უფლებების დასაბალანსებლად სასამართლოები იღებენ ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა დაზარალებულებისთვის და მონმეებისთვის ინფორმაციის მიწოდება და დახმარების განწვევა მთელი სამართალწარმოების განმავლობაში, სასამართლო სხდომების მთლიანად ან ნაწილობრივ დახურვა საზოგადოებისთვის და ჩვენების ელექტრონული ან სხვა სპეციალური საშუალებებით მიცემაზე ნებართვის მიცემა.

ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც საფრთხე შეიძლება დაემუქროს მონმის სიცოცხლეს, თავისუფლებას ან უსაფრთხოებას, სახელმწიფომ თავისი სისხლის სამართალწარმოების პროცესი ისე უნდა მოაწყოს, რომ არ მოხდეს ამ ინტერესების გაუმართლებლად საფრთხის ქვეშ დაყენება [Doorson v. The Netherlands, 26 March 1996, 2 Ser. A 470, paragrafi 70] მიუხედავად ამისა, მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელების უფლება მოითხოვს, რომ დაცვის მხარის უფლებების შემზღვეველი ღონისძიებები მაქსიმალურად შეიზღუდოს და გამოყენებული იქნას მხოლოდ მკაცრი აუცილებლობის შემთხვევაში [Van Mechelen and others v. The Netherlands, (55/1996/674/861-864), 23 April 1997, paragrafebi 54 da 58].

ინტერ-ამერიკულმა კომისიამაც აღიარა მონმეების და ექსპერტების პირადი უსაფრთხოების დამცავი ღონისძიებების საჭიროება, მაგრამ სამართლიანი პროცესის გარანტიების დაკნინების გარეშე [მეორე ანგარიში კოლუმბიაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, OEA/Ser.L/V/II.84, doc.39, 1993, გვ. 109].

უფლება, ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებები დაცვის მოსამზადებლად

ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აგრეთვე მის ადვოკატს – ასეთი არსებობის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებები, რომ მოემზადოს თავის დასაცავად [სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი, მუხლი 14(3)(ბ); ამერიკული კოვენცია, მუხლი 8(2)(ც); ევროპის კონვენცია, მუხლი 6(3)(დ); აფრიკული კომისიის რეზოლუცია, პარაგრაფი 2(E)(1); იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 21(4)(ბ); რუანდას ტრიბუნალის წესდება, მუხლი 20(4)(ბ); სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მუხლი 67(1)(დ)].

დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროის და საშუალებების უფლება „თანაბარი შესაძლებლობების“ ფუნდამენტური პრინციპის მნიშვნელოვანი ასპექტია: დაცვის მხარეს და ბრალდების მხარეს უნდა მოეპყრონ იმგვარად, რომ ორივე მხარეს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, მოამზადონ და წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები სამართალწარმოების მიმდინარეობისას.

დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროის და საშუალებების უფლება მოქმედებს სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მაჩთ შორის სასამართლოში საქმის განხილვამდე და ყველა სახის გასაჩივრების დროს.

(საკმარისი დრო დაცვის მოსამზადებლად)

დაცვის მოსამზადებლად დროის საკმარისობა დამოკიდებულია სამართალწარმოების ხასიათზე და თითოეული საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე. მხედველობაში მიიღება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ბრალდებულის ხელმისაწვდომობა მტკიცებულებებზე და ადვოკატზე, აგრეთვე შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილ დროის ვადებზე [იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი 13, პარაგრაფი 9]. უფლება, გასამართლდეს გონივრულ ვადაში შეიძლება დაბალანსდეს უფლებით, ჰქონდეს საკმარისი დრო დაცვის მოსამზადებლად.



თუ ბრალდებული თვლის, რომ დაცვის მოსამზადებლად მისთვის მიცემული დრო არასაკმარისი იყო, ბრალდებულმა შეიძლება მიიმჯობინოს სასამართლოს უნდა მოსთხოვოს საქმის განხილვის გადადება, მოსამზადებლად მიცემული დროის არასაკმარისობის საფუძვლით. [Douglas, Gentles and Kerr v. Jamaica, (352/1989), 19 ოქტომბერი 1993წ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის ანგარიში, ტომი II, (A/49/40), 1994; Sawyers and McLean v. Jamaica, (226/1987 ანდ 256/1987), 11 აპრილი 1991წ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის ანგარიში (A/46/40), 1991]

(ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა)

დაცვის მოსამზადებლად საკმარისი საშუალებების ქონის უფლება მოითხოვს, რომ ბრალდებულს მიეცეს წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე, მათ შორის დოკუმენტებზე, ინფორმაციაზე და სხვა მტკიცებულებებზე, რაც ბრალდებულს დაეხმარება საქმის მომზადებაში, გამამართლებელი განაჩენის დადგენაში ან, თუ საჭიროა, სასჯელის შემსუბუქებაში [ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, პრინციპი 21; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მუხლი 67(2); იხ. აგრეთვე იუგოსლავიის ტრიბუნალის წესები 66 და 68; რუანდას ტრიბუნალის წესები 66 და 68].

ევროპის კომისიამ დაადგინა, რომ დაცვის მოსამზადებლად საკმარისი საშუალებების ქონის უფლება მოიცავს უფლებას, ჰქონდეს გონივრული წვდომა ბრალდების მხარის მასალებზე [X v. Austria, (7138/75), 5 ივლისი 1977წ, 9 DR 50]. მაგრამ ეს უფლება შეიძლება დაექვემდებაროს გონივრულ შეზღუდვებს სხვადასხვა საფუძვლით, მათ შორის უსაფრთხოების საფუძვლით [Haase v. Federal Republic of Germany, (7412/76), 12 July 1977, 11 DR 78] კომისიამ განაცხადა, რომ ეს უფლება დაკმაყოფილებულად ითვლება მაშინაც, თუ ბრალდებულის ადვოკატს და არა ბრალდებულს აქვს წვდომა საქმის მასალებზე [Ofner v. Austria, (524/59), 3 Yearbook 322, 19 დეკემბერი 1960წ.].

(ბრალდების შესახებ ინფორმაციის უფლებას)

დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროის და საშუალებების ქონის უფლების რეალიზებისთვის აუცილებელი ინფორმაციის ერთ-ერთი

ნანილია ბრალდებულის უფლება, სწრაფად შეატყობინონ მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების შესახებ.

ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის დაკავებული სასამართლოს საქმის განხილვამდე, აქვს უფლება, სწრაფად მიანოდონ ინფორმაცია მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების შესახებ [სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი, მუხლი 14(3)(ა); ამერიკული კონვენცია, მუხლი 8(2)(ბ); ევროპის კონვენცია, მუხლი 6(3)(ა); აფრიკული კომისიის რეზოლუცია, პარაგრაფი 2(E)(1); იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 20(2); რუანდას ტრიბუნალის წესდება, მუხლი 19(2); სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მუხლი 67(1)(ა)].

იმისათვის, რომ დაკმაყოფილებული იყოს სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები, საქმის სასამართლოში განხილვამდე წარდგენილი ბრალდების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს „დანვრილებით“ და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას „ბრალდების ხასიათისა და საფუძვლის“ შესახებ.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის 14(3)(ა) მუხლის განმარტებისას ადამიანის უფლებათა კომიტემა განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს „როგორც კი კომპეტენტური ორგანო პირველად წარადგენს ბრალდებას“ [ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი 13, პარაგრაფი 8].

(ექსპერტებზე ხელმისაწვდომობა)

დაცვის მოსამზადებლად საკმარისი საშუალებების ქონის უფლება მოიცავს ბრალდებულის უფლებას, მოიპოვოს დამოუკიდებელი ექსპერტების მოსაზრება დაცვის მომზადების და წარდგენის პროცესში.

ამერიკული კონვენციის მუხლი 8(2)(ფ) პირდაპირ ითვალისწინებს დაცვის მხარის უფლებას, გამოიძახოს ექსპერტები მოწმის სახით.



აღვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის

**დაიბეჭდა:**

გამომცემლობა „მერიდიანი“,

აღ. ყაზბეგის გამზ. №45

ტ. 239-15-22, E-mail: meridiani777@gmail.com